

უკუენა ფეიქრიძე



ვიქტორ კოკოხაძე

6 2	8 15,9994	9 2	10 16,9984	11 2	12 2
6 6 2	16 32,064	17 2	18 35,453	19 2	20 2
24 13 8 2	Cr 51,996	25 8	26 54,9361	27 2	28 2
6 16 8 2	34 78,96	7 18 8 2	35 79,909	36 2	37 2
42 13 16 17 2	Mo 95,94	43 13 18 8 2	44 13 18 8 2	45 18 8 2	46 18 8 2
6 18 18 8 2	54 127,60	7 18 18 8 2	55 126,9044	56 2	57 2
74 12 32 16 8 2	W 183,85	75 13 32 18 8 2	Re 186,2	76 18 8 2	77 2
6 18 32 18 8 2	84 [210]	7 18 32 18 8 2	85 [210]	86 18 8 2	87 2

თ ი რ ე ბ ი 58-71

2	2	2
85 8	86 8	87 8
27 18 8	28 16 8	29 18 8
158,924	162,50	164,930

თ ი რ ე ბ ი 90-103

97	98	99
Bk	Cf	Es
2	2	2

ქაუნა ფეიქრიშვილი

ვიქტორ კოკოხაშვილი

მეცნიერი, პედაგოგი, პიროვნება



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2022

წიგნში მოთხრობილია ცნობილი მეცნიერის, ღირსეული ერისკაცის – ვიქტორ კოკოჩაშვილის ცხოვრებამოღვაწეობის შესახებ. აქვე მკითხველი გაეცნობა ამ სახელოვანი გვარის გენეოლოგიასა და სხვადასხვა თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის წარმატებული საქმიანობის მოკლე ისტორიასაც.

რედაქტორები: **ნუგზარ ბარდაველიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

თინათინ კოკოჩაშვილი

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

© ქ. ფეიქრიშვილი, 2022

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2022

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-33-244-9

შინაარსი

წინათქმა	5
შესავლის მაგიერ.....	8
პროფესორ ვიქტორ კოკონაშვილის ცხოვრება- მოღვაწეობის ძირითადი თარიღები	10
ვიქტორ კოკონაშვილის ოჯახური	
ბარემო	13
წინაპრები	13
(ქაიხოსრო (ქაქუჩა) ქორეჩაშვილი, პეტრე (ყოყონა) ქოქონაშვილი, ივანე ყოყონაშვი- ლი / კოკონაშვილი, პეტრე-პავლე კოკო- ნაშვილი, ივანე კოკონაშვილი)	
ვიქტორ კოკონაშვილი	25
გიმნაზიის წლები	25
ახალი ცხოვრება თბილისში.....	30
კოკონაშვილების ერთი შტოს გენეალოგია (სქემა).....	33
ვიქტორ კოკონაშვილი – მეცნიერი და	
პედაგოგი	34
სამეცნიერო მოღვაწეობის ზოგადი მიმოხილვა ..	34
პედაგოგი და აღმზრდელი	42
გამოქვეყნებული ნაშრომების ბიბლიოგრაფია ...	46

მომონებაპით გაცოცხლებული წარსული.....	55
ვიქტორ კოკოჩაშვილის დიდი	
მასწავლებლები	78
(პ. მელიქიშვილი, ვ. პეტრიაშვილი)	
ვ. კოკოჩაშვილის პუბლიკაციები	78
ვ. კოკოჩაშვილის ხელნაწერი ფურცლები	102
ემიგრანტული ლიტერატურის მასალები	109
ვ. ღამბაშიძე – შორეული წარსულის მოგონება (ეძღვნება პ. მელიქიშვილის ხსოვნას).....	115
ვ. იმნაიშვილი – პეტრე მელიქიშვილი ლაბორატორიის გარეთ (პ. მელიქიშვილის წერილები ჰ. შუხართისადმი)	141
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები	175
რეცენზია (ნ. ბარდაველიძე).....	177
ფოტო დოკუმენტური მასალა	187

წინათქმა

ყოველი კულტურული ერის წინსვლა-განვითარება, ეროვნული სულიერების შენარჩუნება წარმოუდგენელია მისი წარსული მემკვიდრეობის გათვალისწინების გარეშე. საყოველთაოდ აღიარებული ეს ჭეშმარიტება ჩვენთვისაც არის დღეს განსაკუთრებით ფასეული, საზოგადოებისათვის ხშირ-ხშირად შესახსენებელი...

ჩვენი წიგნის მიზანდასახულობაც ესაა – თანამედროვეობას უფრო ახლოს გავაცნოთ ქართველ მამულიშვილთა მართლაც წარმატებული საქმიანობა, მათი ღვაწლი ხალხისა და ქვეყნის წინაშე. ამჯერად გვინდა ერთი ცნობილი ქიმიკოსის ცხოვრება-მოღვაწეობის მაგალითით თვალსაჩინო გავხადოთ, თუ როგორი კეთილი ნაყოფი შეიძლება გამოიღოს დღენიადაგ შრომამ, ახლის ძიების განსაკუთრებულმა ინტერესმა, ახალგაზრდობის სიყვარულმა და მეცნიერების უმნიშვნელოდ მსახურების სურვილმა.

ნაშრომი ეძღვნება ქართველ კათოლიკეთა ერთ-ერთი სახელოვანი გვარის წარმომადგენელს **ვიქტორ ივანეს ძე კოკონაშვილს**. შევეცადეთ, კოკონაშვილების საგვარეულოს საინტერესო ისტორიის ფონზე, მკითხველისათვის წარგვედგინა ბატონი ვიქტორი არა მხოლოდ საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი და გამორჩეული პედაგოგი, არამედ როგორც ადამიანი თავისი პიროვნული ღირსებებით, თავისი სულიერი ტკივილებითა თუ ბედნიერება-სიხარულით, ახლობელთა მოგონებებით გაცოცხლებული ცხოვრებისეული ცალკეული ეპიზოდებით.

წიგნის ბოლო ნაწილი – „ვიქტორ კოკონაშვილის დიდი მასწავლებლები (პ. მელიქიშვილი და ვ. პეტრიაშვილი)“ – მოიცავს ამ თემასთან დაკავში-

რებულ სხვადასხვა მასალას, მათ შორისაა ერთი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი¹ (მასზე ავტორი არ იყო მითითებული), რომელიც დაახლოებით 2010 წლიდან ინახებოდა ჩემს არქივში ემიგრანტული ლიტერატურის სხვა სტატიებთან ერთად და ეს ყველაფერი (ჩემთვის უკვე მივიწყებული) შემთხვევით აღმოვაჩინე გასულ წელს. აღარ მახსოვდა, რა გზით მოხვდა იგი ჩემთან. გადავწყვიტე, პ. მელიქიშვილთან დაკავშირებული ჩემს ხელთ არსებული ეს ახალი მასალები (ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებცნობილი, მაგრამ საინტერესო) ჩვენი ყურნალის – კათოლიკეთა მაცნეს „საბას“ გზით მოკლედ (ინფორმაციის დონეზე) მაინც მიმენოებინა მკითხველისათვის. მალე მეხსიერებაში აღვიდგინე, რომ ზემოაღნიშნული ხელნაწერი ფურცლებისა და ემიგრაციაში გამოცემული კრებულის ქსეროასლები შეიძლებოდა გადმომეღო ქალბატონ ტასო ზუბალაშვილი-კოკოჩაშვილის საოჯახო არქივის მასალებიდან, რომელსაც ვიყენებდი 2010-2011 წლებში ცნობილი ქართველი კათოლიკე მრეწველებისა და ქველმოქმედ-მეცენატების ზუბალაშვილების წიგნზე მუშაობისას.

ქალბატონი თინათინ კოკოჩაშვილის დახმარებით გავარკვიე, რომ ხელნაწერის ავტორი იყო ვიქტორ კოკოჩაშვილი, რომელსაც განზრახული ჰქონია, დაენერა წიგნი თავისი დიდი მასწავლებლის, პეტრე მელიქიშვილის შესახებ. დაუნყია კიდეც მუშაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ მოუხსნია დასრულება.

¹ თაბახის ფურცლის პირველი ოთხი გვერდი არის მელიქიშვილების წინაპართა საცხოვრისისა და გვარის ისტორიის შესახებ საინტერესო გამოკვლევა; შემდეგ ორ გვერდზე ავტორი იგონებს თავისი მასწავლებლის პ. მელიქიშვილის ლექციებს...

ქალბატონმა თინამ კიდევ ბევრი რამ მიაბო მამას ცხოვრება-საქმიანობის შესახებ. არ ვიცი, ალბათ, უფლის ნება იყო, რომ მე (ჩემს ასაკში, პანდემიის პირობებში) მაშინვე გადავწყვიტე, უფრო ახლოს „გამეცნო“ ბატონი ვიქტორი – მეცნიერი და ადამიანი – და, ზუბალაშვილთა მსგავსად, გამეცოცხლებინა ქართველ კათოლიკეთა ერთ-ერთი დიდი საგვარეულო. ამ ახალი კეთილი საქმის წამოწყებას ისიც მიაღვილებდა, რომ უკვე კარგად ვიცნობდი ქ-ნ თინას ოჯახს (ზუბალაშვილების მეორე წიგნზე ერთად ვმუშაობდით), რომელიც დღეს სამაგალითოდ გამოირჩევა წინაპართა ხსოვნისადმი განსაკუთრებული პატივისცემით, მათი ღვაწლის დაფასებითა და ქომაგობით.

... და ასე, ჩვენი ერთობლივი შრომით, დაინერა წარმოდგენილი წიგნი – ღირსეული ადამიანების მოკლე ისტორია, ერთი ქართული ოჯახის მართალი მატრიანე. მას არა აქვს სისრულის პრეტენზია, მაგრამ, ვიმედოვნებთ, იგი ამ ფორმითაც გარკვეულ სამსახურს გაუწევს დაინტერესებულ მკითხველს და, რაც მთავარია, უთუოდ გახდება საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის სრული ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელი.

წიგნში გამოყენებულია საოჯახო არქივის მასალები და არსებული სხვა ოფიციალური წყაროები. განსაკუთრებით დიდი სამსახური გაგვიწია ზ. ძონენიძე, მ. გვერდნითელის ნაშრომში წარმოდგენილმა ინფორმაციებმა.

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც სხვადასხვა ფორმით დაგვეხმარა წიგნზე მუშაობის დროს.

ემერიტუსი პროფესორი პუჟუუნა ფეიქრიშვილი
2022, აპრილი

შესავლის პატივს

„ასეთი პიროვნებები ბუნებას კი არ შეუქმნია, არამედ მათ თვით შექმნეს თავისი თავი... ისინი გახდნენ იმად, რაც უნდოდათ ყოფილიყვნენ და დარჩნენ ამ ლტოლვის ერთგულნი სიცოცხლის ბოლომდე“.

ჰეგელი

პროფესორი ვიქტორ კოკოჩაშვილი იმ გამორჩეულ სწავლულთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ვიქტორ კოკოჩაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა მართლაც ძალზე ღირებულია. მან ღირსეულად გააგრძელა თავისი დიდი მასწავლებლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ნიკოლაი სემიონოვის სამეცნიერო გზა და ქართული ქიმიური აზროვნება ახალ მწვერვალზე აიყვანა. თქმულის დასტურად გამოდგება მის მიერ ჩამოყალიბებული ალის ფრონტის არამდგრადობის თეორია.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ბატონი ვიქტორის პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი – როგორც ლექტორის – ქმედებას წითელ ზოლივით გასდევდა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი, დახვეწილი ორატორული ხელოვნება – დამყნობილი ამ გამორჩეული პიროვნების მაღალ ინტელექტზე და წარმოუდგენლად ფართო ზოგად თუ ქიმიურ ერუდიციასზე. ამ საოცარი

ლექციების სულის ლაკონურად გადმოცემა შეიძლება ანატოლ ფრანსის (ცნობისათვის – ბატონი ვიქტორის საყვარელი მწერლის) სიტყვებით: „სწავლების ხელოვნება წარმოადგენს ხელოვნებას ახალგაზრდის სულში ცნობისმოყვარეობის გაღვიძებისა და შემდგომში მისი დაკმაყოფილებისა“.

სტუდენტებთან ურთიერთობისას ბატონი ვიქტორი მათთვის მხოლოდ მეცნიერული ცოდნის მიწოდებას როდი სჯერდებოდა. იგი არანაკლებ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდის მორალურ-ზნეობრივ, მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებას. ალბათ, ამიტომ უყვარდა მას სინკლერ ლუისის სიტყვების ხშირად გამეორება: „ცოდნას ფასი არ გააჩნია, თუ იგი არ ეყრდნობა სიყვარულს“.

სწორედ მომავალი თაობის კარგ სპეციალისტებად აღზრდისათვის ზრუნვა იქცა იმ დომინანტურ ფაქტორად, რომლის გავლენითაც ბატონმა ვიქტორმა მოსწავლეებსა და სტუდენტებს არაერთი სახელმძღვანელო დაუტოვა; ამ საშვილიშვილო საქმეში პროფესორ ვიქტორ კოკოჩაშვილს ბადალი არ ჰყოლია – მისი ავტორობით გამოცემული სხვადასხვა დანიშნულების წიგნების საერთო მოცულობა 9000 გვერდს აღემატება!

რაფინირებული ინტელიგენტი, ენციკლოპედიური ცოდნის სწავლული, ჭეშმარიტი პედაგოგი, დიდი კულტურტრეგერი – ასეთი ახსოვთ ბატონი ვიქტორი მის კოლეგებსა და აღზრდილებს.

ზურაბ ძონენიძე
მიხეილ გვერდნითელი
2001 წ.

ბროფესორ ვიქტორ კოკოჩაშვილის ცხოვრება-მღვაწეობის ძირითადი თარიღები

1904 წლის 12 ნოემბერს დაიბადა ქ. ქუთაისში, ცნობილი კათოლიკე პროფიზორის – ივანე კოკოჩაშვილის ოჯახში.

1923 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმია-ფარმაცევტულ ფაკულტეტზე.

1928 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი ფარმაკოქიმიკოსის დიპლომით. სწავლის პერიოდში მისი ლექტორები იყვნენ ცნობილი მეცნიერები: პეტრე მელიქიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, იასონ მოსეშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვ.

1927-28 წლებში მუშაობდა თსუ არაორგანული ქიმიის კათედრის ასისტენტად.

1929-30 წლებში ფიზიკური ქიმიის კათედრის ასისტენტია.

1930 წელს მიიწვიეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლად. იმავე წელს მას ირჩვევენ აკადემიის ქიმია-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის კათედრის ასისტენტად.

1931 წელს ინიშნება დნეპროპეტროვსკის ქიმიო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის არაორგანული ქიმიის კათედრის დოცენტად, პარალელურად – უკრაინის ფიზიკური ქიმიის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლად.

1932 წელს მუშაობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლად, მოგვიანებით კი – იმავე ინსტიტუტის ასპირანტების ხელმძღვანელად არაორგანულ და ფიზიკურ ქიმიაში. იმავე წელს გახდა ქიმიო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის კათედრის დოცენტი, გამოყენებითი ქიმიის ინსტიტუტისა და ლენინგრადის ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი.

1933 წელს ლენინგრადში ჩატარებული აირად ფაზაში მიმდინარე ფოტოქიმიური რეაქციების კვლევების მიხედვით, დაცვის გარეშე, მიენიჭა **ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი**, ასევე მიენიჭა თსუ დოცენტის წოდება; შეთავსებით მუშაობდა გამოყენებითი ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლად.

1934-35 წლებში მუშაობდა თსუ ასპირანტების ხელმძღვანელად ფიზიკურ ქიმიაში და მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ქიმიური ინსტიტუტის სწავლულ სპეციალისტად.

1935 წელს დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრის გამგედ; ამ თანამდებობაზე თითქმის **40** წელი (1973 წლამდე) იმოღვანა.

1935 წელს აირჩიეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის კათედრის დოცენტად.

1943 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „წყალბადისა და ბრომის ნარევების წვის მოვლენის შესწავლა“.

1944 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. ამ თანამდებობაზე მუშაობდა გარდაცვალებამდე.

1961 წელს მიენიჭა საქ. სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1980 წელს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისა და დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით დააჯილდოვეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლით.

1986 წლის 17 აპრილს გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ.

* * *

ბატონი ვიქტორი წლების განმავლობაში იყო თსუ ქიმიის ფაკულტეტის ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ეს საბჭო მეცნიერების დოქტორისა და კანდიდატის ხარისხებს ანიჭებდა სპეციალობებში: არაორგანული ქიმია, ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია, ანალიზური ქიმია და კოლოიდური ქიმია.

ქუთაისის კოკოხაშვილის ოჯახური გარემო

წინაპრები

ქუთაისელი კათოლიკეები გამოირჩეოდნენ განსწავლულობით, განათლებითა და მიზანდასახული შრომასაქმიანობით. მთელ დასავლეთ საქართველოში ისინი ერთ-ერთი პირველები იყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. თავდაპირველად ქუთაისში გადასახლებულა ახალციხელი კათოლიკეების რამდენიმე ოჯახი. მათ, ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის მსგავსად, ახალციხეში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების მფარველობით შეინარჩუნეს ეროვნულობა, ქრისტიანული რწმენა – გადაურჩნენ გამაჰმადიანებას, აგრეთვე, კათოლიკე პატრებთან ახლო ურთიერთობით ზოგადად გაიცნეს ევროპული ცხოვრების წესი, ისწავლეს განათლების ფასი და მათთვის სასარგებლო შრომა-საქმიანობის აუცილებლობა.

როგორც საისტორიო წყაროებითაა ცნობილი, დაახლ. XIX საუკუნის დამდეგს ახალციხიდან ქუთაისში ძირითადად ვაჭრები გადმოსახლებულან, რომლებსაც უკვე ჰქონდათ საქმიანი ურთიერთობა უცხოეთთანაც, აწარმოებდნენ ფართომასშტაბიან სავაჭრო ოპერაციებს. მომდევნო წლებში თანდათან იზრდებოდა ქუთაისში კა-

თოლიკეთა რიცხვი. მათი საქმიანობა უფრო მრავალ-მხრივი ხდებოდა: ცნობილი ვაჭარ-მრეწველების შვილები ევროპის ქვეყნებში ლებულობდნენ განათლებას მედიცინისა და სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებით.

ქუთაისის ისტორიას ამშვენებს ბევრი ქართველი კათოლიკეს სახელი, მათ შორის არიან: კოკოჩაშვილები, ფალიაშვილები, ხეჩინაშვილები, ვარლამიშვილები, ყაუხჩიშვილები, ოცხელები, ბეთანელები, ფეიქრიშვილები, გოკიელები, თუმანიშვილები, მეფისაშვილები, მიზანდარები, ბეგიშვილები, ასლანიშვილები და მრავალი სხვ. ისინი ქვეყნის ეკონომიკურ, მეცნიერულ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე თავიანთი ნაყოფიერი ცხოვრება-მოღვაწეობით წერდნენ საქართველოს ისტორიის ერთიანი მატრიანის საინტერესო ფურცლებს...

ასეთი სახელოვანი წინაპრების შთამომავალია **პროფესორი ვიქტორ კოკოჩაშვილი**.

ახალციხიდან ქუთაისში გადმოსახლებულ კათოლიკეთა შორის პირველად მოხსენიებულია **ივანე პეტრეს ძე კოკოჩაშვილი**, თუმცა დასავლეთ საქართველოში მისი დაფუძნების ზუსტი თარიღი არ არის ცნობილი. სამაგიეროდ, ცნობილია ივანეს მამისა და ბაბუას სახელები, მათი საცხოვრებელი ადგილი და საქმიანობა. ამ საკითხთან დაკავშირებით ძირითადად გამოვიყენეთ გიორგი (გოგი) კოკოჩაშვილის მიერ შედგენილი „კოკოჩაშვილების გვარეულობა“ და გვარის ეტიმოლოგია.

1. ქაიხოსრო (ქაქუჩა) ქორჩიაშვილი

კათოლიკე კოკორჩიაშვილების წინაპრები მართლმადიდებელი **ქორჩიაშვილები** ყოფილან. წყაროებით ამ გვარის პირველი თაობის წარმომადგენლად სახელდება **ქაიხოსრო (ქაქუჩა|| ქაქუცა) ქორჩიაშვილი** – დაბადებული დაახლ. 1715 წელს შორაპნის მაზრის სოფელ საზანოში¹.

ახალგაზრდა ქაქუჩა იმერეთის მეფის სოლომონ II-ის კარზე ითვლებოდა სანდო და ერთგულ მსახურად, მოღვაწეობდა დიპლომატიურ კორპუსში; იგი მეტად განათლებული პიროვნებაც ყოფილა. როცა ოსმალეთთან ბრძოლის დროს სტამბულში მძევლებად წაუყვანიათ სოლომონ მეფის ორი შვილი, მათი თანმხლები ამალის ერთ-ერთ წევრად ქაქუჩაც გაუყოლებიათ. ასე მოხდა ქაქუჩა სტამბულში. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მას აქ უსიამოვნება შემთხვევია და იძულებული გამხდარა თავი შეეფარებინა იქაური ფრანგული კათოლიკეთა მისიისათვის. აქ დაუკავშირდა იეზუიტ მამებს და მათთან თანაცხოვრების შემდეგ კათოლიკობა მიიღო.

ქაქუჩას გადაუწყვეტია სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ იმ პირობებში პოლიტიკური ვითარების გამო ეს შეუძლებელი იყო მისთვის. ისევ საფრანგეთის საელჩოს ნებართვით, იეზუიტი მამების დახმარებით (მათთან ერთად ბერის ტანსაცმელში გადაცმული) დაბრუნდა საქარ-

¹ ბაგრატიონებს საზაფხულო რეზიდენცია ჰქონიათ საზანოში.

თველოში და დასახლდა ახალციხეში, რადგან აქ ოსმალო მოხელეთაგან უფრო დაცული იქნებოდა. ახალციხეში მამა-პაპის გვარი შეიცვალა და **ქოქოჩაშვილი** გახდა; მისგან დროთა ვითარებაში გარკვეული ფონეტიკური ცვლილებით შეიძლება იყოს მიღებული გვარი **კოკოჩაშვილი**.

2. პეტრე (ყოყოჩა) ქოქოჩაშვილი

ქაქუჩასთან დაკავშირებით არსებობს სხვა ინფორმაციაც: სტამბულიდან ახალციხეში დაბრუნებულ ქაქუჩას ცოლად შეურთავს იქაური კათოლიკე ქალი, რომელთანაც შესძენია ორი ვაჟი: **პეტრე** და **ივანე**. შვილებმა მამის დახმარებით დაიწყეს ვაჭრობა, მაგრამ ერთხელ ოსმალებში სავაჭროდ წასული ივანე (ცოლ-შვილი არ ჰყოლია) უგზო-უკვლოდ დაკარგულა. მამასთან დარჩენილა პეტრე, რომელიც ფიზიკურად ძალიან ძლიერი ვაჟკაცი და თან მეტად საქმიანი ყოფილა. მას გაუჩენია აქლემების დიდი ქარავანი და ევროპაში გაჰქონდა საქონელი, ახალციხეში საკუთარი ქარვასლაც ჰქონია. პეტრეს შეურთავს ახალციხელი კათოლიკე ქალი, შესძენია ორი ვაჟი: **ივანე** და **ანტონი**.

ერთ-ერთი შორეული მოგზაურობის დროს პეტრეს ქარავანს თავს დასხმიან ყაჩაღები, ქარავანი ამოუჟღეციათ, მათ შორის დალუპულა პეტრეც (მხოლოდ რამდენიმე კაცი გადარჩენილა). ამის შემდეგ პეტრესათვის (მისი სიძლიერის გამო) შეურქმევიათ **ყოყოჩა** (შდრ. ყოჩი). შესაბამისად, ყოყოჩას შვილებს გვარად ყოყოჩაშვილი

აურჩევიათ. არ არის გამორიცხული ახალ საცხოვრებელ ადგილზე გვარის შეცვლას (თუნდაც მცირეოდენ ცვლილებას) მათი ფიზიკური გადარჩენის მიზანიც ჰქონდა.

3. ივანე პეტრეს ძე ყოყონაშვილი /კოკონაშვილი

ივანეს მამა პეტრე რომ დაღუპულა შორეული მოგზაურობის დროს, მაშინ მისი ვაჟები მცირეწლოვანები ყოფილან. ქმრის დაღუპვისა და ქარავანის განადგურების ამბავი ოჯახმა გვიან შეიტყო. პეტრეს გარდაცვალებით ისარგებლეს თურმე ნათესავებმა და ახალციხეში დარჩენილი ქონებაც მთლად გაუნიავეს. ამ უბედურების გამო პეტრეს მეუღლეც გარდაცვლილა. ობლად დარჩენილი ბავშვები ახლობლებს გაუგზავნიათ ქუთაისში საცხოვრებლად. ეს უნდა მომხდარიყო, ალბათ, XIX საუკუნის დასაწყისში.

ივანემ (1799-1864) ცოლად შეირთო ქუთაისელი კათოლიკე ქალი ანა არაზაშვილი. შეეძინათ სამი ვაჟი: პეტრე-პავლე, იაკობი და თომა¹. ივანეს ძმას – ანტონს მემკვიდრე არ ჰყოლია, მის შესახებ სხვა ინფორმაცია არ არის შემონახული.

ერთ-ერთი ოფიციალური წყაროს მიხედვით, „ქუთაისელი კათოლიკენი გარდა ვაჭრობისა და მეწარმეო-

¹ იაკობის (1734-1866) მეუღლე იყო მარიამ თუმანიშვილი, მათ შვილი არ დარჩენიათ; თომა (1837-1868) უცოლო იყო.

ბისა, გამოირჩეოდნენ სხვა საქმიანობაშიც; მრავალი მათგანი ფრიად განსწავლული და განათლებული პიროვნება იყო. მათ შორის აღსანიშნავია **ივანე პეტრეს ძე კოკოჩაშვილი**. ის დახელოვნებული იყო სამედიცინო დარგში, თვითონ ამზადებდა წამლებს და უფასოდ ურიგებდა ავადმყოფებს. მან მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თავისსავე სახლში „სამკურნალო აფთიაქი“ გახსნა. მისივე დამსახურებაა „ბოტანიკური ლექსიკონის“ შედგენა ლათინურ, არაბულ, ოსმალურ, სომხურ და რუსულ ენებზე“ (ნ. კვარაცხელია).

4. პეტრე-პავლე კოკოჩაშვილი

ივანე კოკოჩაშვილის საქმე კიდევ უფრო განავითარა მისმა შვილმა **პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილმა** (დაბადებულია 1832 წელს ქუთაისში). იგი პირველად სწავლობდა ქუთაისელ კათოლიკე პატრებთან სამრევლო სკოლაში, საქმის წარმოების წესებიც მათგან შეუთვისებია. შემდეგ განათლება მიუღია ევროპაში. ბევრს მოგზაურობდა; ბერლინში ცხრა თვე უცხოვრია. განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენდა ფარმაცევტიკასა და ექიმობაში. პეტრე-პავლეს ოჯახმა დიდ წარმატებას მიაღწია საექიმო, სააფთიაქო და სავაჭრო ასპარეზზე. „მისი უდიდესი დამსახურებაა **ქუთაისში პირველი აფთიაქის გახსნა 1860 წელს**, რომელიც იმ დროს ერთადერთი იყო მთელს ქუთაისის გუბერნიაში (ამჟამად აფთიაქი №8 – ჟ. ფ.). ქუჩას, სადაც აფთიაქი გაიხსნა, შემდგომში აფ-

თიაქარის ქუჩა ეწოდა. გარდა აფთიაქისა, კოკოჩაშვილებს თავის სახლში გახსნილი ჰქონდათ აბანოც“ (ნ. კვარაცხელია, „ქუთაისელი კათოლიკეები XIX საუკუნეში“ (ნაწყვეტი ავტორის სადისერტაციო ნაშრომიდან): გაზ. „საბა“, 1998, აპრილი).

სხვა ინფორმაციით, პეტრე კოკოჩაშვილი წამლებს და სხვადასხვა მედიკამენტურ მოწყობილობებს იძენდა კონსტანტინოპოლიდან, რუსეთიდან, ბელგიიდან, ვენიდან. მისი შვილები: ლევანი, ივანე და ზაქარია პროვიზორები (ფარმაცევტები) იყვნენ, რომლებმაც დაახლ. 1890 წელს ქუთაისში გახსნეს საუკეთესო **სააფთიაქო ნივთების მაღაზია**. ლევან და ზაქარია კოკოჩაშვილების ქალიშვილებიც – თამარი და ნინო – ასევე პროვიზორები იყვნენ. თამარმა განათლება მიიღო პეტერბურგში და საქართველოში პირველი პროვიზორი ქალი იყო.

პეტრე-პავლე კოკოჩაშვილმა მის მიერ გახსნილ აფთიაქის ეზოში დააარსა „**სურნელოვან სასმელი**“¹ წყლის ქარხანა, აქვე ჰქონია პირველი **ყინულის** ქარხანა. „აქ დამზადებული სასმელები ცნობილი იყო კავკასიის მთელ ტერიტორიაზე. ამრიგად, ქუთაისში XIX საუკუნის შუა წლებში, საქართველოში პირველად ჩაისახა ხილეული და მინერალური წყლების მრეწველობა. 14 წლის მიტროფანე ლალიძე აქ ეზიარა პირველად ხილის სასმელების დამზადების ტექნოლოგიის საიდუმ-

¹ ამ წყლის თავდაპირველი სახელი ყოფილა „უცხო სუნოვან სასმელი“ წყალი, იგი ისხმებოდა სპეციალურ ბოთლებში, რომელსაც ჰქონდა ნარწერა: „Воды П. П. Кокочева“.

ლოებას“ (დ. ნებიერიძე-გაბრიჩიძე, „კოკონაშვილების კვალი ნათელი: გაზ. „საბა“, 2004, აგვისტო).

ზემოაღნიშნულთა გარდა, პეტრე-პავლეს ოჯახის დამსახურებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მას ეკუთვნის ქუთაისის წყალსადენის პირველი პროექტი, რომელიც ქალაქის თვითმმართველობის არქივში ინახებოდაო. ასევე არსებობს ინფორმაცია, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ პეტრე-პავლეს გაუმართავს ხე-ტყის სახერხი საამქროც „გაღმა, ყოფილი სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ“.

პეტრე-პავლეს ჰყავდა 6 შვილი (ოთხი ვაჟი და ორი ქალიშვილი): სოფიო (1852-1919), ლევანი (1855-1931; ფარმაცევტი), ვასილი (1859-1948; იურისტი), ემილია (1865-1939), ივანე (1868-1910; ფარმაცევტი), ზაქარია (1879-1922; ფარმაცევტი).

5. ივანე კოკონაშვილი

ვიქტორ კოკონაშვილის მამა – ივანე იყო იმ დროისათვის ქუთაისში მოღვაწე აფთიაქარისა და მრეწველის, პეტრე-პავლე კოკონაშვილის ერთ-ერთი ვაჟი. მას დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტი (ახლ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ფარმაცევტის სპეციალობით (რაზედაც მოწმობს უნივერსიტეტის სახელობითი ოქროს ჟეტონი, გაცემული 1889-1893 წწ. (იხ. ფოტოდოკუმენტურ მასალაში) ივანეს

სტუდენტური წლების აღსანიშნავად). ივანე, ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა, ქუთაისში კარგად უძღვებოდა თავის საქმეს, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად იგი წარმატებული პროვიზორი იყო. ახლობელთა მოგონებებით, ივანეს ძალიან ჰყვარებია სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა, უცხო მხარეების მონახულება, იქაური ცხოვრების გაცნობა, თუმცა, სამწუხაროდ, ბედისწერამ ნაადრევად დაუსვა წერტილი მის საქმიანობას, ოჯახურ ბედნიერებასა და განსაკუთრებულ გატაცებებს.

დედა – **მარიამ მამულაშვილი (1878-1967)** იყო ცნობილი გორელ კათოლიკეთა ოჯახის ასული, დამთავრებული ჰქონდა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, გორში მუშაობდა მასწავლებლად.

ივანემ და მარიამმა ჯვარი დაიწერეს 1900 წელს გორის წმინდა ოჯახის კათოლიკურ ტაძარში. დასახლდნენ ქუთაისში, ივანეს სახლში, დღევანდელი ფელიქს ვარლამიშვილის ქუჩაზე, ქალწული მარიამის უბინოდ ჩასახვის ტაძრის მოპირდაპირე მხარეს. სამწუხაროდ, მათი ქორწინება მხოლოდ 10 წელი გაგრძელდა. აქ დაიბადა ივანეს ხუთი შვილი: მიხეილი, იოსები¹, ვიქტორი, ანა და ლეონარდო. ყველანი კათოლიკურ ტაძარში იყვნენ მონათლული.

ქუთაისის ამ ულამაზეს უბანში იზრდებოდნენ კოკოჩაშვილების შვილები, მაგრამ მოულოდნელად ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს – **1910** წელს გულის მწვავე შეტევით მოულოდნელად გარდაიცვალა

¹ ეპიდემიით გარდაიცვალა 1903 წელს (ერთი წლისა).

ოჯახის უფროსი – ივანე (იმ პერიოდში ქუთაისშიც გრძელდებოდა 1905-1907 წლების რევოლუციების შემდგომი რეპრესიები ინტელიგენციისა და საქმიანი მოქალაქეების მიმართ, რამაც, სამწუხაროდ, ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეინირა).

ნაადრევად დაქვრივებულ ქალიშვილს მცირეწლოვანი შვილების აღზრდაში გვერდით ამოუდგა გორელი ბებია სოფიო ანდრონიკაშვილი¹ (1847-1919). ამ საშინელ წლებში ოჯახისათვის სოფიო ბებიას მიერ გაწეულ ამაგს ყოველთვის დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით იგონებდა ბატონი ვიქტორი. მალე ოჯახში ახალი ტრაგედია დატრიალდა: გარდაიცვალა ერთადერთი ქალიშვილი ანა – 5 წლის ასაკში.

მიუხედავად ამ უმძიმესი ხვედრისა, ქალბატონი მარიამი მედგრად შეხვდა განსაცდელს, ოჯახის უზომო სიყვარულმა შეაძლებინა ვაჟები (მიხეილი, ვიქტორი, ლეონარდო) განათლებულ, პატიოსან, კეთილშობილ და შრომისმოყვარე ადამიანებად აღეზარდა. შვილებიც დედას განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ („სულ თქვენობით მიმართავდნენ“) და სიცოცხლის ბოლომდე საოცარ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდნენ.

ბედისწერამ ქალბატონ მარიამს არ აკმარა გადატანილი უბედურება – ავბედით ოცდაათიან წლებში უმცროსი ვაჟი **ლეონარდო**, ქალაქ ქუთაისის არქიტექტორი

¹ დაკრძალულია ქუთაისში, კოკოჩაშვილების საგვარეულო სასაფლაოზე (საფიჩხიაზე).

და მშენებელი, 27 წლის ახალგაზრდა, ნიჭიერი და პერსპექტიული ინჟინერი, რომლის ხელმძღვანელობით მრავალი ობიექტი აშენდა ქუთაისში (დანყებულნი ჰქონდა ქუთაისის დრამატული თეატრის მშენებლობა)... ხალხის მტრად გამოცხადდა“ და საფიჩხიის ტყეში სხვა „მსჯავრდებულებთან“ ერთად **დახვრიტეს 1937** წელს (იმ წლის დეკემბერში დაგეგმილი იყო ადგილობრივი ორგანოების არჩევნები. ლეონარდოს ევალეობოდა ლოზუნგების განაწილება ქალაქში. სწორედ ამასთან დაკავშირებით დააპატიმრა იგი ჩეკამ). ლეონარდოც, მამის მსგავსად, შავბნელი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა... 1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ბ-ნი ვიქტორი დაიბარეს „ჩეკაში“ და გადასცეს მისი ძმის რეაბილიტაციის უწყება. მაშინ ვიქტორმა „უფროსებს“ თურმე „მადლობა გადაუხადა“ შემდეგი სიტყვებით: „უდანაშაულო ძმა დღეს მეორედ მომიკალითო“.

* * *

ივანესა და მარიამის უფროსი შვილი **მიხეილი** (1901-1963) იყო ექიმი, ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1924 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. იყო აკად. გრ. მუხაძის მოწაფე. 1932 წლიდან გარდაცვალებამდე განაგებდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიისა და ორთოპედიის კათედრას... ქართულ ენაზე შეადგინა ბავშვთა ქი-

რურგიის პირველი სახელმძღვანელო (1955 წ.). იგი ხშირად სტუმრობდა ქუთაისს და მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან, აქ ხშირად ატარებდა ოპერაციებს და კონსულტაციებს უწევდა იქ მომუშავე პედიატრებს. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით. მიხეილ კოკოჩაშვილის შესახებ წარმოდგენილი ეს მოკლე ინფორმაცია ცემეცხველებს ბ-ნი ვიქტორის უფროსი ძმის მეცნიერული მემკვიდრეობის უდიდეს მნიშვნელობაზე ქართული მედიცინის ისტორიაში, მის ღირსებასა და ღვაწლზე.

მიხეილ კოკოჩაშვილს ჰყავდა ორი შვილი: **ანა** (1934-2012; ექიმი პედიატრი) და **თეიმურაზი** (1936-1986; კიბერნეტიკოსი); დარჩენენ მათი შვილები და შვილიშვილები... მათ შორისაა ბაბუას სეხნია **მიხეილ** თეიმურაზის ძე (დაბად. 1979; მხატვარი)... და ასე, დღესაც გრძელდება დიდი ბაბუას – ივანეს სახელოვანი სიცოცხლე მის შთამომავლებში.

ვ. კოკოჩაშვილის მშობლები – ივანე და მარიამი – განისვენებენ ქუთაისში, საფიჩხიის საგვარეულო სასაფლაოზე, მათი შვილებისა და ნათესავების გვერდით.¹

ქუთაისში პირველად დამკვიდრებული ახალციხელი კათოლიკე კოკოჩაშვილის კიდევ მრავალმა შთამომავალმა ასახელა ქართველი ერი, მშობლიური ქალაქი; კოკოჩაშვილები დღესაც ღირსეულად აგრძელებენ წინაპართა ტრადიციებს...

¹ ამ სასაფლაოს, მამის მსგავსად, დღეს ყურადღებას არ აკლებს ქ-ნი თინა კოკოჩაშვილის ოჯახი.

6. ვიქტორ კოკოჩაშვილი

გიმნაზიის წლები

ტრადიციისამებრ ქართველ კათოლიკეთა შვილები ელემენტარულ ცოდნას ოჯახში იღებდნენ, გიმნაზიაში შესვლამდე კი სწავლობდნენ კათოლიკურ ეკლესიებთან არსებულ სამრევლო სკოლებში.

ივანეს ოჯახი ქუთაისის წმინდა მარიამის უბინოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესიის ახლოს ცხოვრობდა. ბავშვები უფროსებთან ერთად ესწრებოდნენ საკვირაო წირვას (ვაჟები მინისტრანტები იყვნენ – ტექნიკურ საქმეებში ეხმარებოდნენ მღვდელს წირვის დროს). ეკლესიის ეზოში, ცალკე შენობაში, განთავსებული იყო ორწლიანი სამრევლო სკოლა.

1905 წლიდან ეკლესიის მოძღვრად დაინიშნა დონ დამიანე სააკაშვილი. მშობლიურ ქალაქს მისი სახით დაუბრუნდა ენციკლოპედიური განათლების მქონე პიროვნება, ჭეშმარიტად გამორჩეული ინტელიგენტი.

დამიანე ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა რომის სასულიერო აკადემიაში, ბრწყინვალედ ფლობდა თეოლოგია-ფილოსოფიის საგნებს, იცოდა უცხო ენებიც; იქვე შესთავაზეს კიდევ სასულიერო სემინარიაში ლექციების წაკითხვა, მაგრამ მან უარი განაცხადა, რადგან „ახალგაზრდა მოძღვარს გული მრევლის სამსახურისაკენ მიუწევდა; სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ოდესის, ლუგანსკის, პერეკოპის სამრევლოებ-

ში. ყველგან ნერგავდა სიყვარულს, სათნოებას, სიკეთეს და, სამაგიეროდ, თავადაც იმსახურებდა საყოველთაო პატივისცემას“ (ი. ვარლამიშვილი).

ქუთაისში დაბრუნებისთანავე დონ დამიანეს ძირითადი ყურადღება გადაუტანია ბავშვების განათლებასა და აღზრდაზე. მისი მზრუნველობით მალევე გაფართოვდა სკოლის შენობა, გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა და სწავლების ხარისხიც.

კეთილშობილი მოძღვრის შესახებ, ზეპირი თუ წერილობითი მეხსიერებით, არაერთი თბილი მოგონება შემორჩა დღემდე ქუთაისში. ვისაც კი მოუსმენია დონ დამიანეს ქადაგება საკვირაო წირვაზე, საკუთარი თვალით უნახავს მოძღვრის მზრუნველი ხელით ბაღნარად ქცეული ეკლესიის ეზო-გარემო, მუდამ მაღლიერებით აღნიშნავდა, რომ „დონ დამიანეს მომხიბვლელ ფიზიკურ გარეგნობას ბუნებრივად ერწყმოდა პიროვნული, საოცრად ამაღლებული სულიერი თვისებები: სისპეტაკე, უანგარობა, მოყვასის სიყვარული, თანადგომა, შეწყალება“ (ი. ვარლამიშვილი).

აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი დონ დამიანე მღვდელმსახურებას ბრწყინვალედ უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, დირექტორის მინვევით, წლების განმავლობაში ასწავლიდა საქართველოს ისტორიას, თეოლოგიას, ფილოსოფიას.

ღრმად მორწმუნე ოჯახში აღზრდილი ძმები კოკოჩაშვილები ყოველთვის მოკრძალებითა და პატივისცემით იგონებდნენ მათი სულიერი მამის – დონ დამიანეს გვერ-

დით გატარებულ ბავშვობის წლებს – პერიოდს, როცა კეთილშობილი მოძღვრის მეოხებით უკეთ ეცნობოდნენ ცხოვრებას, სადაც ერთმანეთის გვერდით არსებობდა სიკეთე და ბოროტება; მოძღვრის ყოველდღიური საქმიანობით სწავლობდნენ შრომის სიყვარულს, მოვალეობა-პასუხისმგებლობას. ყველა ეს დადებითი თვისება ბავშვებში კიდევ უფრო გააძლიერა სამრევლო სკოლამ და თან დაარწმუნა ცოდნა-განათლების აუცილებლობაშიც.

ვიქტორს დონ დამიანესადმი განსაკუთრებული სიყვარული და მოკრძალება სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. ბავშვობაში შთანერგილი ეს სიტბო უფრო მყარი და შეგნებული გახდა გიმნაზიის წლებში, როცა ისმენდა საქართველოსა და მშობელ ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებული მოძღვრის ლექციებს საქართველოს ისტორიაში; მადლიერებით იგონებდა იმასაც, რომ მის ცხოვრება-საქმიანობას მუდამ ასაზრდოებდა გამორჩეული მასწავლებლის გულწრფელი საუბრები ახალგაზრდებთან, საუბრები, ქვეყნის კეთილდღეობას რომ ემსახურებოდა.

ვ. კოკორჩაშვილისათვის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო გიმნაზიაში სწავლის პერიოდი. ჯერ კიდევ ბავშვი, მოხვდა სრულიად განსხვავებულ გარემოში, მაგრამ ბეჯითი, ნიჭიერი მოსწავლე ყოველთვის წარმატებულ გიმნაზიელად ითვლებოდა.

ვ. კოკორჩაშვილმა **1923** წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. იგი ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა ამ სასწავლებელში გატარებულ წლებს, ამაცობდა აქ მიღებული კლასიკური განათლებით. იოსებ ოცხე-

ლის ხელმძღვანელობით ქუთაისის კლასიკური გიმნაზია იქცა მთელი დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდობისათვის ჭეშმარიტი ცოდნის სამჭედლოდ, მიუხედავად მაშინდელი ცარისტული პოლიტიკის მკაცრი რეჟიმისა და რეპრესიებისა.

ბ-ნი ვიქტორი მადლიერებით მოიხსენიებდა ხოლმე გიმნაზიის ბევრ მასწავლებელს, რომელთა გაკვეთილებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს ყმანვილის სამომავლო ცხოვრების გზა და, მეორე მხრივ, გაუძლიერეს ეროვნული სული და მისი პიროვნული მოვალეობა (პასუხისმგებლობა) სამშობლოს წინაშე. ასეთი გამორჩეული პიროვნება გიმნაზიელი ვიქტორისათვის პირველ რიგში იყო იოსებ ოცხელი (1865-1919), რომელსაც თავისი მრავალმხრივი განათლების¹, უსაზღვრო კეთილშობილებისა თუ მიზანმიმართული მოღვაწეობის გამო მთელი ცხოვრების მანძილზე მიიჩნევდა დიდ მასწავლებლად.

იოსებ ოცხელისადმი ვ. კოკოჩაშვილის განსაკუთრებული პატივისცემის ერთ-ერთი მიზეზი, გარდა მისი პიროვნული ღირსებისა, უთუოდ, ისიც იყო, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს ერთი ფესვები ჰქონდათ, რომ

¹ თავის დროზე და ახლაც პედაგოგიურ საზოგადოებაში ყველას ახსოვს ი. ოცხელის განსწავლულობასთან დაკავშირებით გიმნაზიის დირექტორის საქმიანობის ერთ-ერთი ჩვეულებრივი დეტალი: თუ გიმნაზიაში შემთხვევით ცდებოდა რომელიმე გაკვეთილი, იმ მასწავლებლის ნაცვლად კლასში მუშაობას აგრძელებდა დირექტორი; პირველ რიგში ჯგუფს ჰკითხავდა, რა მასალაზე იყვნენ გაჩერებული, და შემდეგ თავად იწყებდა მომდევნო ახალი მასალის ახსნას ნებისმიერი საგნის შემთხვევაში.

მათი წინაპრები ერთი კუთხის – ისტორიული მესხეთის შვილები იყვნენ.

იოსებ ოცხელი დაიბადა ქუთაისში, კათოლიკეთა ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის სამრევლო სკოლაში, შემდეგ დაამთავრა ვაჟთა გიმნაზია. 1885 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში. იოსების უდიდესი სურვილი და მონოდება იყო პედაგოგიური საქმიანობა, ახალი ტიპის სკოლის შექმნა, მაგრამ მას, როგორც „არაკეთილსაიმედოს“, აუკრძალეს მასწავლებლობა. მიუხედავად მრავალგვარი წინააღმდეგობისა, 1905 წელს მან, მანამდე მისი მიერ დაარსებული ე. წ. „უუფლებო“ სკოლა, გიმნაზიად გადააკეთა. ეს იყო პირველი ქართული საშუალო სასწავლებელი დასავლეთ საქართველოში. „იოსებ ოცხელმა გიმნაზიაში შემოიკრიბა პროგრესულად განწყობილი ყველა გამოჩენილი პედაგოგი ახალი ტიპის ქართული სკოლის შესაქმნელად და ერთიანი პედაგოგიური კოლექტივი ჩამოაყალიბა. გიმნაზიის მასწავლებლობა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა წრეს შეადგენდა, რომელთაც ნათლად ჰქონდათ შეგნებული, რომ ქართულ გიმნაზიაში პედაგოგიური მუშაობა ეროვნული საქმის ერთ-ერთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან უბანზე მოღვაწეობას ნიშნავდა“ (ვ. ქაჯაია, გამოჩენილი ქართველი პედაგოგები, თბ., 1973, გვ. 212).

წლების განმავლობაში ასეთმა გარემომ ჩამოაყალი-

ბა ვ. კოკოჩაშვილის პიროვნება, ამიტომ გამორჩეულად უყვარდა მას ბავშვობისა და გიმნაზიის წლები, უყვარდა მშობლიური ქალაქი ქუთაისი, რომელმაც ნიჭიერ ყმანვილს დაულოცა გზა უმაღლესი განათლებისაკენ...

ახალი ცხოვრება თბილისში

1923 წელს ვ. კოკოჩაშვილი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, სწავლობდა ქიმიურ-ფარმაცევტულ განყოფილებაზე. აქაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა ნიჭიერი ყმანვილის შრომისმოყვარეობა, არჩეული სპეციალობის განსაკუთრებული სიყვარული და მეცნიერული კვლევის უნარი. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ მეხუთეკურსელი, წარჩინებული სტუდენტი, 1927 წელს მუშაობას იწყებს არაორგანული ქიმიის კათედრის ასისტენტად. სწორედ აქედან დაედო სათავე ვ. კოკოჩაშვილის ხანგრძლივ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც თავადაც ისმენდა ცნობილი მეცნიერების: პეტრე მელიქიშვილის, ივანე ბერიტაშვილის, იასონ მოსეშვილის, იოველ ქუთათელაძის, სიმონ ყაუხჩიშვილისა და სხვათა ლექციებს. მათგან სწავლობდა არა მხოლოდ კონკრეტული მეცნიერების თეორიულ საფუძვლებს, არამედ ეუფლებოდა საგნის სწავლების ხელოვნებასაც.

ბატონ ვიქტორს ძალიან უყვარდა თავისი საქმე, თავისი უნივერსიტეტი, აღმზრდელ-მასწავლებლები. სწო-

რედ ამ სიყვარულმა დაატოვებინა მას ქ. ლენინგრადის სამეცნიერო სამოთხე და დაბრუნდა სამშობლოში, თბილისის უნივერსიტეტში, სათავეში ჩაუდგა ფიზიკური ქიმიის კათედრას. ჭეშმარიტი ერისკაცი ერთგულად და პატიოსნად ემსახურებოდა ქართულ საქმეს, ეროვნული განათლების აღორძინებას, ქიმიის, როგორც მეცნიერების, განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში საინტერესო ფურცლებად ჩაინერება ვ. კოკოჩაშვილის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელმაც საქვეყნოდ არაერთგზის წარმოაჩინა ქართული მეცნიერების მიღწევები, ხოლო მისი აღზრდილები ყოველთვის მადლიერებითა და მოკრძალებით მოიგონებენ ამაგდარი მასწავლებლის სახელს.

* * *

პროფ. ვ. კოკოჩაშვილი გახლდათ ერთ-ერთი ჩინებული ქართული ოჯახის უფროსი: დიდსულოვანი, მზრუნველი მეუღლე, არაჩვეულებრივად ალერსიანი და მოსიყვარულე მამა, თბილი და მეტად ლმობიერი ბაბუა, რომელმაც თავისი პიროვნული ღირსებითა და მრავალმხრივი განათლებით წარუშლელი კვალი დატოვა შვილიშვილების მეხსიერებაშიც – გიორგი ამაყოფს თავისი სახელოვანი ბაბუას ცხოვრება-მოღვაწეობით.

ბატონი ვიქტორის მეუღლე ქალბატონი ანასტასია ზუბალაშვილი (პროფესიით ექიმი სტომატოლოგი, ცნობილი ქართველი კათოლიკე მრეწველებისა და


უმაგალითო ქველმოქმედ-მეცენატების ზუბალაშვილ-თა დიდი საგვარეულოს ღირსეული შთამომავალი) იყო კოკორაშვილების ოჯახის დედაბოძი, წინაპართა ღვანლის სანიმუშო ქომაგი, ღრმადმორწმუნე კათოლიკე და საოცრად კეთილი ბებია.

დღეს მშობლების ცხოვრებისეულ ტრადიციებს აგრძელებს ქალიშვილის – თინათინ კოკორაშვილ-თვალავაძის – ოჯახი, რომლის უმთავრესი ღირებულებებია: შრომისმოყვარეობა, განათლება, სიკეთე – ქველმოქმედება, წინაპართა ხსოვნისადმი განსაკუთრებული პატივისცემა, მათი ღვანლის არდავინწყება¹.

¹ ამ ოჯახის წევრთა უშუალო თანადგომითა და მათთან დაცული (ქ-ნ ანასტასიას მიერ წლების მანძილზე რუდუნებით ნაგროვები) საოჯახო არქივის მასალების გამოყენებით დაინერა და გამოიცა წიგნები: „ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან“ (თბ., 2011), „ზუბალაშვილების ცხოვრება – გზა სიკეთის მსახურებისა“ (თბ., 2019).

კოკონაშვილების ერთი შტოს გენეალოგია

ქაიხოსრო (ქაქუჩა|ქაქუცა)
ქორეჩაშვილი (დ. 1715)



ვიქტორ კოკოჩაშვილი – მეცნიერი და პედაგოგი

სამეცნიერო მოღვაწეობის ზოგადი მიმოხილვა

პროფესორი ვიქტორ ივანეს ძე კოკოჩაშვილი მიეკუთვნება იმ გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა რიცხვს, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს საქართველოში ქიმიის, როგორც ფუნდამენტური მეცნიერების, ჩამოყალიბება-განვითარებაში.

ახალგაზრდა მკვლევარი პირველივე წლებიდან ცდილობდა, საფუძვლიანად (უფრო სიღრმისეულად) შეესწავლა ფიზიკური ქიმიის იმდროინდელი კვლევის შედეგები საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ სამეცნიერო ცენტრებშიც. ამ მიზნით იგი 1931 წელს მიემგზავრება ჯერ უკრაინაში, ქ. დნეპროპეტროვსკის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, რათა გასცნობოდა კატალიზის თეორიას და მიეღო სამეცნიერო ნათლობა ამ დარგის უდიდესი მეცნიერის – ლ. პისარჟევსკისაგან, შემდეგ (1932 წელს) მუშაობას აგრძელებს ქ. ლენინგრადში აკადემიკოს ო. იოფეს სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში, აკად. ნ. სემიონოვის ლაბორატორიაში, სადაც მასთან ერთად მუშაობდნენ მომავალი დიდი მეცნიერები: ი. ზელდოვიჩი, ი. ხარიტონოვი, ვ. კონდრატიევი, ნ. ემანუელი, ა. ნალბანდიანი, ო. ჩალტეკიანი და სხვ. მათი ერთობლივი კვლევის შედეგად შეიქმნა ქიმიური რეაქციების **ჯაჭვური თეორია**, რომელმაც მიიღო

მსოფლიო აღიარება (ამ მიღწევისათვის აკად. ნ. სემიონოვს ქიმიის დარგში მიენიჭა ნობელის პრემია).

ვ. კოკოჩაშვილის მდიდარ და მეტად ნაყოფიერ მეცნიერულ მემკვიდრეობაში თავისი შედეგებით გამორჩეულია ნაშრომი **„წყალბადისა და ბრომის ნარეუების წვის მოვლენის შესწავლა“**, რომელიც წარადგინა სადოქტორო დისერტაციად. დისერტაციის დაცვა შედგა 1943 წელს.

გარდა ნაშრომში წარმოდგენილი ძირითადი სამეცნიერო სიახლეებისა, ვ. კოკოჩაშვილმა განიხილა ფოტოქიმიური რეაქციების კინეტიკა. წყალბადისა და ქლორის ფოტოქიმიური რეაქციის კინეტიკის კვლევისას აღმოაჩინა სარეაქციო ჯაჭვების ურთიერთქმედება მაღალი ინტენსივობის სინათლეზე; დაადასტურა გოგირდის ანჰიდრიდის ფოტოქიმიური გარდაქმნის პროცესში არაგანშტოებულ ჯაჭვურ რეაქციაში აალების სითბური ბუნება. ნახშირწყალბადის რეაქციების შესწავლისას აირად ფაზაში განსაზღვრა ელემენტარული რეაქციების სიჩქარეთა მუდმივები, რის საფუძველზე აღმოჩენილ იქნა კავშირი ნივთიერების აღნაგობასა და რეაქციაში შესვლის უნარს შორის. წყალბადისა და ბრომის აირად ფაზაში რეაქციის შესწავლამ კი ექსპერიმენტულად დაადასტურა კინეტიკის სკოლის მიღწევები აალებასა და წვაზე. აქვე დავსძენთ: ვ. კოკოჩაშვილმა ცოტა მოგვიანებით, 1951 წელს, აღმოაჩინა ალის ფრონტის არამდგრადობა და ჩამოაყალიბა მისი თეორია.

1946 წლის გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთ ნომერში მოსკოვის საკდესი იუწყებოდა: „თბილისის სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრის გამგემ, ვ. ი. კოკოჩაშვილმა დაამთავრა შრომა, მიძღვნილი წვის თეორიის აქტუალური პრობლემებისადმი. მსოფლიო მეცნიერებაში პირველად მოხერხდა ექსპერიმენტული გზით შემოწმება ამ თეორიის სისწორისა და გამორკვევა აალების საზღვრისა იმაზე დამოკიდებით, თუ როგორია ტემპერატურა, ნარევები და სხვა ფაქტორები. მიღებულ შედეგებს დიდი მეცნიერული და გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ავტორს ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა“.

დისერტაციასთან დაკავშირებით საგულისხმოა ბ-ნი ვიქტორის მონაფეების ასეთი შეფასებაც:

„პროფ. ვ. კოკოჩაშვილის აზროვნებისა და წერის მაღალი კულტურის ნიმუშად მოგვყავს მისი სადოქტორო დისერტაციის შესავლის პირველი ორი აბზაცი:

„Огонь – наиболее важное техническое достижение первобытного человека – до сих пор остаётся одним из мощных рычагов двигающих современную технику.

Изучение созедательной и разрушительной силы огня дало толчок развитию науки о превращении вещества“ (იხ. ვ. ძონენიძე, მ. გვერდნითელი, გვ. 6).

პროფ. ვ. კოკოჩაშვილის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მრავალმხრივი იყო, თუმცა აქაც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი მიმართულება.

სპეციალისტების აზრით, მეცნიერმა განავითარა

ახალი მიმართულება – ქიმიური კინეტიკა და მისი კვლევა-ძიება ძირითადად ამ დარგში მიმდინარეობდა. „მისი გამოკვლევების ერთი ციკლი მიზნად ისახავდა ფოტოქიმიურ რეაქციათა კინეტიკის შესწავლას. კვლევები ეყრდნობოდა შემდეგ დებულებას: რადგან აქტიური ცენტრების რაოდენობა სინათლის ინტენსიურობის პროპორციულია, რეაქციის სიჩქარეც აქტიური ცენტრების კონცენტრაციის პროპორციული უნდა იყოს. მაგრამ სინათლის დიდი ინტენსიურობის დროს, როცა შესაძლებელია სარეაქციო ჯაჭვების ურთიერთქმედება, მოსალოდნელია ამ მარტივი თანაფარდობის დარღვევა. წყალბადისა და ქლორის ფოტოქიმიური რეაქციის მაგალითზე ვ. კოკოჩაშვილმა დაადგინა, რომ სინათლის მაღალი ინტენსიურობის დროს რეაქციის სიჩქარე ანომალიურად იზრდება, და ამით დაამტკიცა სარეაქციო ჯაჭვების ურთიერთქმედება. ეს მოვლენა, მთელ რიგ სხვა ობიექტებზე, შემდგომში შეისწავლეს ნ. სემიონოვმა, ლ. ვორონოვმა, ა. ნალბანდიანმა და სხვა გამოჩენილმა ქიმიკოსებმა.

ვ. კოკოჩაშვილმა შრომების ციკლი მიუძღვნა გოგირდის ანჰიდრიდის ფოტოქიმიას. მან შეისწავლა გოგირდის ანჰიდრიდის ფოტოქიმიური წარმოქმნის რეაქცია, გოგირდოვანი ანჰიდრიდის ოპტიკური დაშლა და დაადგინა რეაქციის მექანიზმი, რომლის თანახმად, აქტიურ ცენტრს წარმოადგენს გოგირდის მონოოქსიდი. გოგირდოვანი ანჰიდრიდის კვანტური გამოსავლიანობის შესწავლამ დაადასტურა მის მიერ დადგენილი მექანიზმი.

წყალბადისა და ბრომის მაგალითზე, ვ. კოკოჩაშვილმა დაწვრილებით შეისწავლა აალების მოვლენები და ალის ფრონტის გავრცელების სიჩქარე. ამ გამოკვლევების ძირითადი მიზანი იყო აალებისა და ალის გავრცელების არსებული თეორიების ექსპერიმენტული დასაბუთება. ამ მიზნით იქნა გამოკვლეული წყალბადისა და ბრომის ნარევების თვითაალების ზღვრები, ინერტული და აქტიური მინარევების გავლენა ზღვრების მდებარეობაზე, ალის გავრცელების სიჩქარე და სხვ.

პროფ. ვ. კოკოჩაშვილის ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა ნათელყო, რომ აალების ზღვრების დამოკიდებულება გაზების ნარევის შემადგენლობაზე, ტემპერატურაზე, მინარევებზე, ალის ხასიათი ზღვრებზე, ალის გავრცელების სიჩქარე და აალების ზღვრის აბსოლუტური მნიშვნელობა სრულ თანხმობაშია ნ. სემიონოვის თეორიასთან. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ვ. კოკოჩაშვილის გამოკვლევებს თვით აკად. ნ. სემიონოვი მიიჩნევდა მისი თეორიის პირველ ექსპერიმენტულ დადასტურებად. ამასთანავე, ვ. კოკოჩაშვილმა დაამტკიცა, რომ არაგანმტოვებული ჯაჭვური რეაქცია სითბურ აალებას იძლევა.

პროფ. ვ. კოკოჩაშვილის მეტად მრავალმხრივი და ორიგინალური სამეცნიერო კვლევებიდან განსაკუთრებით ღირებულია ის, რომ მან **აღმოაჩინა ალის გავრცელების ახალი ფორმა** – ნაცვლად ალის ერთიანი ფრონტისა, მიიღება რამდენიმე სფერული ფრონტი. ალის გავრცელების ასეთი არატრადიციული ფორმა აიხსნება წყალბადის თერმოდინამიკის მოვლენით. ეს შრომები

ემსახურება ალის გავრცელების თეორიის შემდგომ განვითარებას და ამ კონცეფციების შუქზე შესაძლებელი გახდა არაერთი გაუგებარი თუ ბუნდოვანი საკითხის ახსნა. შემდგომში ეს კვლევები საფუძვლად დაედო ვ. კოკოჩაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ ალის ფრონტის არამდგრადობის ზოგად თეორიას“ (ზ. ძონენიძე, მ. გვერდნიტელი, გვ. 10-11).

და ბოლოს: პროფ. ვ. კოკოჩაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებით დავიმონუმებთ ერთ საყურადღებო ინფორმაციასაც, რომელიც დაიბეჭდა „Реферативный журнал Механики“ (1955, №5, стр. 17).

2287. Энергии искрового воспламенения в смесях водорода с бромом. Братертон, Андерсон (Spark-ignition energies in hydrogen-bromine mixtures. Brotherton Tom D., Anderson Robin C.), J. Phys. Chem., 1954, 58, № 11, 1052—1054 (англ.)

В закрытом сосуде при атмосферном давлении экспериментально определялась энергия искрового разряда для воспламенения гомогенных смесей водорода с бромом.

Полученная зависимость аналогична зависимостям для других горючих смесей. Минимальная энергия воспламенения требуется для смеси, содержащей 68—69% брома. Для смесей, содержащих 74—80% брома, вместо сферического пламени наблюдались отдельные произвольно направленные вверх языки пламени.

Результаты эксперимента хорошо согласуются с данными В. И. Кокочашвили (Ж. физ. химии, 1949, 23, 15, 21) по определению минимального давления воспламенения и не согласуются с данными расчетов по уравнению Льюиса и Эльбе (Lewis V., Elbe G. von, J. Chem. Phys., 1947, 15, 803), а также с экспериментальными данными по определению скорости сгорания и предельного диаметра трубки.

М. А. Пешкин

სამეცნიერო კონფერენცია თბილისში

ვ. კოკოჩაშვილს ჰყავდა მეგობრებისა და თანამოაზრეების ფართო წრე საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც. მისი გულითადი მეგობრები იყვნენ ჩვენში კარგად ცნობილი ადამიანები, მეცნიერები და სხვა პროფილის გამორჩეული სპეციალისტები: პეტრე ქომეთიანი (ბიოლოგი), ვაგან მამასახლისოვი (ფიზიკოსი), მათე და გიგა მირიანაშვილები (ფიზიკოსები), გიორგი ნაზარიშვილი (რენტგენოლოგი), გოგი მხეიძე (კარდიოლოგი), ნიკოლოზ ლორთქიფანიძე (ინჟინერი), ვიქტორ და გაბო კუპრაძეები (მათემატიკოსები), ალექსანდრე იშხნელი (ფიზიკოსი)...

სამეცნიერო (პროფესიული) ინტერესებიდან გამომდინარე, ბატონ ვიქტორს ახლო მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა არაერთ უცხოელ მეცნიერთანაც, მათთან ერთად ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო თუ საკავშირო სიმპოზიუმებში, რითაც კოლეგებს შორის ეს ორმხრივი თანამშრომლობა უფრო ფართო, საინტერესო და მრავალფეროვანი ხდებოდა...

1971 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრამ პროფ. ვ. კოკოჩაშვილის ხელმძღვანელობით უმასპინძლა „**აირად ფაზაში მიმდინარე რეაქციების კინეტიკის II საერთაშორისო კონფერენცია**“. ღონისძიებას წინ უძღოდა მომზადების ხანგრძლივი პერიოდი. მთელი კათედრა ერთსულოვნად იყო ჩართუ-

ლი ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეში; მოსაგვარებელი იყო უამრავი ტექნიკური მხარე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის სამეცნიერო ცენტრებიდან ჩამოსული სტუმრების – გამოჩენილი მეცნიერების – სათანადოდ მასპინძლობისათვის. კონფერენცია, რომელშიც ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ მოსკოვიდან, ნოვოსიბირსკიდან, ერევნიდან, ბაქოდან... მონვეული ცნობილი ქიმიკოსები და ახალგაზრდა მკვლევრები, რამდენიმე დღე მიმდინარეობდა უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში (თავისუფალ დროს სტუმრების პატივსაცემად იმართებოდა სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება...).

კონფერენციამ წარმატებით ჩაიარა, მრავალი საინტერესო და ნოვატორული სამეცნიერო ნაშრომი იქნა მოსმენილი (წინასწარ დაიბეჭდა თეზისები). ამ დღეების განმავლობაში ფიზიკური ქიმიის კათედრა მოქცეული იყო მთელი ქიმიური საზოგადოებისა და უნივერსიტეტის ყურადღების ცენტრში.

...დასრულდა კონფერენცია. მონაწილეთა წინაშე დაისვა ახალ-ახალი სამეცნიერო პრობლემები. უკვე სახელოვანი ქიმიკოსების გვერდით ახალბედა მკვლევარ-მაძიებლებმაც მეტად საგულისხმო „ლექციები“ მოისმინეს სამომავლოდ პროფესიული დაოსტატებისათვის. სტუმარ-მასპინძლებმა (ღონისძიების მონაწილეებმა), სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს უნივერსიტეტის I კორპუსის კიბეებზე (იხ. ფოტოდოკუმენტურ მასალაში)...

პედაგოგი და აღმზრდელი

პროფესორი ვიქტორ კოკოჩაშვილი გახლდათ გამორჩეული ქიმიკოსი, აღიარებული მკვლევარ-მასწავლებელი, „ქიმიური კინეტიკის დარგში ერთ-ერთი ყველაზე „ციტირებადი“ მეცნიერი“ (ზ. ძონენიძე, მ. გვერდნითელი), ასევე სანიმუშო და გამორჩეული იყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, განსაკუთრებული ზრუნვა საქართველოში ქიმიკოსთა ახალი კადრების მოსამზადებლად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვ. კოკოჩაშვილი ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ლექტორად არა მხოლოდ ფართო განათლებით, ლოგიკურ მსჯელობას დაფუძნებული, დახვეწილი სტილის ლექციებით, არამედ იმითაც, რომ თავისი პიროვნული თვისებებით შინაგანი მოწოდება-მიზადასახულობით ნამდვილი მოძღვარი, პედაგოგ-აღმზრდელი გახლდათ.

ვ. კოკოჩაშვილი ათეული წლების განმავლობაში კითხულობდა ფიზიკური ქიმიის, ქიმიური თერმოდინამიკის, კინეტიკისა და კატალიზის კურსებს. მისი მეცნიერული მადლი და პედაგოგიური გამოცდილება სწვდებოდა აგრეთვე ქუთაისის, ბათუმის, გორის უმაღლეს სასწავლებლებსაც, სადაც სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს.

ბატონი ვიქტორის ყოფილი მოწაფეების მოგონებების გათვალისწინებითა და მისი კოლეგების შეფასებები-

დან გამომდინარე, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით: ვიქტორ კოკოჩაშვილს პედაგოგიური ცხოვრების გზას უნათებდა როგორც ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დიდებული მასწავლებლების, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორების (ცნობილი მეცნიერ-პედაგოგების ანუ მისთვის დიდი ავტორიტეტების) უმნიკვლო საქმიანობა, რასაც ემატებოდა წლების განმავლობაში მისი ფუტკრისებური მოუღლეელი შრომით მოპოვებული ენციკლოპედიური განათლება, სტუდენტებსა და ასპირანტებთან ურთიერთობის მაღალი კულტურა, კეთილგანწყობა, პატივისცემა და სიყვარული – ყოველივე ეს, ერთად შენივთებული, ბატონ ვიქტორს ყოველთვის გამოარჩევდა, როგორც ზნემაღალ პიროვნებას, ჭეშმარიტ მასწავლებელს, ჩინებულ პედაგოგს.

მადლიერებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვ. კოკოჩაშვილის პედაგოგიური საქმიანობა ახალგაზრდებთან, სტუდენტებთან მხოლოდ სააუდიტორიო ურთიერთობით, საინტერესო და ადვილად აღსაქმელი ლექციებით როდი შემოიფარგლებოდა, მან არაერთი სახელმძღვანელო შეადგინა მოსწავლეებისა თუ სტუდენტებისთვის; იმავდროულად ქართულ ენაზე შექმნა ქიმიური ტერმინოლოგია და ლიტერატურა. სპეციალისტების აღიარებით, „მას ამ საქმეში ბადალი არ ჰყავდა“.

ვ. კოკოჩაშვილის ავტორობით გამოცემულია მრავალი წიგნი და სახელმძღვანელო (იხ. ბიბლიოგრაფია). ამათგან ამჯერად განსაკუთრებით გამოვყოფთ ერთერთს, ესაა **„ქიმია უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელ-**

თათვის“, რომელიც შვიდჯერ გამოიცა (სასწავლო გეგმის შესაბამისად გარკვეული დამატებებითა და შესწორებებით). ამ სახელმძღვანელოს შექმნას ავტორისათვის მეცნიერულ ინტერესთან ერთად კეთილშობილური მიზანიც ჰქონდა: „დღეს ძვირია კერძო რეპეტიტორთან მომზადება. სოფელში მცხოვრებთ ამისი საშუალება ყველას როდი აქვს. ეს წიგნი კი დაეხმარება მათ, დამოუკიდებლად მოემზადონ და რაიონიდან ჩამოსულებმაც თავისუფლად ჩააბარონ ქიმიის საგანი თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში“, – ხშირად ამბობდა ბატონი ვიქტორი და სულიერ კმაყოფილებას გრძნობდა, რომ ამ სახითაც ეხმარებოდა მოსწავლე-ახალგაზრდობას.

ცნობილია, რომ ვ. კოკოჩაშვილის სახელმძღვანელოებით აღიზარდა ქიმიკოსთა მრავალი თაობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრაზე მისი უშუალო ხელმძღვანელობით ასპირანტურის კურსი გაიარეს პროფესორებმა: თეა ცეცხლაძემ, კობტა ჯაფარიძემ, ქსენია ლაბაძემ, ზურაბ ძონენიძემ, რუსუდან მარლითმა, ლილი სეფიაშვილმა, მორის მუსერიძემ, დიმიტრი ქიტიაშვილმა, შოთა ბოჭორიშვილმა, გურამ თევდორაძემ, ჟორა კიკვიძემ, ალექსანდრე ხუსკივაძემ, ალექსი ტივაძემ, ვალერიან ბრეგვაძემ...

მის მიერ აღზრდილი მეცნიერები მუშაობენ არა მარტო საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

პროფ. ვ. კოკოჩაშვილს მეცნიერულმა გამოკვლევებმა და პარალელურად ნაყოფიერმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ მას დამსახურებულად მოუპოვა საყოველთაო აღიარება და ღირსეული ადგილი მსოფლიოში სახელგანთქმული ქიმიკოსების გვერდით. მან უმნიკვლოდ გაიარა თავისი ცხოვრების საკმაოდ მძიმე სარბიელი და შესაშური განათლებისა და შრომისმოყვარეობის მეოხებით დატოვა უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობა.

ვ. კოკოჩაშვილი დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელითა და სხვადასხვა მედლით; მისთვის მაინც ყველაზე მეტად საამაყო იყო დიდი ივანე ჯავახიშვილის დაბადების 75 და 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მედლები, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით მინიჭებული საიუბილეო მედალი; გარდა ამისა, მიღებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო პრემია ნაშრომისათვის „ფიზიკური ქიმია“ (I და II ტ., 1955-1956) და მესამე პრემია „არაორგანული ქიმიის კურსისათვის“ (I, II, III ნაწილი, 1966-1970).

გამოქვეყნებული ნაშრომების ბიბლიოგრაფია¹

1. ვ. კოკოჩაშვილი, რა არის წვა, თბილისი, აკად. გამომც., 1949 (50 გვ.).
2. ვ. კოკოჩაშვილი, მენდელეევის პერიოდული სისტემა, თბილისი, აკად. გამომც., 1950 (163 გვ.).
3. ვ. კოკოჩაშვილი, ფიზიკური ქიმიის პრაქტიკუმი. თბილისი, ტექნიკა და შრომა, 1950 (350 გვ.).
4. ვ. კოკოჩაშვილი, ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიული პრაქტიკუმი. თბილისი. თსუ გამომც., 1950 (270 გვ.)
5. ვ. კოკოჩაშვილი, მენდელეევის პერიოდული სისტემა, II გამოცემა. თბილისი, აკად. გამომც., 1954 (290 გვ.)
6. ვ. კოკოჩაშვილი, ფიზიკური ქიმია. ნაწ. I. II. თბილისი, თსუ გამომც., 1955-1956 (890 გვ.).
7. ვ. კოკოჩაშვილი, ფიზიკური და კოლოიდური ქიმია. თბილისი, ცოდნა. 1959 (220 გვ.).
8. ვ. კოკოჩაშვილი, ფიზიკური და კოლოიდური ქიმია. II გამოცემა. თბილისი, ცოდნა. 1962 (370 გვ.)
9. ვ. კოკოჩაშვილი, კოროზია. თბილისი, თსუ გამომც., 1963 (90 გვ.).
10. ვ. კოკოჩაშვილი, ქიმია უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის. I, II, III, IV, V, VI, VII გამოცემა 1964-1983.

¹ გამოყენებულია ზ. ძონენიძისა და მ. გვერდნითელის მიერ შედგენილი „პროფესორ ვიქტორ კოკოჩაშვილის ძირითადი სამეცნიერო-პედაგოგიური პუბლიკაციების ნუსხა“ (იხ. ზ. ძონენიძე, მ. გვერდნითელი... გვ. 12-17).

11. ვ. კოკონაშვილი, ფიზიკური ქიმია. ტ. I, II, III თბილისი, თსუ გამომც., 1971-1974 (1100 გვ.).
12. ვ. კოკონაშვილი, მოლეკულების აღნაგობა. თბილისი, აკად. გამომც., 1968 (100 გვ.).
13. ვ. კოკონაშვილი, ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიული პრაქტიკუმი, თბილისი, თსუ გამომც., 1970 (445 გვ.).
14. ვ. კოკონაშვილი, ნ. ფირცხალავა, არაორგანული ქიმიის კურსი. 1-3 ნაწ. თბილისი. თსუ გამომც., 1966-1970 (1011 გვ.).
15. ვ. კოკონაშვილი, ფიზიკური ქიმია. ტ. I, II, III. II გამოცემა. თბილისი, თსუ გამომც. 1972-1976 (1200 გვ.).
16. ვ. კოკონაშვილი, თ. ენუქიძე, ვახტანგ VI. წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის. თბილისი, თსუ გამომც., 1981 (260 გვ.).
17. ვ. კოკონაშვილი, გ. ცინცაძე, თ. ცეცხლაძე, ზოგადი და არაორგანული ქიმიის კურსი, I-II ტ., თბ., გამომც. „განათლება“, 1988-1998 (1240 გვ.).

18. В. И. Кокочашвили. фотохимическая реакция водорода с хлором. Zeit. phys. Chem., D., 1933, № 23, с. 431-444.
19. В. И. Кокочашвили. К фотохимии серной кислоты. Гр. ТГУ, 1933, №1, с. 33-41.
20. В. И. Кокочашвили. Фотохимический распад двуокиси серы. Гр. ТГУ, 1937, №26 с. 317-330.
21. В. И. Кокочашвили. Внутренняя рекомбинация при оптической диссоциации двуокиси серы. Гр. ТГУ, 1937, №2, с. 331-337.
22. В. И. Кокочашвили. Фотохимическое окисление двуокиси серы. Гр. ТГУ, 1937, №2, с. 338-348.

-
23. **В. И. Кокочашвили. Ш. В. Наморадзе.** Влияние твердой фазы на пределы самовоспламенения окиси углерода. Тр. ТГУ, 1938, т. 3, с. 55-68.
 24. **В. И. Кокочашвили. Ф. С. Петрова.** Активация на поверхности при реакции гремучей смеси. Тр. ТГУ, 1938, т. 3, с. 71-76.
 25. **В. И. Кокочашвили. Н. Г. Тедешвили.** Период индукции при воспламенении окиси углерода. Тр. ТГУ, 1938, т. 3, с. 77-85.
 26. **Т. С. Кацитадзе, В. И. Кокочашвили.** К вопросу о катализе перекиси водорода. Тр. ТГУ, 1940, №13, с. 69-79.
 27. **В. И. Кокочашвили, М. Н. Кобидзе.** К вопросу о механизме разложения перекиси водорода. Тр. ТГУ, 1941, №20, с. 101-109.
 28. **Э. Л. Андроникашвили, В. И. Кокочашвили.** Кинетика накопления дисперсной фазы при механическом диспергировании. Сообщ. АН ГССР, 1943, №9, с. 861-867.
 29. **Э. Л. Андроникашвили, В. И. Кокочашвили.** Дисперсность органолеей свинца, полученных механическим диспергированием. Тр. ТГУ, 1943, №10, с. 959-961.
 30. **В. И. Кокочашвили.** Область самовоспламенения смесей брома с водородом. Сообщ. АН. ГССР, 1944, №1, с. 31-39.
 31. **Р. Е. Киквидзе, В. И. Кокочашвили.** Влияние величины частиц свинца на его диспергируемость. Тр. ТГУ, 1946, т. 1, с. 77-88.
 32. **Р. Е. Киквидзе, В. И. Кокочашвили.** Влияние амплитуды колебания на диспергируемость свинца. Тр. ТГУ, 1946, т. 6, с. 331-336.

-
33. **В. И. Кокочашвили, М. Н. Кобидзе.** Влияние окислителей на диспергируемость свинца. Тр. ТГУ, 1947, т. 30, с. 117-125.
 34. **В. И. Кокочашвили.** Пределы самовоспламенения смесей водорода с бромом. Сообщ. АН. ГССР, 1948, №7, с. 109-113.
 35. **В. И. Кокочашвили.** Экспериментальное исследование смесей брома с водородом. Журн. физ. хим., 1949, №1, с. 15-20.
 36. **В. И. Кокочашвили.** Теория теплового взрыва с неразветвленными цепями. Журн. физ. хим., 1949, №1, с. 21-29.
 37. **Т. В. Цецхладзе, В. И. Кокочашвили.** Влияние органических вещества на устойчивость алкосуспензии. Тр. ТГУ, 1949, т. 35, с. 85-88.
 38. **К. З. Лабадзе, В. И. Кокочашвили.** К вопросу о механизме диспергируемости свинца. Тр. ТГУ, 1950, т. 11, с. 94-103.
 39. **В. И. Кокочашвили.** Теории теплового взрыва в реакции с неразветвленными цепями. Журн. физ. хим., 1950, №3, с. 268-276.
 40. **В. И. Кокочашвили.** Особенности горения смесей водорода с бромом. Журн. физ. хим., 1950, т. 24, №4, с. 443-452.
 41. **В. И. Кокочашвили, Т. С. Кацитадзе.** Кинетика накопления дисперсной фазы в спирто-водных смесях. Тр. ТГУ, 1950, т. 38, с. 79-87.
 42. **Т. В. Цецхладзе, В. И. Кокочашвили.** Явление параллельного переноса при адсорбции на гумбрине. Тр. ТГУ, 1950, т. 38, с. 71-77.
 43. **В. И. Кокочашвили, К. З. Лабадзе.** Кинетика термической диссоциации формальдегида в газовой фазе. Тр. ТГУ, 1954, т. 54, с. 45-50.

-
44. **В. И. Кокочашвили, Р. М. Маргити.** Область самовоспламенения смесей металла с хлором. Тр. ТГУ, 1954, т. 52, с. 89-91.
 45. **К. Л. Цагарели, В. И. Кокочашвили.** Кинетика гомогенного разложения перекиси водорода в щелочной среде. Тр. ТГУ, 1954, т. 54, с. 33-45.
 46. **Е. Л. Григолия, В. И. Кокочашвили.** Адсорбция паров некоторых органических соединений на поверхности слюды. Тр. ТГУ, 1954, т. 52, с. 94-95.
 47. **П. А. Кометиани, В. И. Кокочашвили, Ш. О. Долидзе.** Изучение обмена фосфорных соединений яичного желтка в процессе развития зародыша методом радикативной индикации. Биохимия, 1955, т. 20, с. 100-106.
 48. **К. Л. Цагарели, В. И. Кокочашвили.** Кинетика гетерогенного разложения перекиси водорода. Тр. ТГУ, 1956, т. 60, с. 129-136.
 49. **К. А. Абашидзе, В. И. Кокочашвили.** Влияние растворителя на кинетику реакции образования уксусно-этилового эфира. Тр. ТГУ, 1957, т. 62, с. 183-188.
 50. **В. И. Кокочашвили, Т. С. Кацитадзе.** Исследование изотопным методом кинетики гидролиза фосфорхолина и оксиэтиламина. Тр. ТГУ, 1957, т. 62, с. 183-188.
 51. **В. И. Кокочашвили, Т. С. Кацитадзе.** Исследование изотопным методом с некоторыми белками. Тр. ТГУ, 1959, т. 74, с. 267-273.
 52. **К. З. Лабадзе, В. И. Кокочашвили.** Пределы самовоспламенения смесей этана с хлором. Тр. ТГУ, 1959, т. 74, с. 275-282.

-
53. **В. И. Кокочашвили, К. З. Лабадзе.** Исследование реакции хлорирования этана. Тр. ТГУ, 1960, т. 54, с. 151-156.
 54. **В. И. Кокочашвили, К. З. Лабадзе.** К вопросу о тепловом взрыве смесей этана с хлором. Тр. ТГУ, 1961, т. 80, с. 191-194.
 55. **В. И. Кокочашвили, А. И. Кахниашвили, Г. Д. Багратишвили, Д. Г. Кутиашвили, Д. С. Парджикиа.** Изучение с помощью инфракрасных спектров поглощения 2-метил-, 2,3-метокси-, 4-оксифенил-, 3-ин-5-гексана и 2,5-диметил, 2,3-метокси-, 4-оксифенил-3-ин-5-гексана. Тр. ТГУ, 1961, т. 80, с. 219-226.
 56. **К. З. Лабадзе, В. И. Кокочашвили.** Окисление некоторых смесей углеводов. Тр. ТГУ, 1961, т. 80, с. 277-285.
 57. **К. З. Лабадзе, В. И. Кокочашвили.** Влияние диаметра сосуда с состояния поверхности на самовоспламенения смеси этана с хлором. Тр. ТГУ, 1961, т. 80, с. 287-295.
 58. **К. З. Лабадзе, В. И. Кокочашвили.** К вопросу о природе воспламенения смесей этана с хлором. Тр. ТГУ, 1961, т. 80, с. 313-323.
 59. **В. И. Кокочашвили, К. З. Лабадзе.** К вопросу о механизме горения окиси углерода. Тр. ТГУ, 1961, т. 80, с. 323-329.
 60. **Р. М. Маргити, В. И. Кокочашвили.** Кинетика окисления фосфороватистой кислоты. Тр. ТГУ, 1961, т. 80, с. 345-354.
 61. **К. З. Лабадзе, В. И. Кокочашвили.** Кинетика реакции образования уксусно-этилового эфира. Тр. ТГУ, 1961, т. 80, с. 355-365.
 62. **В. И. Кокочашвили, Г. М. Мирианашвили.** Пропорциональный счетчик для датирования радиоуглеродным мето-

- дом. Приборы и техника эксперимента, 1962, с. 52-54.
63. **ქ. ლაბაძე, მ. ურუშაძე, ვ. კოკონაშვილი.** – ეთანისა და ქლორის ძაღების საკითხისათვის. თსუ შრომები, 1964, ტ. 104, გვ. 153-161.
64. **Л. М. Сепиашвили, В. И. Кокочашвили.** Низкотемпературное хлорирование этилен-пропиленовых смесей. Тр. ТГУ, 1964, т. 104, с. 149-152.
65. **В. И. Кокочашвили, А. В. Шигорин, Ш. Павленишвили.** Изучение природы воспламенения связей в некоторых оксиазот-соединений. Журн. физ. хим., 1966, т. 40, №12, с. 3006-3009.
66. **В. И. Кокочашвили, А. Д. Улуханов.** Физико-химическое исследование бутылочной воды Вардзия. Тр. НИИ Курортологии, 1967, т. 28, с. 45-51.
67. **В. И. Кокочашвили, Л. М. Сепиашвили.** Кинетика реакции Меншуткина в различных спиртовых средах. Тр. ТГУ, 1968, т. 126, с. 343-349.
68. **В. И. Кокочашвили, Л. М. Сепиашвили, М. К. Багратишвили.** Кинетика поликонденсации фталевого ангидрада с этиленгликолем. Тр. ТГУ, 1968, т. 126, с. 335-341.
69. **В. И. Кокочашвили, Л. М. Сепиашвили, К. Г. Мумладзе.** Кинетика поликонденсации фталевого ангидрида с глицерином. Тр. ТГУ, 1968, т. 126, с. 325-333.
70. **К. З. Лабაძე, В. И. Кокочашვილი.** Изучение кинетики хлорирования этана ниже предела самовоспламенения. Тр. ТГУ, 1968, т. 126, с. 305-315.
71. **К. З. Лабაძე, В. И. Кокочашვილი.** Роль гетерогенного фактора в кинетике хлорирования этана ниже предела вос-

- пламенения. Тр. ТГУ, 1968, т. 126, с. 318-324.
72. **М. Д. Мусеридзе, А. А. Манташян, В. И. Кокочашвили, А. Б. Налбандян.** К вопросу об образовании метилового спирта в реакции фотохимического окисления метана. Журн. Арм. хим., 1969, т. 22, №6, с. 547-551.
73. **В. И. Кокочашвили, К. З. Лабадзе.** Влияние теплопроводности различных газов (He, Ar) на пределы самовоспламенения смесей этана с хлором. Тр. ТГУ, 1971, т. 141, с. 26-29.
74. **В. И. Кокочашвили, К. З. Лабадзе.** К вопросу взаимодействия сероводорода и двуокиси серы в газовой фазе. В кн.: II Всесоюзная конференция по кинетике и механизму газофазных реакции. Черниголовка, Тезисы докл., 1971, с. 59.
75. **В. И. Кокочашвили, Л. М. Сепиашвили.** Кинетика гидролиза йодистого этила. Тр. ТГУ, 1971, т. 141, с. 21-24.
76. **В. И. Кокочашвили, Л. М. Сепиашвили, А. А. Григалашвили.** К вопросу растворимости некоторых трехкомпонентных систем (ацетон-углеводород-вода, уксусная кислота-углеводород-вода). Тр. ТГУ, 1973, т. 143, с. 201-204.
77. **Ю. Д. Нориков, Ш. К. Бочоришвили, Э. А. Блюмберг, В. И. Кокочашвили.** Гетерогенный катализ жидкофазного окисления алкилароматических углеводородов окислами металлов. В. кн.: Теория и практика жидко-фазного окисления. М.: Наука, 1974, с. 193-196.
78. **В. И. Кокочашвили, К. З. Лабадзе, Л. М. Сепиашвили.** К вопросу о природе самовоспламенения смесей хлора и пропилена. Изв. АН ГССР, сер. хим., 1975, т. 1, № 2, с. 183-190.
79. **ვ. კოკოჩაშვილი, ქ. ლაბაძე, დ. ლორთქიფანიძე.** – ჰეტეროგენული ფაქტორის გავლენა ქლორისა და პროპილენის

თვითაალების ქვემო ზღვარზე, თსუ შრომები, 1976, ტ. 167, გვ. 31-35.

80. **ქ. ლაბაძე, ვ. კოკორაშვილი, გ. ლლონტი.** – ფოჭაზიტის ტიპის სინთეზური ცეოლიტების გავლენა ნახშირბადწყალბადების ქლორირებაზე. საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ქიმ. სერ., 1978, ტ. 12, №1, გვ. 105-108.
81. **ქ. ლაბაძე, ვ. კოკორაშვილი.** – სხვადასხვა ცეოლიტისა და იონური ფორმების გავლენა მეთანის ქლორთან ნარევების თვითაალების ზღვრის წანაცვლებისადმი კატალიზურ აქტიურობაზე. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1984, ტ. 115, №2, გვ. 309-312.
82. **К.З. Лабадзе; В. И. Кокочашвили.** Исследование каталитической активности цеолитов и их некоторых катионовых форм. В кн: Материалы межфакультетной конференции по естественным наукам. Тбилиси, ТГУ, 1984, с. 69-70.
83. **ქ. ლაბაძე, ვ. კოკორაშვილი, მ. ჯაგაშვილი** – აზოტის ქვეჟანგისა და ჟანგის დამატების გავლენა პროპილენისა და ქლორის ნარევების თვითაალების ზღვრების მდებარეობაზე. საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, 1989, ტ. 135, №3 (გვ. 553-556).

მოგონებებით გაცოცხლებული წარსული

- პროფესორი ნოე ფირცხალავა ჰყვებოდა ერთ-ერთ საერთაშორისო სიმპოზიუმზე მომხდარ შემთხვევას. შესვენებაზე იგი შეესწრო ბატონი ვიქტორისა და ასაკში შესული გერმანელი ქიმიკოსის მეცნიერულ დისპუტს. საკამათო საკითხის ირგვლივ ბატონ ვიქტორს ისეთ დონეზე და თანაც ლაკონიურად გამოუთქვამს აზრი, რომ გაოცებულ გერმანელს ისლა დარჩენოდა, თავი მონინებით დაეხარა და ეთქვა: – თუ საქართველოში თქვენი დონის პროფესიონალებია, ასეთი ქვეყნის საქმე აუცილებლად კარგად წავა!

- დოცენტი დავით ლორთქიფანიძე იხსენებს სტუდენტობის წლებში მოსმენილ – ენტროპიის ცნებისადმი მიძღვნილ – ბატონი ვიქტორის ლექციას. პროფესორს საუბარი ასე დაუწყია: „ახალგაზრდებო! მოგეხსენებათ, რომ „ეპიტაფია“ ბერძნული სიტყვაა და საფლავის ქვაზე წარწერას ნიშნავს. დიდი ადამიანების საფლავებზე ეპიტაფიები ხშირად მიანიშნებენ მათი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს შედეგებზე. ბოლცმანის საფლავზე ეპიტაფიად მის მიერ პოსტულირებული ენტროპიის სტატიკური შინაარსის გამომხატველი ფორმულაა ამოტვიფრული“...

ერთ-ერთ სტუდენტ ვაჟს, რომელსაც სწავლა საკმაოდ უჭირდა, დასვენებაზე თანაკურსელებისათვის გამოცებით უთქვამს:

– ბიჭებო, გაგეცინებათ, და მგონია, რალაც გავიგე.

● პროფესორი მიხეილ გვერდნითელი იხსენებს: „ბატონ ვიქტორთან ყოველი შეხვედრა და საუბარი საოცრად ინფორმაციული იყო და განუმეორებელი ხიბლი გააჩნდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ჩვენი ბოლო შეხვედრა. მასთან კაბინეტში ავედი სანახავად. პლინიუს უმცროსის „წერილებს“ ჩაღრმავებოდა. მითხრა – გუშინ შევიძინე „აკადემნიგნში“ და გირჩევ, შენც იყიდო და გაეცნო, თანაც ერთი ფრაზაც წამიკითხა:

„Честность оскорбляет людей в ту минуту, когда она им во вред, потом они же ею восторгаются и превозносят“¹.

პროფესორი **ზურაბ ძონენიძე**: ბატონი ვიქტორ კოკოჩაშვილი იყო ჩემი სადიპლომო სამუშაოს და საკანდიდატო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი, უფრო ადრე პროფესორი, რომელიც სტუდენტებს ფიზიკური ქიმიის კურსის ლექციებს გვიკითხავდა, მის მიერვე დაარსებული ფიზიკური ქიმიის კათედრის გამგე, სადაც

¹ პირველი სამი მოგონება დამონმებულია ზ. ძონენიძე, მ. გვერდნითელის წიგნიდან.

მისი ხელმძღვანელობით ვმუშაობდი, როგორც ამ კათედრის ლექტორი, სადაც ჩამოვყალიბდი როგორც მეცნიერი, პედაგოგი. ამდენად, მე ბატონ ვიქტორთან ახლო ურთიერთობა მქონდა, სრულად შევიცანი მისი პიროვნული ღირსებები, მასშტაბები და ამიტომ ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო, ვთქვა ამ დიდი ადამიანის შესახებ.

მე დავიწყებ ვიქტორ კოკოჩაშვილის შესახებ საუბარს ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როცა მე იგი ფიზიკურად ნანახიც კი არ მყავდა და საერთოდ არც მის პიროვნებაზე, მოღვაწეობის არეალზე და ხარისხზე წარმოდგენა ვერ მექნებოდა, რადგან მხოლოდ 7-8 წლის ვიყავი. საქმე იმაშია, რომ ჩემი მამა უნივერსიტეტში მუშაობდა, დედაც იქ სწავლობდა. ამდენად, ოჯახში ხშირად იყო საუბარი უნივერსიტეტის პროფესურაზე, თანამშრომლებზე, იქ მიმდინარე პროცესებზე. ბევრ პიროვნებაზე სწორედ იმ დროიდან ჩამომიყალიბდა შეხედულება, დამოკიდებულება. იყო, რა თქმა უნდა, საუბარი უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზეც, მის თანამშრომლებზე. მით უმეტეს, რომ ამ ფაკულტეტის ორი კათედრის – არაორგანული ქიმიისა და ორგანული ქიმიის ლაბორატორიები იმავე შენობაში მდებარეობდა (ენგელსის ქუჩა №44, დღევანდელი ლადო ასათიანის ქუჩა), სადაც ჩვენი ოჯახი იმჟამად ცხოვრობდა. ასე რომ, ამ კათედრების თანამშრომლებს ბავშვობიდანვე ვიცნობდი. რაც შეეხება ფიზიკური ქიმიის კათედრის ლაბორატორიას, იგი მდებარეობდა აქედან საკმაოდ დაცილებულ მანძილზე,

თუ არ ვცდები, ყოფილ კამოს ქუჩაზე, ან რიყეზე. ამდენად, ბატონი ვიქტორის ხილვა იმ დროს მე არ შემეძლო, თუმცა უკვე ვიცოდი, რომ ის იყო გამორჩეული პიროვნება არა მარტო ქიმიის ფაკულტეტზე, არამედ მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, მაშინ როცა უნივერსიტეტი სამეცნიერო ავტორიტეტების, ცნობადი სახეების დეფიციტს ნამდვილად არ განიცდიდა და აქ ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ უნივერსიტეტის დამაარსებლები, ქართული მეცნიერების, აზროვნების კორიფეები. სწორედ ამ დროს ინტელექტუალობისა და ინტელიგენტობის ეტალონად ჩვენს ოჯახში მოიხსენიებოდა ვიქტორ კოკოჩაშვილი.

ხდება ხოლმე ისე, რომ, თუ ადამიანს პირადად არ იცნობ და მასზე აღმატებული აზრი გაქვს ჩამოყალიბებული, უშუალო გაცნობის შემდეგ მეტნაკლებად დგება ერთგვარად განხიზვლის მომენტი. მე უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი 1955 წელს. მესამე კურსზე დაგვეწყო ფიზიკური ქიმიის ლექციები. ლექტორი გახლდათ პროფესორი ვიქტორ კოკოჩაშვილი. ამდენად, მე უკვე შემეძლო ჩემი წარმოდგენების და უშუალო შთაბეჭდილებების შეჯერება. მოლოდინმა ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. მე ვიხილე **დახვეწილი ინტელიგენტი ჩაცმულობით, მანერებით, მეტყველების კულტურით, გამოყენებული ლექსიკის სიმდიდრითა და უნიკალურობით, მანამდე არ მოსმენილი ქართულის ნყოფით, არომატით, მომხიზვლელობით, აზრის სიღრმითა და**

იმავე დროს, **ადვილად მისაწვდომობით**. რაც მთავარია, ეს არ იყო მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილება, ასევე ფიქრობდა ჩემი კურსელების უმრავლესობა. შემდგომში გავიგეთ, რომ გასული წლების ჩვენზე უფრო ემოციური სტუდენტების ჯგუფები ბატონ ვიქტორს ყოველი ბრწყინვალედ ნაკითხული ლექციის დასრულების შემდეგ აპლოდისმენტებით აცილებდნენ აუდიტორიიდან. დამემომნებით, რომ ასეთ ეპიზოდს ძნელად თუ მოძებნით სხვა თუნდაც გამოჩენილი პროფესორის ბიოგრაფიაში.

ბატონი ვიქტორის ხასიათის ხაზგასმული ევროპეიზმის, მომხიბვლელობის ფესვები დიდი ნიჭიერების და განათლების გარდა, უნდა ვეძებოთ მის წარმომავლობაში, აღზრდაში. იგი დაიბადა და აღიზარდა ქუთაისელი კათოლიკე ქრისტიანების, კოკოჩაშვილების ცნობილ ოჯახში. ამან, რა თქმა უნდა, დიდად განსაზღვრა მისი ღირსებები, ისევე როგორც ქართველ კათოლიკეთა ოჯახებში აღზრდილი მრავალი გამოჩენილი ადამიანისა.

ვიქტორ კოკოჩაშვილის მეცნიერული ჩამოყალიბება დაკავშირებულია გასული საუკუნის 20-30-იანი წლების სახელგანთქმულ, ლენინგრადის, იოფეს მიერ ჩამოყალიბებულ ფიზიკოსთა სამეცნიერო სკოლასთან, სადაც ბატონი ვიქტორის პირველ სამეცნიერო ნაბიჯებს წარმართავდა აკადემიკოსი ნ. ნ. სემიონოვი, შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატი. ამ დიდი აღიარების და გამარჯვების თანამონაწილენი იყვნენ ახალგაზრდა მკვლევარები, შემდგომში საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები, მათ

შორის ვიქტორ კოკოჩაშვილი. აქ მასთან ერთად დაიწყეს თავისი მეცნიერული გზა ისეთმა ავტორიტეტებმა, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები: ვ. ნ. კონდრატიევი, ი. ბ. ხარიტონი, ი. ბ. ზელდოვიჩი, ა. ბ. ნალბანდიანი, ვ. მ. ემანუელი. მათთან მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა ბატონმა ვიქტორმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

პროფესორმა კოკოჩაშვილმა საქართველოში დააარსა ქიმიური ჯაჭვური პროცესების, აალების, წვის, აფეთქებების მექანიზმების კვლევის, ქიმიური კინეტიკის სამეცნიერო სკოლა. ეს იყო ქართული ფიზიკა-ქიმიური მეცნიერების, ზოგადად – მეცნიერული აზროვნების თანამედროვე დონის დიდი მონაპოვარი. სამწუხაროდ, ამ მონაპოვრის შენარჩუნება ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეეძლით და მეცნიერების ეს დარგი საქართველოში დღეს პრაქტიკულად აღარ არსებობს.

სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, იგი დიდ დროს უთმობდა სახელმძღვანელოების – ფიზიკური ქიმიის, ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კურსების, მათი შესაბამისი ლაბორატორიული სამუშაოების, აბიტურიენტთა მოსამზადებელი სახელმძღვანელოების შექმნას. აგრეთვე დაგვიტოვა მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, რომელთა შორის გამოიყოფი ძალიან საინტერესო გამოკვლევას ვახტანგ VI-ის ქიმიის შესახებ.

ვიქტორ კოკოჩაშვილი მუდამ იჩენდა დიდ ინტერესს ლიტერატურული, მუსიკალური, ზოგადად ხელოვნების სიახლეების მიმართ. აქაც მისი სიღრმისეული წვდომა,

ზუსტი შეფასების უნარი იყო გასაოცარი. ალბათ, ამიტომაც მის მეგობრებში მეცნიერების, პროფესორების გ. მხეიძის, ნ. ლორთქიფანიძის, ვ.მამასახლისოვის, მ. მირიანაშვილის, ა. კახნიაშვილის გარდა იყვნენ ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ბაჟბუეჟ მელიქოვი და სხვანი.

ბატონი ვიქტორი გატაცებული იყო ხალიჩების ქსოვის ხელოვნებით, მათი წარმოების ისტორიით, გეოგრაფიით. ეს ჰობი მისთვის იმდენად არსებითი გახდა, რომ იგი საქართველოში საყოველთაოდ აღიარებულ ხელოვნებათმცოდნედ, ხალიჩების საუკეთესო ექსპერტად ჩამოყალიბდა.

აქვე გავიხსენებ ჩემი სტუდენტობისდროინდელ უნივერსიტეტის ოლიმპიადებს, რომელთაც საფუძველი ნიკო კეცხოველმა ჩაუყარა თავისი რექტორობის პერიოდში. სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები ოლიმპიადაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ არა მარტო სპორტში, არამედ ხელოვნებაშიც. ამისათვის საჭირო იყო მათი სერიოზული მომზადება, ამიტომ თანამშრომლებს, ვისაც ამისი უნარი გააჩნდათ, ევალეზობდათ სტუდენტების წვრთნა, კურატორობა. ქიმიის ფაკულტეტზე წლების განმავლობაში ეს საქმე ჩაბარებული ჰქონდა ბატონ ვიქტორს, რომელიც დიდი მონდომებით, ხალისით და წარმატებით ამზადებდა ვოკალისტებს, ინსტრუმენტალისტებს, დეკლამირებისა და სცენის ოსტატებს. მოგვიანებით ამასთან დაკავშირებით იგი ბევრ კურიოზულ ეპიზოდს იხსენებდა.

ბატონ ვიქტორს ახალგაზრდული ენთუზიაზმი, სიახლის ძიების და განცდის მისწრაფება სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. საბჭოთა კავშირში 1948 წლამდე კერძო პირისათვის ავტომობილის არა თუ ქონება, არამედ ოცნებაც მიუწვდომელი იყო. ავტომობილებს მართავდნენ მხოლოდ პროფესიონალი მძღოლები, ჩვეულებრივ მოქალაქეებს ეს ძალიან რთულ, ძნელ საქმედ მიაჩნდათ. ომის შემდეგ სტალინმა მოქალაქეებს საკუთარი ავტომობილის ყოლაზე ტაბუ მოუხსნა და ადამიანებმა გაუბედავად, აქა-იქ დაიწყეს ავტომობილების შეძენა. შეიძლება ითქვას, რომ თბილისში ვიქტორ კოკოჩაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ავტომობილი „პობედა“ შეიძინა, და, რაც მთავარია, გაბედა და საჭესთან დაჯდომა. მანქანის მართვით მიღებული სიამოვნება მისთვის იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ საჭეს სიცოცხლის ბოლომდე არ ჩამოსცილებია.

მიუხედავად ცხოვრებისაგან მინიჭებული ბევრი ტკივილის, გადატანილი ტრაგედიისა, ბატონი ვიქტორი სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა ახალგაზრდულ ხალისს, ფლობდა იუმორის განსაკუთრებულ გრძნობას. ყოველი სიტუაციის მიმართ მზად ჰქონდა შესაბამისი ანეკდოტი, რომლის მოყოლის უბადლო ოსტატიც იყო.

ამ დიდებული პიროვნებისთვის მთავარი, უმთავრესი იყო მისი ოჯახი, მეუღლე – ქალბატონი ტასო და განსაკუთრებით ქალიშვილი – თინიკო. მამის შვილისადმი სიყვარულით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ აქაც იგი

განუმეორებელი იყო. მისი სიყვარული, მზრუნველობა, სიტბო თინიკოსადმი სიტყვებით ძნელად გადმოსაცემია.

ქალბატონი ტასო ბატონი ვიქტორის ღირსეული მეუღლე იყო, ცნობილი მოღვაწეების, ქველმოქმედების, უდიდესი მეცენატების, ზუბალაშვილების ოჯახიდან, მეგონი, ამ ოჯახის უკანასკნელი წარმომადგენელი. ბუნებრივ სილამაზესთან ერთად ქალბატონი ტასოს შარმს ზრდიდა ასევე მისი კათოლიკური აღზრდა, რაც მთლიანობაში მისი პიროვნების, მზრუნველი და მოყვარული დედის, მეუღლის განსაკუთრებულობას გახაზავდა. გამორჩეული იყო ქალბატონი ტასოს კულინარიული ხელოვნებაც. იმის გამო, რომ ბატონი ვიქტორი მის ახალგაზრდა თანამშრომლებს ხშირად გვანებივრებდა, ოჯახში სადილზე გვინვევდა, მე ამ დიდი ხელოვნების ცოცხალი მოწმე, მეხოტბე ვარ.

პროფესორ ვიქტორ კოკოჩაშვილის წასვლა იყო დიდად მტკივნეული, აუნაზღაურებელი დანაკლისი არა მარტო მისი ოჯახისათვის, არამედ საქართველოს მეცნიერებისათვის, მისი კოლეგებისა და მოწაფეებისათვის, ქვეყნის მოწინავე საზოგადოებისათვის, მთელი ქვეყნისათვის.

ზურაბ ძონენიძე 2.03,2022.

თინათინ კოკოჩაშვილი:

● მამას ხშირად სტუმრობდნენ სახლში სტუდენტები და ასპირანტები. უყვარდა მათთან საუბარი მუსიკაზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, საქართველოს ისტორიაზე; სიამოვნებით იგონებდა გიმნაზიის წლებს, იქ მიღებულ ცოდნას. თავად განათლებულსა და ეროვნულად მოაზროვნე აღმზრდელს ახარებდა თავისი შეგირდების ნარმატებები...


სტუდენტებს (ზოგი მერე მისი კოლეგა გახდა) გულწრფელად უყვარდა თავიანთი მასწავლებელი; მოკრძალებასა და პატივისცემას სხვადასხვა ფორმით გამოხატავდნენ. მახსოვს, ერთმა ყოფილმა სტუდენტმა, შემდეგში – დოცენტმა შ. მიქაძემ საკუთარი ლექსი უძღვნა მამას:

ქალაქის ვიქტორის ქოქოსის შვილი!

*აქვანი თიკუნთი უვჯიკილ-ვიხა,
კარკვიშლი – იქვიკვილია,
ლოქის ზევი ვკლხენი.
სულ სხვა აქვანი ლოქის.*

*სულ ყველ რხმარბნაჲ
ვიხა, რომ იყუკვილია
მეუ ვაჩიქი, ჟოჯოუკა
აუ ყუუ ვერ ვაქვი ლოქის.*

ასევე ჩვენს არქივში შემონახულია მამას ყოფილი სტუდენტის – დ. მაჭავარიანის მიერ ლექციაზე ფანქრით დახატული „ლექტორის სურათი“.



● ბატონი ვიქტორის სტუდენტი, შემდეგ – მისი კოლეგა დოცენტი მორის მუსეროძე, მოგვიანებით თავის მასწავლებელს ასე იგონებდა: „საშუალო სკოლას რომ ვამთავრებდით, მაშინ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სკოლებში მოდიოდნენ ხოლმე ლექტორები, გვესაუბრებოდნენ თავიანთი სასწავლებლის ფაკულტეტების შესახებ, სამომავლო პერსპექტივებზე და ა. შ., რომ ამით მოსწავლეებს დახმარებოდნენ სპეციალობის არჩევაში. მახსოვს, ერთ დღეს ჩვენთან მოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორთა ჯგუფი. ყველა გვაცნობდა თავისი ფაკულტეტის სპეციფიკას. მე მანამდე მინდოდა ჟურნალისტი გავმხდარიყავი (შესაბამისი მონაცემებიც მქონდა), მაგრამ, როცა მოვისმინე პროფ. ვ.კოკოჩიაშვილის საუბარი, თანაც ისე მომხიბლა მისმა პიროვნებამ (მეგონა უნივერსიტეტში ყველა ასეთი ლექტორი იქნებოდა), მაშინვე რადიკალურად შევიცვალე ჩემი გადანიშნულება და სამომავლო პროფესიად ქიმიკოსის სპეციალობა ავირჩიე.

საბედნიეროდ, მოსწავლეობისდროინდელი ჩემი შთაბეჭდილება ბ-ნი ვიქტორის შესახებ არა მხოლოდ გამართლდა, არამედ კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა: ყოველდღიურმა ურთიერთობამ დამარწმუნა, რომ იგი იყო ნამდვილი მკვლევარ-მეცნიერი, გულისხმიერი მასწავლებელი, საქმეში მომთხოვნი, პრინციპული და შესანიშნავი პიროვნება. მისგან ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ“.

მამაჩემი – ბატონი ვიქტორი იყო სასიამოვნო და ყურადღებიანი თანამოსაუბრე, ლამაზი იუმორიც ჰქონდა.

ერთხელ დერეფანში სტუდენტების მცირე ჯგუფი იდგა. მათ შორის ერთ-ერთ სტუდენტ ქალიშვილს შუბლზე ჩამოშლილი თმა მთლიანად უფარავდა თვალებსაც. ბატონი ვიქტორი მიუახლოვდა და ღიმილით მიმართა: „ხატია, მზეს ხედავ?“

- ქიმიის კორპუსის მესამე სართულის დერეფანში ბ-ნი ვიქტორის კურსელი პროფ. ა. კახნიაშვილი თანამშრომელს ეკითხება: „ბიქტორა სად არის?“ ამ დროს ვიქტორი გამოვიდა კაბინეტიდან და მეგობარს სიცილით უთხრა: „საშა, ყველა სახელი ა-ზე როდი თავდება.“

- ბ-ნ ვიქტორს ერთხელ სემინარის ჩატარებისას ადგილზე არ დახვდა დაფის საწმენდი ჩვარი. მან მიიხედ-მოიხედა, მერე ჯიბიდან ამოიღო ქათქათა ცხვირსახოცი და დაფა გაასუფთავა.

- მამას მძლოლმა საკუთრად შეიძინა სამბორბლიანი მოტოციკლეტი. მან იცოდა ვიქტორის გატაცება მოგზაურობით და პატივისცემის ნიშნად სახლში გამოუარა, სასეირნოდ დაჰპატიჟა. ამ გასეირნების შემდეგ ბ-ნ ვიქტორს ერთი კვირა წელი სტკიოდა. „ვიცოდი, რაც მელოდა, მაგრამ ტოლიას ხათრი ვერ გავუტეხე“, – ღიმილით იგონებდა მამა ამ ამბავს ხოლმე.

- ქალბატონი ტასო (მეუღლე) ხშირად მიემგზავრებოდა მოსკოვს. ერთხელ მოახლე ქალმა გადაწყვიტა მის გარეშე ალუბლის მურაბის მოხარშვა. მამამ (რომელიც

იქვე თვალს ადევნებდა ამ პროცესს) რამდენიმე ალუბალს კურკა გამოაცალა და ჩაყარა ადუღებულ სიროფში არომატისთვის. მოახლემ რომ გასინჯვა მურაბის გემო და განსხვავებული არომატი შეიგრძნო, გაოცებულმა წამოიძახა: „თქვენ ნამდვილი პროფესორი ხართ!“

- ცნობილი ქართველი კონომსახიობის სესილია თაყაიშვილის შვილიშვილი ნატა ფიზიკური ქიმიის გამოცდაზე აკანკალებული შევიდა, ბ-ნმა ვიქტორმა ბილეთის აღება შესთავაზა, მაგრამ შეატყო, რომ სტუდენტი ძალიან ნერვიულობდა, ამიტომ თავიდან სულ სხვა თემაზე დაუნყო საუბარი, ქ-ნი სესილიას შემოქმედებაც გაიხსენა და, როცა გოგონა დამშვიდდა, შემდეგ მიუბრუნდა ბილეთის საკითხებს. ლექტორმა სწორი პასუხების შემდეგ გამოსაცდელს ჩათვლის წიგნაკში კარგი ნიშანი გაუფორმა და დამშვიდებული, კმაყოფილი გაუშვა აუდიტორიიდან.

- ვ. კოკოჩაშვილს ყოველთვის აინტერესებდა ნებისმიერი მეცნიერების ფართო მასშტაბები, ახალ-ახალი მიღწევები. ამიტომ იყო, რომ არასოდეს არ გაუწყვეტია კავშირი მოსკოვის, ლენინგრადის ქიმიური ფიზიკისა და ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტებთან, სხვადასხვა სამეცნიერო საკითხებთან დაკავშირებით ხშირად სტუმრობდა აგრეთვე ერევანს, ა. ნალბანდიანის ინსტიტუტს. ზოგჯერ გულდანყვევით იტყოდა, რომ მას სხვაგან – სხვა სამეცნიერო წრეებში, მეტი დაფასება ჰქონდა, ვიდრე სამშობლოში. რამდენიმე უშედეგო მცდელობის მიუხედავად პროფ.

ვ. კოკოჩაშვილი ვერ გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ოფიციალური მიზეზი არ სახელდება, მაგრამ რეალური მიზეზი მისი „უპარტიულობა“ ჩანდა. – ასეთი იყო მაშინდელი ცხოვრების „პრინციპი“, საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის მანქანა ამკარად თუ შეფარვით ჩვენში 1980-იან წლებამდე მაინც მოქმედებდა.

- მამას ძალიან უყვარდა მანქანით მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ერთხელაც გადამწყვიტა მესხეთ-ჯავახეთის მონახულება. „ჩემი ისტორიული სამშობლო უნდა გიჩვენოთ“, – განაცხადა მან და მთელი ოჯახი მანქანით გავემართეთ ახალციხის, აბასთუმნის, ასპინძის, ვარძიისა და ბორჯომის დასათვალიერებლად. ძალიან ამაყობდა ამ კუთხით, დარწმუნებით ფიქრობდა, რომ ევროპული კულტურა საქართველოში კათოლიკობასთან ერთად შემოვიდაო. თან ჰყვებოდა კოკოჩაშვილების გვარის ისტორიასაც.

- მამას ერთხელ მისმა ყოფილმა მოწაფემ (შემდეგ – კოლეგამ), დოცენტმა ქსენია ლაბაძემ (მას შვილი არ ჰყავდა) ჰკითხა: „ამბობენ შვილიშვილები შვილებზე უფრო საყვარლები არიანო; ამაზე თქვენ რას ფიქრობთ, ბ-ნო ვიქტორ?“ მამა ჩაფიქრდა, მერე კი ღიმილით უპასუხა: „ჩემს თინიკოზე მეტად არავინ მყვარებია ამ ქვეყანაზე“.

- ბატონმა ვიქტორმა ძალიან მძიმედ განიცადა უმცროსი ძმის ტრაგედია 1937 წელს. მოგვიანებით ქალიშვილის მიერ დასმულ კითხვაზე – თუ რატომ არ შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში – მან ასე უპასუხა: „ეს

პრინციპის, შინაგანი რწმენის საქმე იყო; ის ვერ გახდებოდა იმ პარტიის წევრი, რომელმაც შეინირა უდანაშაულო ადამიანები: ჯერ მამა და მერე ძმა“.

- ბებია მარიამი ხშირად იგონებდა მეუღლესთან ერთად გატარებულ ხანმოკლე, მაგრამ ბედნიერ ცხოვრებას, რომელიც მისთვის მაშინ დაიწყო, როცა პირველად შეხვდა ბაბუა ივანეს. ეს შეხვედრა მოხდა გორში, ე. წ. „როტონდაზე“ (ახალგაზრდების საცეკვაო მოედანზე). ქალ-ვაჟს მოსწონებიათ ერთმანეთი და მალევე დაქორწინებულან. ისიც კარგად ახსოვდა, რომ ჯვრისწერის შემდეგ საქორწინო მოგზაურობით იტალიაში წასულან და ძალიან კმაყოფილები დაბრუნებულან.

ბებია მადლიერებით მოიხსენიებდა ხოლმე მამამთილს – პეტრე-პავლეს. პეტრე-პავლემ მის დიდებულ ორსართულიან სახლში, რომელიც დაპროექტებული იყო უცხოელი არქიტექტორის მიერ (პირველ სართულზე განთავსებული იყო აფთიაქი და სხვა სავაჭრო დანიშნულების ობიექტები, მეორე სართულზე იყო საცხოვრებელი ოთახები) ყველა შვილს ცალ-ცალკე გამოუყო ოთახები. ბებიას კი ჰქონდა თავისი საკუთარი სახლი, მაგრამ პეტრე-პავლემ ადრე დაქვრივებულ რძალს შვილიშვილების სახელზე აქაც მისცა რამდენიმე ოთახი. ბებია მქუთაისში ყოფნისას ბოლო წლები ამ სახლშიც გაატარა.

- მამა თბილისში ხშირად მასპინძლობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან საქმიანი ვიზიტით ჩამოსულ კოლეგებს, რომლებიც თავისუფალ დროს საკუ-

თარი მანქანით (საჭეს თვითონ მართავდა) დაჰყავდა თბილისსა და მის შემოგარენში ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად: აჩვენებდა ჩვენს ლამაზ ბუნებას, თან საქართველოს ისტორიასაც აცნობდა. უცხოელების წინაშე თავის მოსაწონებლად ჩვენში ბევრი კარგი ადგილია, მაგრამ მამას განსაკუთრებით უყვარდა მცხეთა. აქ ცხოვრობდა ცნობილი ქართველი მეზღვე-დეკორატორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მიხეილ მამულაშვილი (1873-1973), რომელსაც თავისი საქმიანობის მიხედვით, ხალხმა „მცხეთის მინდია“ შეარქვა.

მთელი საქართველო იცნობდა ბ-ნ მიხეილს მცხეთაში გაშენებული ყვავილების საუცხოო ბაღით, იქ მოწყობილი მხატვრული კომპოზიციებითა და კაბინეტ-მუზეუმებით.

ამ ლამაზი ბუნების წიაღში ღებულობდა მ. მამულაშვილი (უკვე საკმაოდ ხანდაზმულიც) უამრავ სტუმარს, დამთვალიერებლებს, ახლო მეგობრებს... მამას ბ-ნ მიხეილთან ხანგრძლივი ნაცნობობა აკავშირებდა, მით უფრო, რომ ბებია მარიამი (ვიქტორის დედა) ქართლელი მამულაშვილი იყო. თვითონ მიხეილსაც ეამაყებოდა ჩვენი ოჯახის მხრიდან ასეთი განსაკუთრებული ყურადღება; ამიტომ იყო, რომ მამასა და მის თანმხლებ პირებს იქვე სათბურში სახელდახელოდ დაკრეფილი ლამაზი ყვავილების თაიგულებით გამოისტუმრებდა ყოველთვის.

ბ-ნ მიხეილს ახალგაზრდობაში (და მერეც კარგახანს) თბილისში, დარბაზის ქუჩაზე (ახლანდელი რუსთა-

ველის გამზირის, სასახლისა და მეტრო „თავისუფლების“ მიმდებარე ტერიტორიაზე) ჰქონია ყვავილების სალონი „სოლეიდორი“. ეს სალონი ქალაქში კარგად იყო ცნობილი; დედა აქ ხშირად შეიძენდა ხოლმე ყვავილებსა და სხვადასხვა სახის კომპოზიციებს... ბ-ნი მიშა ზაფხულობით ჰერბარიუმებსაც აკეთებდა. მე კარგად მახსოვს მის სახელოსნოში ჰერბარიუმების დიდი ალბომები. ეს საოცრად კეთილშობილი ადამიანი ახლო მეგობრებს ახალი წლის დღესასწაულს ულოცავდა გამხმარი ლამაზი ყვავილებით დამშვენებული მოსალოცი ბარათებით. ჩვენს ოჯახში აქამდეა შემორჩენილი ათეულობით ასეთი ლამაზი ბარათი მისივე ხელით დაწერილი გულითადი სიტყვებით (იხ. ფოტოდოკუმენტურ მასალაში).

მადლიერებით მაგონდება ბ-ნი მიშას ქალიშვილიც. იგი ყოველთვის იდგა მამის გვერდით, ეხმარებოდა ყველა საქმეში. მინდა ჩემი მოგონება ასე დავამთავრო: ღმერთმა ნათელში ამყოფოს ისეთი თავდაუზოგავი ქართველი პატრიოტები და საქმის პროფესიონალები, როგორც იყო ბ-ნი მიხეილ მამულაშვილი.

- პეტრე-პავლე კოკოჩაშვილი, წარმატებული აფთიაქარი და სხვა ბევრი ახალი საქმის ავტორი, ოთხი ვაჟისა და ორი ქალიშვილის მამა იყო. მატერიალური შესაძლებლობის წყალობით, მისმა ვაჟებმა კარგი განათლება მიიღეს; უყვარდათ შრომა და თავიანთი მონდომებით საქმის პროფესიონალები გახდნენ. ლევანს, ივანეს და ზაქარიას განსაკუთრებით ფარმაცევტული

მიმართულებით აინტერესებდათ მუშაობა, ვასილი კი იურისტი გახდა...

პეტრე-პავლემ, როცა სიბერის მოახლოება იგრძნო, შვილებს შესთავაზა, აეღოთ ხელში „სუნოვანი წყლების“ ქარხნის მართვა (ქარხანა მისი საცხოვრებელი სახლის ეზოში იყო განთავსებული). უფრო ვასილის იმედი ჰქონდა თურმე, მაგრამ მისგანაც უარი მიიღო. ამ დროს მასთან შევირდად მუშაობდა მიტროფანე ლალიძე. იგი მეტად მონდომებული და ინტერესიანი ყმანვილი ყოფილა, ამ საქმის მიმართ ძალიან გულანთებული და მიზანმიმართული. წყლების ქარხნის მიმართ შვილების გულგრილობის გამო პეტრე-პავლემ მის ხელთ არსებული სიროფის რეცეპტები გადასცა მიტროფანეს, რომელმაც შემდეგ თბილისში, რუსთაველზე, გახსნა წყლების მალაზია (ცნობილი „ლალიძის წყლები“).

რამდენიმე ხნის შემდეგ თბილისში ლალიძის წყლების მალაზიას ესტუმრა თურმე პეტრე-პავლეს შვილი ვასილი. მას წყალი გაუსინჯავს, არ მოსწონებია. მერე მოიკითხა მიტროფანე. ოფიციალტმა უთხრა, რომ ბ-ნი მიტროფანე კლიენტებთან არ გამოდისო. „არა უშავს, უთხარი, ვასილი გკითხულობსო“.

მიტროფანე გამოსულა, ვასილს უსაყვედურებია: შე ყურუმსალო, ჩვენი წყალი როგორ გაგიფუჭებიაო, მიტროფანეს კი თავი ასე უმართლებია: ამისი მიზეზი თბილისის წყალია, ქუთაისის წყალი უფრო გემრიელიაო.

მახსოვს, წლების შემდეგ ვასილის შვილიშვილმა და შვილთაშვილმა მამას სახლში მოაკითხეს, თან მოუტანეს

დიდი ბაბუასდროინდელი ბოთლები წარწერით: „Воды П. П. Кокочева“. მათ აინტერესებდათ, თუ რატომ არ ამბობენ ლალიძეები, რომ ეს წყლები წარსულში ჩვენი იყო. მამა შეცბა, მერე უპასუხა: „ბაბუაჩემმა პეტრე-პავლემ თავის დროზე ეს საკითხი ასე გადანყვიტა და ახლა ლალიძეებთან ამაზე საუბარი უხერხულია“.

მამას ლალიძეებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა, განსაკუთრებით რამაზ ლალიძესთან (ისიც ქიმიკოსი იყო).

- ვ. კოკორაშვილის ოჯახი ცხოვრობდა პ. მელიქიშვილისა და ვ. პეტრიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, უნივერსიტეტთან ახლოს. ამის თაობაზე ბ-ნი ვიქტორი ხშირად ხუმრობდა: „სამი ქიმიკოსი ერთ კუთხეში ბუდობსო“.

- 1981 წელს დაიბეჭდა პროფ. ს. ჯორბენაძის საკმაოდ სქელტანიანი წიგნი **„ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“**. მამამ შეიძინა ეს წიგნი, ყურადღებით წაიკითხა და შემდეგ გამოთქვა სურვილი თავადაც დაენერა მისი სასიქადულო ლექტორის – დიდი პეტრე მელიქიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ნაშრომი. შეგროვილი ჰქონდა მასალები, წერაც დაუწყია, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი დასრულება არ დასცალდა. არქივში შემორჩენილია ამ წიგნის დასაწყისი ნაწილის ხელნაწერი რადენიმე ფურცელი და სხვა ცალკეული მასალები.

უუუუნა ფეიქრიშვილი: ვიქტორ კოკოჩაშვილი პირადად არ მინახავს. სტუდენტობისას მასთან დაკავშირებით მხოლოდ ის ვიცოდი, რომ არსებობდა წიგნი „კოკოჩაშვილის ქიმია“ (ასე მოიხსენიებდნენ ხოლმე), რომელსაც აბიტურიენტები იყენებდნენ. სამაგიეროდ, ახლოს ვიცნობდი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტის დოცენტს გიორგი (გოგი) კოკოჩაშვილს (1893-1981), თუმცა მაშინ ჩემთვის უცნობი იყო ვიქტორისა და გოგის ბიძაშვილობა და რატომღაც ეს ორი პიროვნება გვარის მიხედვით არასოდეს არ დამიკავშირებია...

1965 წელს დავამთავრე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ ქართული ენის კათედრაზე დავინწყე მუშაობა ლაბორანტად. მახსოვს, ერთხელ კაბინეტში ქეთევან ძონენიძესთან შემოვიდა ბ-ნი გოგი¹. მან ქალბატონ ქეთევანს (მის მეგობარს) ხელნაწერი რამდენიმე ფურცელი მოუტანა და სთხოვა, გადაეხედა, სტილისტურად ხომ არაფერი იყო გასასწორებელი (ეს მასალა, მგონი, სხვაგან იყო გასაგზავნი). ამ დროს ქ-ნი ქეთევანი სასწრაფოდ გამოიძახეს რექტორთან. შეწუხდა იგი, ბ-ნი გოგის ბოდიში მოუხადა და მე მომანდო ამ ხელნაწერის ნაკითხვა-გასწორება. ასე გავიცანი პირადად გ. კოკოჩაშვილი. არ ვიცი, იმ წუ-

¹ ვიცანი. იგი ბიოლოგი კოკოჩაშვილი იყო. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს საპროფესოროში ხშირად ვხვდავდი მას ჩემი ლექტორების: შალვა აბრამიძის, დავით მაჭავარიანის, პოლიკარპე ჯაჯანიძის, ქეთევან ძონენიძის გვერდით მოსაუბრეს.

თებში რა იფიქრა მან ჩემზე (ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, არც არაფერი იცოდა ჩემი ცოდნის შესახებ), მაგრამ ენდო ქ-ნ ქეთევანს... და, როცა მისი ხელნაწერი კარგად „გავაშალაშინეთ“, კმაყოფილი დარჩა, მაღლობა გადამიხადა და თან ღიმილით დასძინა: „ძალიან ხომ არ შეგანუხებთ, სხვა დროსაც რომ მოგიტანოთ ასეთი სამუშაო“.

ამის შემდეგ მართლაც დრო და დრო ვხვდებოდით ერთმანეთს, ვასწორებდით ფანქრით ნაწერ თაბახის ფურცლებს – სამეცნიერო სტატიებს თუ სხვა მასალებს.

აღმოჩნდა, რომ მას თურმე საერთოდ ჰყვარებია ფანქრით წერა (ყოველთვის თან ჰქონდა საშლელიც). როცა რომელიმე ნაწილს გავასწორებდით, საშლელით მაშინვე ნაშლიდა არასწორ ფორმას და მისი დედანი კვლავ სუფთად გამოიყურებოდა.

ბ-ნ გოგის საკმაოდ კარგი წერის კულტურა ჰქონდა, ამიტომაც ენობრივად ბევრი არაფერი იყო გასასწორებელი; მალე კიდეც მივხვდი, რომ მისი მხრიდან ამ „ზედმეტ“ სიფრთხილეს „ავალდებულებდა“ ნებისმიერი საქმის მიმართ მისეული დიდი პასუხისმგებლობა და აბსოლუტური სიზუსტის დაცვის ჩვევა.

ბ-ნი გოგი ჩემი ლექტორი არ ყოფილა, არ მომისმენია მისი ლექციები, მაგრამ მაშინდელი ჩვენი შეხვედრები ჩემთვის კარგ გაკვეთილად იქცა პროფესიული დაოსტატების გზაზე. ისიც მემაცებოდა, რომ მეც კათოლიკე ვიყავი. მართალია, იმ წლებში რელიგიაზე საერთოდ ხმამაღლა არავინ საუბროდა, მაგრამ ხანდახან „ვიწრო წრეში“ ჩემი ლექტორებისაგან მაინც მესმოდა ასეთი

ფრაზები: კათოლიკეთა ოჯახებში ტრადიციადაა ქცეული (როგორც დაუნერვლი კანონი) შრომის სიყვარული, პატიოსნება და კეთილშობილება“... ერთხელ საპროფესოროში ქ-ნ ლ. კვანტალიანისა და ბ-ნ შ. აბრამიძის ასეთ დიალოგსაც შევესწარი:

– ბატონო შალვა, რატომაა, რომ დღესაც კათოლიკეები სხვებისაგან უფრო გამორჩეულები არიან ნიჭიერებით, სიბეჯითით, შრომისმოყვარეობით, ზედმინვენითი პასუხისმგებლობითა და პუნქტუალობით; ისინი საოცრად მონესრიგებულები, პატიოსანი მშრომელები არიან. მაგალითად, ბ-ნი გოგი კოკოჩაშვილი, ვანო (ივანე) ვარლამიშვილი...

– ამისი მიზეზი არის მათი რწმენა, კათოლიკობა, ოჯახში მიღებული კარგი აღზრდა. კათოლიკე მღვდლების დახმარებით მშობლები შვილებს ბავშვობიდანვე ასწავლიან გააზრებული ცხოვრების წესებს, მიზანმიმართულ საქმიანობას...

ბატონი გოგი კოკოჩაშვილი რომ გარდაიცვალა, ძალიან დამწყდა გული; მისი სახით თითქოს კიდევ ერთი ჩემი ახლობელი შეუერთდა ზეციურ საუფლოს. ინსტიტუტს დააკლდა საუკეთესო მეცნიერი, სამაგალითო პიროვნება, რომელიც მთელს ქალაქში გამოირჩეოდა დახვეწილი მანერებით, თავაზიანობით, სრულიად განსხვავებული კეთილშობილებით... გამოირჩეოდა ჩაცმულობითაც – უყვარდა თეთრი ტანსაცმლით სიარული. მასთან ყოველი შეხვედრისას ვგრძნობდი, რომ ეს თეთრი სამო-

სი მისეულ კეთილ ღიმილთან ერთად სულიერების სარკეც იყო... წარსულის მოგონებამ და ამჟამინდელმა შთაბეჭდილებამ დღეს ჩემში უფრო გამოკვეთილად წარმოაჩინა კოკორაშვილების დიდი სანათესაოს ღირსება და წარმატებული საქმიანობა.

და ბოლოს: ბატონი ვიქტორის წიგნზე მუშაობისას გამოვიყენე თინათინ კოკორაშვილის საოჯახო არქივში დაცული გენეალოგიის სქემა სახელწოდებით „კოკორაშვილების საგვარეულო“ – საკმაოდ ვრცელი ინფორმაციის შემცველი მასალები. ამ მეტად ფასეული დოკუმენტის ავტორი აღმოჩნდა ბ-ნი გოგი კოკორაშვილი. ამისთვისაც გულწრფელი მადლიერება ამ დიდებულ ადამიანს და მოკრძალებული პატივი კოკორაშვილების საგვარეულოს წარმომადგენელთა ხსოვნას.

კიქტოზ კოკოჩაშვილის დიდი მასწავლებლები

ვ. კოკოჩაშვილის პუბლიკაციები

დიდი ძარბიველი მეცნიერი

(პ. გ. მელიქიშვილის გარდაცვალების
25 წლისთავის გამო)

ქართველ მეცნიერთაგან, რომლებმაც თავიანთი გამოკვლევებით თავი ისახელეს, პეტრე მელიქიშვილმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ვინაიდან იგი ინტენსიურ კვლევით მუშაობასთან ერთად დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. პეტრე მელიქიშვილს წილად ხვდა პატივი ჩვენს მეორე სასიქადულო მეცნიერ ივანე ჯავახიშვილთან ერთად სათავეში ჩადგომოდა ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეს და ყოფილიყო არჩეული მის პირველ რექტორად.

პ. მელიქიშვილმა თავლსაჩინო წვლილი შეიტანა ქიმიური მეცნიერების განვითარებაში და აღზარდა მეცნიერთა მრავალი თაობა. მისი ფუნდამენტალური შრომები გვიხატავს მეცნიერების დიდ მოამაგეს, სახელგანთქმულ მკვლევარს და შესანიშნავ მეცნიერს, რომელიც ემსახურებოდა ხალხს „არა იძულებით, არამედ ნებაყოფილობით, ხალხისით“.

* * *

პეტრე მელიქიშვილის წინაპრებს უცხოვრიათ აჭარაში, საიდანაც XVII საუკუნეში ახალციხეში გადახვეწილან. ჩვენი მეცნიერის მამა, გრიგოლ მელიქიშვილი, თავისი მეუღლით გადმოსულა და დამკვიდრებულა თბილისში, სადაც ბებუთაანთ (ან ენგელსის) ქუჩაზე აუშენებია სახლი. ამ სახლში დაბადებულა პეტრე.

მონინავე ქართველი, თავისი სამშობლოს პატრიოტი გრიგოლ მელიქიშვილი მრავალი კულტურული წამონწყების თაოსანი ყოფილა. კერძოდ, მას მხურვალე მონანილეობა მიუღია მისი უფროსი ვაჟის სტეფანეს სასტამბო საქმიანობაში. სტეფანე მელიქიშვილის გამომცემლობით იბეჭდებოდა მთელი რიგი ქართული გაზეთები, რომლებშიც თანამშრომლობდნენ საქართველოს მონინავე ძალები. პეტრეს და – ეკატერინე (კეკე) შემდეგში გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ს. მესხის მეუღლე, საყმანვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ აქტიური თანამშრომელი იყო. გრიგოლ მელიქიშვილის ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვ., რომელთა მოღვაწეობას უდიდესი გავლენა ჰქონდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ასეთ წრეში იზრდებოდა ახალგაზრდა პეტრე. იგი დიდი წარმატებით სწავლობდა გიმნაზიაში, თუმცა სწავლა-აღზრდის პირობები მაშინ საშინელი იყო, რაც ასე

შესანიშნავად აქვს აღწერილი პეტრე მელიქიშვილს თავის ავტობიოგრაფიაში „ჩემი ცხოვრება“. ამ საინტერესო დოკუმენტში პეტრე მელიქიშვილი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს თავის მასწავლებელთ – ბესარიონ და ნიკოლოზ ლოლობერიძეებს, რომლებიც თავიანთ პედაგოგიურ მოღვაწეობას სიყვარულით და საქმის ცოდნით ეკიდებოდნენ.

1868 წ. 18 წლის პეტრე მელიქიშვილმა ბრწყინვალედ დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია. მისი სახელი ოქროს ასოებით იქნა შეტანილი საპატიო დაფაზე. გიმნაზიის დამთავრებისთანავე მან განიზრახა პეტერბურგს გამგზავრება, მაგრამ ექიმების რჩევით კიდევ ერთი წელი დაჰყო თბილისში და 1869 წელს გაემგზავრა ოდესაში, სადაც შევიდა იქაური უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. იმ ხანებში ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტის იმავე ფაკულტეტზე საბუნებისმეტყველო განყოფილების უკანასკნელ კურსზე სწავლობდა შემდეგში აგრეთვე სახელოვანი ქართველი მეცნიერი ვასილ პეტრიაშვილი. უნივერსიტეტში პ. მელიქიშვილი გულდასმით ისმენდა ლექციებს არა მარტო სპეციალურ საგნებში, არამედ სხვა დისციპლინებშიც.

ოდესის უნივერსიტეტში ამ დროს მოღვაწეობდნენ მთელი რიგი გამოჩენილი სწავლულები. ზოგიერთ მათგანს მეფის მთავრობა ეჭვის თვალთ უყურებდა იმიტომ, რომ ახალ პროგრესულ იდეებს და ახალგაზრდობას თანაუგრძნობდნენ. მათ შორის პირველ რიგში უნდა

აღინიშნოს ბოტანიკოსი პროფ. ლ. ა. ცენკოვსკი, ფიზიოლოგი ი. მ. სეჩენოვი, ბიოლოგები: ი. ი. მეჩნიკოვი და ა. ო. კოვალევსკი, ქიმიკოსები: პროფ. ნ. ნ. სოკოლოვი და დოც. ა. ვერიგო, ფიზიკოსი ნ. უმოვი და სხვ.

„ქიმიას კითხულობდნენ პროფ. სოკოლოვი და დოც. ა. ვერიგო, – მოგვითხრობს პეტრე მელიქიშვილი, – სოკოლოვი ეკუთვნოდა მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომლებმაც გისენში ლიბიხის მიერ დაარსებულ ლაბორატორიაში მიიღო ქიმიური განათლება“.

„უნივერსიტეტში სტუდენტთა შორის, – წერდა პეტრე მელიქიშვილი თავის „მოგონებებში“, – მყავდა სამი მეგობარი – პეტრიაშვილი, ლორთქიფანიძე და გრებნიცკი“. შემდეგში, როცა პ. მელიქიშვილი უკვე ოდესის უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა, ბევრი მისი მასწავლებელი მისი ახლო მეგობარი გახდა და ამხანაგ-მეგობართა წრე მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

1872 წელს პეტრე მელიქიშვილმა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხით დაამთავრა უნივერსიტეტი, ხოლო 1873 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი ორი მეცნიერული ნაშრომი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პეტრე მელიქიშვილი საზღვარგარეთ გაემგზავრა სამეცნიერო მივლინებაში. 1875 წელს ის დანიშნეს ოდესის უნივერსიტეტის ქიმიური ლაბორატორიის ლაბორანტის თანამდებობაზე. ამავე ხანებში პეტრე მელიქიშვილი იწყებს მზადებას სამაგისტრო გამოცდებისათვის. 1881 წელს მან დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „აკრილმჟავების წარმოებულთა შესახებ“. 1882 წ. პეტრე მელიქიშვილი კვლავ

მიემგზავრება საზღვარგარეთ. პარიზში ის ისმენდა ბერთოლეს ლექციებს. შემდეგ გაემგზავრა გერმანიაში და მუშაობდა მიუნხენში ბაიერის ლაბორატორიაში.

1884 წელს პეტრე მელიქიშვილი არჩეულ იქნა დოცენტად და სულ მოკლე ხანში დაამთავრა ერთ-ერთი თავისი კაპიტალური ნაშრომი, რომელიც საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერტაციას.

1885 წელს პეტრე მელიქიშვილი იცავს დისერტაციას თემაზე „იზომერული კროტონმჟავების წარმოებულთა შესახებ“, რომლისათვისაც მას ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ამის შემდეგ პეტრე მელიქიშვილი არჩეულ იქნა ექსტრაორდინალურ პროფესორად, ხოლო 1889 წლიდან ორდინალურ პროფესორად.

ამ პერიოდს ეკუთვნის მისი მნიშვნელოვანი გამოკვლევები ზეჟანგებსა და ზემჟავებზე. ამ გამოკვლევებისათვის **პეტრე მელიქიშვილს** და მის მონაფეს (შემდეგში აკადემიკოსს) **ლ. ვ. პისარევესკის** რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ **ლომონოსოვის სახელობის დიდი პრემია** მიაკუთვნა.

მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის აღსანიშნავად 1907 წელს პეტრე მელიქიშვილს დამსახურებული პროფესორის ნოდება მიენიჭა. 1913-1917 წლების მანძილზე პეტრე მელიქიშვილი მუშაობდა ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად.

1923 წლის დასაწყისში პ. მელიქიშვილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

* * *

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ბოლო მოუღო რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მობინადრე ერების უთანასწორობასა და ჩაგვრას, შექმნა პირობები მათი ეკონომიური და კულტურული აღორძინებისთვის.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართული უნივერსიტეტის დაარსებას უკვე აღარაფერი უშლიდა ხელს. პეტრე მელიქიშვილის უშუალო მონაწილეობით ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში მისივე ხელმძღვანელობით ფართო მუშაობა გაიშალა ქიმიის კათედრებისა და ლაბორატორიების მოსაწყობად. აქ მისთვის ჩვეულებრივ გატაცებით განაგრძობდა ის შემოქმედებით მუშაობას ქიმიის სხვადასხვა დარგში. განსაკუთრებული ნაყოფიერებით გაიშალა ჯერ კიდევ ოდესაში დაწყებული მუშაობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შესასწავლად. ამ მუშაობაში ჩააბა მან მთელი რიგი თავისი ახალი მოსწავლეები, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ნ. ციციშვილი, მ. ბექაია და სხვ.

პეტრე მელიქიშვილი არ წარმოადგენდა ვინრო ჩარჩოებში მომწყვდეულ მეცნიერს, მისი მეცნიერული მოღვაწეობის სარბიელი ფართო და მრავალფეროვანი იყო, მოიცავდა ქიმიის სხვადასხვა დარგს, სადაც მას მრავალი პრინციპული ხასიათის პრობლემა გადაუწყვეტია. ამავე დროს თავის მეცნიერულ მუშაობას პეტრე მელი-

ქიშვილი მჭიდროდ უკავშირებდა პრაქტიკის მოთხოვნილებებს.

მოკლე საჟურნალო წერილში შეუძლებელია ისეთი დიდი და მრავალმხრივი მეცნიერის შემოქმედებითი მუშაობის ამომწურავი დახასიათება, როგორც პეტრე მელიქიშვილი იყო. ჩვენი მიზანია გავაცნოთ მკითხველს მისი ზოგიერთი გამოკვლევა ქიმიის დარგში, ამიტომ აქ არ შევუდგებით მისი ყველა გამოკვლევის განხილვას, რომლებიც თავისი მიზანდასახულობითა და შინაარსით ოთხ ძირითად ჯგუფად შეიძლება დავყოთ. ეს არის მისი შრომები ორგანული, აგრონომიული, ანალიზური და არაორგანული ქიმიის დარგებში, რომლებზედაც მხოლოდ გაკვრით შევჩერდებით.

ორგანულ ქიმიაში პ. მელიქიშვილმა დაამუშავა შედარებით ნაკლებად განვითარებული, მაგრამ მეტად საინტერესო დარგი, რომელმაც განსაკუთრებით ამჟამად მოიპოვა დიდი მნიშვნელობა ორგანული სინთეზის საქმეში. ჩვენ ვგულისხმობთ გლიციდმჟავების მიღებას, რომელთაც პეტრე მელიქიშვილის ორგანული ციკლის შრომებში ცენტრალური ადგილი უკავია. დასახელებულ მჟავათა შესწავლამ განსაზღვრა მისი გამოკვლევების შემდგომი მიმართულება. მან მოამზადა მთელი რიგი ახალი ნაერთები, რომელთა გამოკვლევა საფუძვლად დაედო უნაჯერო მჟავათა აღნაგობის გარკვევას. პეტრე მელიქიშვილმა მიიღო გლიციდურ მჟავათა მარილები და ეთერები, რომლებსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი რიგი ორგანული ნაერთების სტრუქტურ-

რის დასადგენად. თვით სახელწოდება – „გლიციდმჟავები“ პ. მელიქიშვილს ეკუთვნის. გლიციდი წარმოადგენს ორ მოსაზღვრე ჰიდროქსილის ანჰიდრიდს, რომელსაც ადრე ოქსიმჟავები ეწოდებოდა. ეს გლიციდები პეტრე მელიქიშვილმა სხვადასხვა გზით მიიღო და დაამტკიცა, რომ მათ გააჩნიათ როგორც მჟავური, აგრეთვე ფუძე თვისებები, რადგან ისინი იჩენენ NH_3 , H_2O და HCl -ის მიერთების უნარს. პირველ შემთხვევაში წარმოიქმნება ოქსიამიდო-ნაერთები, მეორეში – დიოქსი-ნაერთები, ხოლო მესამეში – ქლორ-ოქსი-ნაერთები.

დიდი რუსი მეცნიერის, ორგანულ ქიმიის სტრუქტურული თეორიის ფუძემდებლის ა. მ. ბუტლეროვის აღნაგობის თეორია, ჩამოყალიბებული XIX საუკუნის სამოციან წლებში, ისეთივე მნიშვნელობის აღმოჩნდა, როგორც, მაგალითად, დარვინის ევოლუციური მოძღვრება ბიოლოგიაში, ბუტლეროვის სტრუქტურული თეორიის შექმნამდე ორგანულ ქიმიას არ გააჩნდა ერთი მთლიანი მწყობრი თეორია. ცნობილი იყო ერთმანეთთან დაუკავშირებელი მრავალი ფაქტი, მაგრამ არ არსებობდა მწყობრი ერთიანი მეცნიერება. ბუტლეროვის თეორიამ მტკიცე საფუძველი მისცა ორგანულ ქიმიას, რამაც ხელი შეუწყო მის სწრაფ განვითარებას და განაპირობა ქიმიური მრეწველობის მნიშვნელოვანი ზრდა. ბუტლეროვის თეორიის განმტკიცებასა და ორგანული ქიმიის განვითარებაში მრავალ რუს გამოჩენილ მეცნიერთან ერთად საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენს თანამემამულესაც – პეტრე მელიქიშვილს. ორგა-

ნულ ქიმიამი პეტრე მელიქიშვილის მოღვაწეობის პერიოდში ჩამოყალიბდა გეომეტრიული იზომერიის თეორია, რომლის სისწორეც საკუთარი ექსპერიმენტული მასალების საფუძველზე დაადასტურა პეტრე მელიქიშვილმა. მაგალითად, კროტონ- და იზოკროტონმჟავათა შესწავლისას პეტრე მელიქიშვილმა მიიღო ორი სტერეოიზომერული ბეტაქლორ-ოქსი-ერბოს მჟავა, რომელთა დაშლისას პროპიონის ალდეჰიდები წარმოიქმნება. ამ გამოკვლევებით პეტრე მელიქიშვილმა დაამტკიცა კროტონმჟავათა გეომეტრიული იზომერების არსებობა და ხელი შეუწყო ამ თეორიის განმტკიცებას. შემდეგში პეტრე მელიქიშვილი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხებს. ამ პერიოდში პეტრე მელიქიშვილთან მუშაობდნენ მისი მოწაფეები, შემდეგში გამოჩენილი მეცნიერნი აკადემიკოსი ნ. დ. ზელინსკი, პ. პეტრენკო-კრიტიჩენკო და სხვ.

პეტრე მელიქიშვილი მრავალი წლის განმავლობაში სამხრეთ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად მუშაობდა. საქართველოში მან განაგრძო მოღვაწეობა ამ დარგში და დიდი ხნის განმავლობაში თავმჯდომარეობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას.

პეტრე მელიქიშვილს ეკუთვნის სხვადასხვა ჯიშის ხორბლის შემადგენლობაზე გარემო არეს გავლენის გამოკვლევა. მან დაადგინა, რომ გარეფაქტორების გავლენით ხორბალში ცილოვანი ნივთიერებების, სახამებლის, ცხიმისა და მინერალური ნაწილის თანაფარდობა არსებითად იცვლება. მან შენიშნა, რომ გვალვის დროს ხორ-

ბალში ცილოვან ნივთიერებათა შემცველობა იზრდება, და მეტად მოხერხებულად განმარტა ეს მოვლენა.

ხორბლის გარდა პეტრე მელიქიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა მრავალი მარცვლეული კულტურის შემადგენლობა. ასეთია სიმინდი, ღომი, ლობიო, სოია, არახისი და სხვ. პეტრე მელიქიშვილს ეკუთვნის აგრეთვე ღვინოების გამოკვლევები, რომლებითაც მან მრავალი საინტერესო საკითხი გაარკვია.

პ. მელიქიშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სოფლის მეურნეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხის საერთო კეთილდღეობისათვის, საქმითა და სიტყვით ქადაგებდა სოფლის მეურნეობის მეცნიერულ საფუძვლებზე წარმოების საჭიროებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიზანშეწონილად დამუშავებისა და გამოყენების აუცილებლობას. მის ამ იდეებს ფრთა შეესხა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ქართველი ხალხის მთელ ცხოვრებასთან ერთად სოფლის მეურნეობაც გადახალისდა და გარდაიქმნა. კოლექტივიზაციამ ჩვენი სოფლის მეურნეობა არნახულ დონემდე განავითარა, კოლმეურნეობისათვის შეძლებული ცხოვრება უზრუნველყო.

პ. მელიქიშვილს მეტად მნიშვნელოვანი შრომები აქვს შესრულებული არაორგანული ქიმიის დარგში. ეს არის ზეჟანგებისა და ზემჟავების გამოკვლევები. მანამდე ქიმიის ამ დარგში მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათის ცნობები მოიპოვებოდა, მიღებული იყო რამდენიმე ზეჟანგი, რომელთა აღნაგობა გაურკვეველი რჩებოდა.

ზეჟანგები წარმოადგენს ნაერთების მეტად საინტერესო ჯგუფს, რომელთაც იმ ხანებში ზოგი მკვლევარი არ ასხვავებდა ორჟანგებისაგან და ორივე ტიპის ნაერთებს ზეჟანგებს უწოდებდნენ.

მედელეევის პერიოდული სისტემის თვალსაზრისით, განსხვავება ზეჟანგებსა და ორჟანგებს შორის მკაფიოდ გამოვლინდა. როცა მენდელეევა ყოველ ელემენტს თავისი ადგილი მიუჩინა პერიოდულ სისტემაში, ნათელი გახდა, რომ, RO_2 -ის ტიპის ნაერთები, სადაც მჟღავნდება მეოთხე ჯგუფის ელემენტების მაქსიმალური ვალენტობა ჟანგბადის მიმართ (მაგალითად, RbO_2) წარმოადგენს არა ზეჟანგებს, არამედ ორჟანგებს, ვინაიდან ელემენტის ვალენტობა ჟანგბადის მიმართ არ აღემატება ამ ელემენტის ჯგუფის ნომერს. მენდელეევა ზეჟანგები (ჰიდროქსიდები) უწოდა ნყალბადის ზეჟანგის H-O-O-H ტიპის ნაერთებს, სადაც ჟანგბადის ატომი მეორე ჟანგბადთან უშუალოდ არის შებმული. ასეთია N_2O_2 , K_2O_2 , Ba_2O_2 და სხვ. ხოლო ორჟანგებში ორივე ჟანგბადატომი უშუალოდ არის შეკავშირებული მეტალის ატომთან: $\text{Pb} \begin{array}{c} \diagup \text{O} \\ \diagdown \end{array}$, როგორც ვხედავთ, ზეჟანგებსა და ორჟანგებს შორის არსებითი განსხვავება ყოფილა.

როცა მენდელეევა თავისი უკვდავი ქმნილება – პერიოდული სისტემა ჩამოაყალიბა, ნათელი გახდა არა მარტო ელემენტთა თვისებების პერიოდულობა, არამედ ნაერთებისაც. იმ ხანებში არ იყო კარგად დადგენილი ზეჟანგების აღნაგობა, ამიტომ ზოგი ქიმიკოსი გამოთქვამდა

აზრს, რომ ელემენტები მეტ ვალენტობას იჩენს, ვიდრე ამას პერიოდული სისტემა ითვალისწინებს და რომ ზეჟანგების არსებობა ერთგვარად არღვევს პერიოდული სისტემის მწყობრ სახეს. ეს პრინციპული მნიშვნელობის საკითხი პეტრე მელიქიშვილმა კვლევის საგნად გახადა და თავის მოწაფე ლ. პისარჟევსკისთან ერთად შეუდგა მეტად საინტერესო და წარმტაც მუშაობას, რომლის შედეგებმა მას ახალი ბრწყინვალე წარმატება მოუპოვა.

ზემოთ დასმული საკითხის გარდა, პეტრე მელიქიშვილს აინტერესებდა, „შეუძლია თუ არა მეტალების ზეჟანგებს დაიკავოს წყალბადის ადგილი მჟავებში და წარმოქმნას მარილები მსგავსად იმისა, როგორც ეს ხდება მჟავური წყალბადის მეტალებით ჩანაცვლებისას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეუძლიათ თუ არა რთულ რადიკალებს MO და MO_2 -ის ტიპის მეტალთა ზეჟანგების ნაშთებს შეასრულონ მეტალის როლი მარილების წარმოქმნის დროს“.

მართალია, ამ დროს ერთმანეთისაგან უკვე ასხვავებდნენ ზეჟანგებს, უმაღლეს ჟანგეულებსა და ზემჟავებს, მაგრამ არ ხერხდებოდა მათ შორის რაიმე კავშირის დადგენა. ფაქტიური მასალა არ იყო განზოგადებული საერთო თვალსაზრისით, ვინაიდან ამის ნებას არ იძლეოდა მასალის ნაკლებობა და სათანადო გამოკვლევების უქონლობა. ეს მეტად საინტერესო საკითხები გაბედულად გადაჭრა პეტრე მელიქიშვილმა. თავდაპირველად მან მიიღო ურანის ზემჟავების მარილები, შეისწავ-

ლა მათი აღნაგობა და დაადგინა, რომ სამი ზეჟანგური ჟანგბადიდან ორი ჟანგბადატომი დაკავშირებულია მჟავას რადიკალთან, ერთი კი ფუძესთან.

ამ გამოკვლევებიდან პეტრე მელიქიშვილმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ დაბალი ტემპერატურის პირობებში სხვა ელემენტებმაც უნდა წარმოქმნას მსგავსი ზემოქმედებები და მათი წარმოებულები. ეს ვარაუდი ცდამ სავსებით გაამართლა. ინტენსიური მუშაობის შემდეგ პ. მელიქიშვილმა მიიღო ვოლფრამის, მოლიბდენის, ქრომის, ტიტანის, ვანადიუმის, ნიობიუმის, ტანტალისა და ბორის ზემოქმედებები და მათი მრავალი მარილი.

პეტრე მელიქიშვილმა, გამოიკვლია რა აღნიშნული ნაერთების აღნაგობა, დაამტკიცა, რომ მათი შესაბამისი ელემენტების მაქსიმალური ვალენტობა ჟანგბადის მიმართ ზუსტად უპასუხებს ამ ელემენტთა შესატყვისი ჯგუფის ნომერს. ამას გარდა მან დაადგინა, რომ აღნიშნული ნაერთები ადვილად იშლება ჰაერზე და წყალხსნარებშიც. მათი დაშლის სიჩქარის განსაზღვრის შედეგად პეტრე მელიქიშვილი საინტერესო დასკვნამდე მივიდა: ერთი და იგივე ჯგუფის ელემენტების ზემოქმედების მდგრადობა მატულობს ატომური წონის ზრდის მიმართულებით, მაგალითად, ზემოლიბდენმჟავას მარილები უფრო ადვილად იშლება, ვიდრე ზევოლფრამმჟავის, ხოლო ეს უკანასკნელი კი უფრო ადვილად – ზეურანმჟავას მარილებთან შედარებით. ამასთანავე პ. მელიქიშვილმა შენიშნა, რომ ტიპიური ელემენტების ზემოქმედება მარილები ელექტროლიზით მიიღება. პეტრე მელიქიშვი-

ლის მიერ მიღებული ზენაერთებიდან მეტად საინტერესო აღმოჩნდა ამონიუმის ზეჟანგი და ჰიდროზეჟანგი, რომელთა მიღებამ ქიმიკოსთა ფართო წრეების ყურადღება მიიპყრო. ამონიუმის ზეჟანგის მიღება იმით იყო საინტერესო, რომ ამ გამოკვლევამ კვლავ გამოავლინა ამონიუმის ჯგუფის მსგავსება მეტალებთან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პ. მელიქიშვილის მიერ მიღებულ ზებორატებს, რომლებმაც მოგვიანებით დიდი პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა, რადგან ეს ნაერთები შედარებით მდგრადი აღმოჩნდა.

ამრიგად, პეტრე მელიქიშვილმა ქიმიურ მეცნიერებაში მეტად საინტერესო და დიდი მნიშვნელობის პრობლემები გადაწყვიტა, რამაც მას მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. ქიმიის ამ დარგის განვითარება შემდეგში განაგრძო პ. მელიქიშვილის მონაფემ ლ. პისარჟევსკიმ, რომელიც გამოვიდა, როგორც ელექტრონული წარმოდგენების პიონერი ქიმიაში და დაადგინა ზეჟანგების აღნაგობა, რომელიც დღეს საყოველთაოდ მიღებულია. ამ წარმოდგენების თვალსაზრისით ზეჟანგის მოლეკულაში მონაწილეობს ჟანგბადის O_2^- მოლეკულ-იონი.

ზემჟავებისა და ზეჟანგების შესწავლაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ვ. პეტრიაშვილისა და პ. მელიქიშვილის ნიჭიერი მონაფე – უდროოდ გარდაცვლილი ს. ლორთქიფანიძე. მასწავლებელთან ერთად მან შეასრულა და გამოაქვეყნა გამოკვლევა „ფტორზებორმჟავა“ და დამოუკიდებლად – „ფტორზეურანმჟავა“.

ზენაერთების ქიმია ჩვენს დროში განავითარეს საბჭოთა ქიმიკოსებმა და ქიმიის ამ დარგში სრული გარკვეულობა შეიტანეს.

პეტრე მელიქიშვილს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა ანალიზურ ქიმიაში, ახალი თვისებითი რეაქციები და ზოგიერთი ელემენტის რაოდენობრივი განსაზღვრის მეტად მოხერხებული მეთოდები.

პ. მელიქიშვილს მეტად აინტერესებდა აგრეთვე კოსმოსური სივრციდან დედამიწის ზედაპირამდე მიღწეული სხეულები – მეტეორიტები. თავის წერილში „რამდენიმე სიტყვა მეტეორიტებზე“ პეტრე მელიქიშვილი წერდა: „მე არ შემიძლია... არ აღვნიშნო ის უცნაური გრძობა მონიწებისა და თრთოლვისა, რომელსაც იწვევს მკვლევარ-მეცნიერში შეხედვა და ხელში პყრობა იმ სხეულისა, რომელიც თავისი შემადგენელი ნივთიერებებით და თვისებებით სავსებით ემსგავსება ჩვენი პლანეტის ნივთიერებებს, და ამავე დროს ცხადია, რომ იგი შემოტანილია ჩვენს ქვეყანაში საიდანღაც, თვალუწვდენელი სამყაროს ნიალიდან“. მრავალი მეტეორიტის ქიმიური გამოკვლევის დროს პეტრე მელიქიშვილი მივიდა დასკვნამდე, რომ „მეტეორიტებში ჯერ არ ყოფილა აღმოჩენილი არც ერთი ისეთი ნივთიერება, რომელიც არ მოიპოვება ჩვენს დედამიწაზე“.

მრავალმხრივი იყო პ. მელიქიშვილის მეცნიერული ინტერესების წრე. ყველა საკითხზე ის მუშაობდა შეიარაღებული ფაქტებით, რომლებსაც კი მისი კვლევის საგანთან კავშირი ჰქონდა, გარკვეული ზუსტი გეგმითა და

მიზანდასახულობით, რაც პრობლემის ღრმა ცოდნას ემყარებოდა. ამიტომ იყო მისი კვლევა ესოდენ ნაყოფიერი და წარმატებული.

დიდი მეცნიერი და მკვლევარი, ამავე დროს შესანიშნავი აღმზრდელი პედაგოგიც იყო. მისი ლექციები ყოველთვის ცხოველ ინტერესს იწვევდა მსმენელებში, რადგან ეს ლექციები ემყარებოდა არა მარტო იმ ფაქტებს, რომლებსაც სტუდენტი სახელმძღვანელოში ამოიკითხავდა, არამედ მდიდარ მეცნიერულ მასალასაც, რომელიც ჯერ მსოფლიო ქიმიური კერების ლაბორატორიების კედლებს არ გასცილდებოდა. პ. მელიქიშვილი დაჯილდოებული იყო მსმენელებში საგნისა და მეცნიერებისადმი ინტერესის აღძვრის უდიდესი უნარით. ამას ერთხმად აღნიშავენ მისი ყოფილი მოწაფეები – შემდეგში სახელგანთქმული მეცნიერები – ლ. ვ. პისარჟევსკი, ნ. დ. ზელინსკი, ა. ე. ფერსმანი, პროფ. ა. მ. ბეზრედკა და სხვ.

პ. მელიქიშვილს დიდხანს არ დასცალდა მოღვაწეობა განთავისუფლებულ და განახლების გზაზე დამდგარ სამშობლოში. ის თითქოს გრძნობდა, რომ ცხოვრების გზის დასასრული ახლოვდება და ამიტომ მუშაობდა დაუღალავად, გაათკეცებული ენერგიით, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი გაეკეთებინა და დაეტოვებინა მემკვიდრეობად.

1927 წლის 23 მარტს პ. მელიქიშვილი გარდაიცვალა. ის დასაფლავებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში.

პეტრე მელიქიშვილის ხსოვნა და სახელი უკვდავი და დაუვინყარია ქართველ ხალხში, რომელიც სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს თავის სახელოვან შვილს, ჩვენი კულტურის დიდ მოამაგეს.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ყოველთვიური მეცნიერულ-პოპუ-
ლარული ჟურნალი „მეცნიერება
და ტექნიკა“, თბ., 1952, გვ. 5-9.

დიდი ქართველი მეცნიერი ქიმიკოსები

ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხებზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა გამოიწვია მშრომელთა ცხოველი ინტერესი ქიმიური ცოდნისადმი. საბჭოთა ადამიანებს სურთ უკეთ იცნობდნენ სოციალისტური ეკონომიკის განვითარების წარმატებებს, ქიმიური მეცნიერების წარმატებებს, ქიმიური მეცნიერების მიღწევებს. ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი ქიმიკოსების ცხოვრებას, მათს მდიდარ მემკვიდრეობას.

სასიხარულო და საამაყოა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ქართული ქიმიური მეცნიერების სათავეებთან იდგნენ გამოჩენილი მეცნიერები ვასილ პეტრიაშვილი

(1842-1908 წწ.) და პეტრე მელიქიშვილი (1850-1927 წწ.). მათ პირველთ ხვდათ წილად პროფ. ივანე თარხნიშვილთან ერთად დაერწიათ აღორძინებული ქართული საბუნებისმეტყველო მეცნიერების აკვანი მეცხრამეტე საუკუნის სამოციან-ოთხმოციან წლებში.

გასული საუკუნის სამოციანი წლები ჩვენი ეროვნული ენერჯის საოცარი გაღვიძებისა და დავაჟკაცების წლები იყო. თერგდალეულების თაობას დააკისრა ისტორიამ ფართო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა და არა მარტო მწერლობის დარგში. ამ დროს ეკუთვნის ჩვენი საბუნებისმეტყველო მეცნიერების და, კერძოდ, ქიმიის აღორძინება და განვითარება. ეს დიდებული ამოცანა იტვირთეს ვასილ პეტრიაშვილმა და პეტრე მელიქიშვილმა, რომლებიც სამოციანი წლების პლეადის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ მეცნიერებაში.

ეს ორი ბუმბერაზი რამდენიმე ათეული წელი ერთად ენეოდა მშობლიური მეცნიერების უღელს, მართალია, ჯერ კიდევ 1908 წელს პეტრე მელიქიშვილმა თავისი ტოლი დაკარგა, მაგრამ მას გვერდში ამოუდგნენ მისი და ვასილ პეტრიაშვილის აღზრდილები, რომლებმაც შეძლეს მათ მიერ დაწყებული საქმის შემდგომი გაფურჩქვნა-გაძლიერება.

უფრო მეტიც, პეტრე მელიქიშვილს წილად ხვდა გეზი მიეცა ქართული ქიმიური მეცნიერებისათვის უკვე ქართულ უნივერსიტეტში და თავისი თვალთ ენახა იმ ოცნების სინამდვილედ ქცევა, რისთვისაც სამშობლოსაგან მონყვეტილი ორი მეგობარი დიდხანს იღვწოდა.

თავიანთი სოციალური წარმოშობით ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებოდნენ. ვასილ პეტრიაშვილი იყო შვილი ღარიბი სოფლის მღვდლისა, რომელსაც თავისი შვილისათვის სასულიერო კარიერაზე უკეთესი ვერაფერი წარმოედგინა, პეტრე მელიქიშვილს კი შეძლებული მშობლები ჰყავდა და გზა ხსნილი ჰქონდა თავისი სანუკვარი მიზნების გასახორციელებლად. მით უმეტეს, ეს მიზნები ყალიბდებოდა იმ კეთილმყოფელ ოჯახურ გარემოცვაში, რომელშიც ტრიალებდნენ სამოციანი წლების ქართველი მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვ.

ვასილ პეტრიაშვილი სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა იდეებს იაკობ გოგებაშვილისაგან ეზიარა. უფრო გვიან თავისი ცხოვრების გზაზე ის შეხვდა ნიკო ნიკოლაძეს და პირველად მისგან გაიგონა გამამხნევებელი რჩევა, მასში იპოვნა თავის გადანყვეტილებათათვის მტკიცე მხარდამჭერი. თავისი ქვეყნის პატრიოტი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქართველი ხალხის ეკონომიური აღორძინების საწინდარი განვითარებული სოფლის მეურნეობაა და მისი ვალია, თავი შესწიროს მშობლიური ხალხის აღზრდას, მისი ცოდნის ამაღლებას.

იგივე იდეები აღედრა პეტრე მელიქიშვილს, როცა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ოდესას მიაშურა უმაღლესი განათლების მისაღებად. სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეებთან ერთად ბუნებისმეტყველებისადმი სიყვარული მას აღუძრეს რუსეთის რევოლუციონერ დე-

მოკრატთა მესვეურებმა – გერცენმა, ჩერნიშევსკიმ და პისარევმა. და როდესაც მან ოდესის უნივერსიტეტში ნახა მოწინავე ქართველი, იმავე მიზნით გამსჭვალული, როგორც თვითონ იყო, ბუნებრივად დაუკავშირდა მას, გახდა მისი ერთგული მოწაფე და შემდეგ მეგობარი.

ძნელია თვითეული მათგანის სამეცნიერო ღვაწლის აღრიცხვა და დაფასება. თითქმის ორმოცი წლის მანძილზე ეწეოდა პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ოდესის უნივერსიტეტში. მან განვლო სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის ყველა საფეხური, ლაბორანტობიდან დაწყებული და რექტორის თანამდებობით დამთავრებული.

ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში თავდადებულად ემსახურებოდა პროფესორი პეტრე მელიქიშვილი ქიმიურ მეცნიერებას ოდესის უნივერსიტეტში, სადაც ბევრი ძვირფასი აღმოჩენით უკვდავყო თავისი სახელი.

დიდი მეცნიერები ამავე დროს მგზნებარე პოლიტიკური მოღვაწეებიც იყვნენ, როგორც პროგრესული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ისინი დაულალავად იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ვასილ პეტრიაშვილს ეკუთვნის ძვირფასი გამოკვლევები **ორგანული ქიმიის** მრავალ დარგში. ფიზიკური ქიმიიდან თვალსაჩინო ნაშრომს წარმოადგენს გამოკვლევები ქიმიურ სწრაფვაზე, ქიმიურ რეაქციათა სიჩქრეებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიაში.

ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვის პეტრე მელიქიშვილს **არაორგანული და ორგანული ქიმიის** განვითარებაში. მისი გამოკვლევები ზეჟანგებისა და ზემჟავების დარგში მიზნად ისახავდა მენდელეევის გენიალური ქმნილების – პერიოდულობის სისტემის განმტკიცება – დასაბუთებას და მთელი რიგი სადავო საკითხების გადაჭრას, რამაც საქვეყნო სახელი მოუხვეჭა ქართველ მეცნიერს. ამ გამოკვლევათა ავტორი მეცნიერებათა აკადემიამ ლომონოსოვის სახელობის პრემიით დააჯილდოვა. თვით მხცოვანი მენდელეევი, ახალი გამოკვლევებით აღტაცებული, პეტრე მელიქიშვილს პერიოდულობის სისტემის განმამტკიცებელს უწოდებდა.

საქვეყნო აღიარება ჰპოვა პეტრე მელიქიშვილის შემოქმედებამ ორგანულ ქიმიაში. მას ეკუთვნის შედარებით ნაკლებად განვითარებული, მაგრამ მეტად საინტერესო დარგი, რომელმაც თანამედროვე ორგანულ სინთეზში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა.

ქიმიის დიდი თეორეტიკოსები პრაქტიკულ დაულაღვ მოღვაწეობას ეწეოდნენ თავიანთი ხალხის აგრონომიული ცოდნის გასაღრმავებლად. ცნობილია, რომ ვასილ პეტრიაშვილი ოცნებობდა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სკოლის შექმნაზე და არამარტო ოცნებობდა, არამედ მოლაპარაკებას აწარმოებდა კიდევ ამ სასწავლებლის დაარსებაზე ცნობილ ქართველ ქველმოქმედ სტეფანე ზუბალაშვილთან, რომელმაც გაიღო კიდევ საამისო თანხა. მაგრამ, რო-

გორც ყოველთვის, ასეთმა დიდმა წამონწყებამ მეფის რუსეთში კრახი განიცადა. ვასილ პეტრიაშვილმა მაინც გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები ამ საქმის განსახორციელებლად: მან შექმნა ქართულ ენაზე შესანიშნავი სახელმძღვანელოები მევენახეობა-მელვინეობის დარგში. ეს იმ დროს, როცა რუსულ ენაზე არ არსებობდა არცერთი სერიოზული ნაშრომი ან სახელმძღვანელო, რომელშიც მეცნიერულად იქნებოდა გაშუქებული ღვინის დაყენების საკითხები. მის მიერ დამუშავებულია პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია და მტკიცე მეცნიერული ნომენკლატურა. მის კალამს ეკუთვნის მეტად ძვირფასი შრომა – „რძე და მისი სხვადასხვაგვარი გამოყენება“. ეს ნაშრომები საფუძვლად დაედო სამეცნიერო ტექნიკური ცოდნის გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში.

მრავალმხრივ პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა პეტრე მელიქიშვილიც. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სოფლის მეურნეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის: საქმითა და სიტყვით ქადაგებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიზანშეწონილად დამუშავებისა და გამოყენების აუცილებლობას. მის ამ იდეებს ფრთა შეესხა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ქართველი ხალხის მთელ ცხოვრებასთან ერთად სოფლის მეურნეობაც გადახალისდა და სოციალისტურად გარდაიქმნა.

წლების განმავლობაში პეტრე მელიქიშვილი სამხრეთ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების **ვიცე-პრეზიდენტი** იყო. საქართველოში მან განაგრძო მოღვაწეობა, როგორც **საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარემ**.

თუ ვასილ პეტრიაშვილი ვერ ეღივსა საქართველოში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების კერის შექმნას, მისმა მეგობარმა პეტრე მელიქიშვილმა შეძლო დიდმნიშვნელოვანი მონაწილეობა მიეღო თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში და განახორციელა თავისი მეგობრის ოცნება, ქართულ ენაზე წაიკითხა ქართველი სტუდენტებისათვის პირველი ლექცია ქიმიაში.

1905 წლის რევოლუციის ბობოქარ წლებში ვასილ პეტრიაშვილი იყო პირველი არჩეული რექტორი ოდესის უნივერსიტეტისა. მაშინდელი რუსეთის პროგრესული დემოკრატიული ინტელიგენცია მხურვალედ მიესალმა დიდი მეცნიერის არჩევას ამ საპატიო თანამდებობაზე.

ქართული მეცნიერების პატრიარქი პეტრე მელიქიშვილი საქართველოში ახლად დაარსებული უნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო და ქართველი სტუდენტობის განუყრელ მეგობრად და მამად ითვლებოდა, ისევე როგორც ოდესაში ვასილ პეტრიაშვილი.

პეტრე მელიქიშვილს დიდხანს არ დასცალდა მოღვაწეობა განახლების გზაზე დამდგარ სამშობლოში. ის თითქოს გრძნობდა თავისი სიცოცხლის დასასარულს და

გაათკეცებული ენერგიით ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი გაეკეთებინა შთამომავლობისათვის.

ვასილ პეტრიაშვილმა და პეტრე მელიქიშვილმა ქართველ ხალხს დაუტოვეს დიდმნიშვნელოვანი და ძვირფასი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელზეც ვითარდება ქიმია საქართველოში და იზრდება ათასობით მუშაკი, ასევე შეუფასებელია მათი პატრიოტიზმი და ბრძოლა მეცნიერული ცოდნის ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის.

გაზ. „კომუნისტი“, 1958 წელი, 18 მაისი, №113. ასევე: გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, „დიდი ქართველი მეცნიერები“, 1967 წელი, 1 ივლისი, №78.

ვიქტორ კოკონაშვილის ხელნაწერი ფურცლები¹

კარი პირველი

საქართველოში

თავი I

მელიქიშვილების ოჯახი

პეტრე მელიქიშვილი დაიბადა თბილისში 1850 წლის 11 ივლისს (29 ივნისს) ქველმოქმედ გრიგოლ მელიქიშვილის ოჯახში. იგი ძველი ქართული გვარიდანაა წარმომობილი.

მელიქიშვილების გვარის უძველესი წინაპარნი აჭარიდან იყვნენ. პეტრე მელიქიშვილის ერთ-ერთი ბიოგრაფი პროფ. მ. ბექაია აღნიშნავს, რომ „პეტრე მელიქიშვილი თბილისის მკვიდრთაგანია; როგორც მისი ნაამბობიდან ვიცი, პეტრეს წინაპრები მეჩვიდმეტე საუკუნეში გამაჰმადიანებას გამოქცევთან აჭარიდან და თავი ახალციხეში შეუფერებიათ, იქ მიუღიათ რომის კათოლიკეთა სარწმუნოება და დამკვიდრებულან“.

რ. სურმანიძემ დიდი ყურადღებით გამოიკვლია პ. მელიქიშვილის წარმომავლობა და არსებულ წყაროებზე დაყრდნობით ჯერ კიდევ 1967 წელს შეეცადა დაედ-

¹ მასალები პ. მელიქიშვილისადმი მიძღვნილი წიგნისათვის.

გინა, თუ რომელი სოფლიდან შეიძლება ყოფილიყვნენ პ. მელიქიშვილის წინაპრები. მისი ეს გამოკვლევა ჩვენ სავსებით დამაჯერებლად მიგვაჩნია. ბუნებრივია, საჭირო იყო პირველ რიგში გარკვევა, ცხოვრობენ თუ არა აჭარაში მათი თანამოგვარეები. აღმოჩნდა, რომ „შუახევის რაიონის სოფელ ჟანივრში ცხოვრობენ მელიქაძეები, რომელთა შორის ახლაც ცოცხლობს გადმოცემა, რომ მათი ერთი წინაპარი მელიქიშვილი ბერი იყო, რომელიც ჟანივრის ეკლესიას განაგებდა. იგი გამაჰმადიანებას გაექცა და თავისი ოჯახით ოსმალთა მომძღვრების დროს ახალციხეში გადასახლდა“. იმავე ცნობით, ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელიც მელიქიშვილი ნიკოლოზი (კოლა), რომელსაც სოფლის ბოლოს წყაროს წყალი გაუყვანია („კოლას წყარო“), ახალციხეში გადახიზნულა. ამ წყაროს ჟანივრში ახლაც „კოლას წყაროს“ უწოდებენ.

ცნობილია, რომ 1812 წ. აჭარაში მძვინვარებდა შავი ჭირის (ჟამი) ეპიდემია, რომელსაც ბევრი ადამიანი უმსხვერპლია, ხოლო მოსახლეობის ნაწილი გახიზნულა მეზობელ სოფლებში.

ი. სიხარულიძის ცნობით („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია“, თბ., 1958, გვ. 155), „სოფელ ნაგომრის მცხოვრებს, 147 წლის ხასან ლომინაძეს „ლანდად ახსოვს“, როდესაც მისი ოჯახი ჟანივრიდან ნაგომარს „გადმობარგებულა“.

„ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა-დავთარში“ (თბილისი, 1979) დღევანდელი აჭარის ასსრ-დან დასახელებულია

21 სოფელი, მათ შორის, ზემო აჭარის ლივაც (ახლანდელი გაგებით, სოფელი **მელიქნმინდა**).

რ. სურმანიძე დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ჟანივრის წინამორბედი ტოპონიმი, ალბათ, სწორედ ეს არის. აქვე აღნიშნავს, რომ სოფელ ჟანივრში ერთ ადგილს დღესაც ნაქილისვარი (ნაეკლესიარი) ჰქვია. შესაძლოა, სწორედ აქ იდგა მელიქნმინდის ეკლესია, რომელსაც ბერი მელიქაძე განაგებდა. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ მელიქიშვილთა აჭარიდან წასვლაც მე-18 საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1705-06 წლებით ან მე-19 საუკუნის დასაწყისით, 1812 წლით, უნდა დათარიღდეს, რამეთუ მშობლიურ ადგილებს იმ დროს მოსახლეობა ძირითადად ტოვებდა სარწმუნოების შეცვლისა და დაავადების გავრცელების შიშით...

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მელიქიშვილთა სოფლის პირველყოფილი სახელია **მელიქნმინდა**. მე-18 საუკუნის დასაწყისიდან ამ სოფელში, ისე როგორც, საერთოდ, აჭარაში, გამოჩნდნენ ოსმალთა მოხელეები, დაიწყო გადასახადების განერა, ე. ი. ოსმალური ადმინისტრაციული მმართველობის დამკვიდრება, რის გამოც მოსახლეობის ნაწილი აიყარა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადასახლდა. სოფლის დაცარიელებას და სახელის შეცვლას ხელი შეუწყო აგრეთვე ფართოდ გავრცელებულმა ინფექციურმა დაავადებამ, 1812 წლის შავი ჭირის, ჟამის ეპიდემიებმა. სავარაუდებელია, რომ ამ უბედურების გამო სოფლის სახელი **მელიქნმინდა** შეიცვალა და მას **ჟამივრი** დაერქვა, რომლის სახეც-

ვლილებაა **ჟანივრი**.

მომდევნო პერიოდში წასული მოსახლეობის ნაწილი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ კერას და სოფელმაც დაინყო გამოცოცხლება, მაგრამ ძველი სახელი – მელიქ-ნმინდა აღარავის გახსენებია და დღესაც ჟანივრის ხმარობენ. რაც შეეხება გვარს, მან მხოლოდ მცირე ცვლილება განიცადა და მელიქიშვილები ამჟამად ინოდებიან მელიქაძეებად.

წყლისაყრის ხეობიდან მელიქაძეთა ოჯახი ადიგენში გადასახლებულა (აქ მელიქაძეები დღესაც ცხოვრობენ). საინტერესოა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი კვლავ მშობლიურ სოფელს დაბრუნებიან, ერთხანს ქართული გვარი დაუმალავთ და ოსმალთა ბატონობის დროს ადიგენოღლებად წოდებულან (ძველ ისტორიულ წყაროებში სწორედ ტოპონიმი „ადიგენი“ იხსენიება). ისინი ახლაც ცხოვრობენ წყლისაყრის სასოფლო საბჭოში და ზოგი მათგანი თავიანთი უძველესი წინაპრის ბერი მელიქაძის საპატივცემულოდ ბერიძეებად ინოდებიან“.

რამაზ სურმანიძის ეს გამოკვლევა ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა.

პეტრე მელიქიშვილის მშობლებს – გრიგოლ და ანა მელიქიშვილებს ახალციხეში გაუყიდიათ თავიანთი სახლ-კარი და თბილისში გადმოსახლებულან 1843 წელს. მათ სოლოლაკში, ბებუთაანთ (ამჟამად ენგელსის) ქუჩაზე აუშენებიათ საცხოვრებელი სახლი, №36.

გრიგოლი იყო დიდი პატრიოტი, თბილისში მრავა-

ლი კულტურული თაოსნობისა და საქველმოქმედო საქმის ორგანიზატორი. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვ. იმ ხანს გრიგოლ მელიქიშვილის ოჯახი ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ ცხოველ კერას წარმოადგენდა; ხელს უწყობდა მრავალ ჩვენს კულტურულ წამოწყებას. 60-იანი წლების დასაწყისიდან კი მან მონაწილეობა მიიღო დიდ მნიშვნელოვან საქმეში – ახალი ქართული შრიფტის გამომუშავებასა და მით ქართული სტამბის მომარაგებაში, რითაც უნდა დაწყებულიყო როგორც ქართული მეცნიერულ-პოპულარული წიგნების გამოცემა, აგრეთვე პირველი საზოგადოებრივი ქართული გაზეთის („დროება“-ს) გამოცემა.

თავი II

პეტრე მელიქიშვილის ლექციები

არაორგანული და ორგანული ქიმიის, აგროქიმიისა და სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის შესანიშნავი მცოდნე, ევროპულ ენებს დაუფლებული ერუდირებული მკვლევარი, დიდი შემოქმედების უნარის მქონე და თავისი ქვეყნისადმი განსაკუთრებული სიყვარულით გამსჭვალული ადამიანი, რომელმაც თავისი ენერგია და შემოქ-

მედებიითი საქმიანობა ახალგაზრდობის განათლებას მიუძღვნა, რომელმაც დიდ ივანე ჯავახიშვილთან ერთად მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ცოდნის ყველა მიმდინარეობის სასოებისა და იმედის მომგვრელს – ჩვენს ქართულ უნივერსიტეტს და მისი პირველი რექტორიც იყო – ასე წარმოსდგება ჩვენს წინაშე მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის პიროვნება.

ის პერიოდი, როდესაც პ. მელიქიშვილს სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელება მოუხდა თბილისში, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი მეცნიერებისა და კულტურისათვის: სწორედ მაშინ იდგამდა ფეხს ჩვენი ქართული უნივერსიტეტი, ქართველ მეცნიერთა ახალი თაობა და საჭირო იყო ამ დიდებული საქმის გაძლოა, ახალი შინაარსით გამდიდრება. ამ საშვილიშვილო საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ივანე ჯავახიშვილი და პეტრე მელიქიშვილი.

პეტრე მელიქიშვილმა განვლო მეტად დიდი, დაძაბული შემოქმედებითი მუშაობით აღსავსე ცხოვრების გზა, ძიებითა და მის მიერ შექმნილი თეორიებით განათებული გზა, რასაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა...

ეს ნაწილი მიზნად არ ისახავს პ. მელიქიშვილის მდიდარი შემოქმედებისა და მისი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ღვაწლის განხილვას, ჩვენ მხოლოდ გვინდა გავიხსენოთ დიდი მასწავლებლის ლექციები და აღვნიშნოთ მისი განსაკუთრებული მზრუნველობა მოსწავლე-ახალგაზრდობაზე ქიმიური განათლების მხრივაც.

...იმ ხანებში, როცა პეტრე მელიქიშვილი კითხულობდა ლექციებს ჩვენს უნივერსიტეტში, ლექციებზე დასწრება თავისუფალი იყო, მაგრამ ვინ გააცდენდა პეტრე მელიქიშვილის ლექციას! მის სალექციო აუდიტორიაში არასოდეს დარჩენილა თავისუფალი ადგილი.


პეტრე მელიქიშვილი თავის ლექციებზე თითქოს ხელს ჩაგვკიდებდა სტუდენტებს და ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვატარებდა ორგანული ქიმიის ზღვა სამყაროს... ეს იყო დიდი ოსტატობით აგებული ლექციები, რომელსაც ანალოგი არ ჰქონდა (შეუძლებელი იყო მათი შედარება სხვა ლექციებთან), რადგან ისინი იმასაც ნათელყოფდა, თუ რა არის დიდი მეცნიერება, შემოქმედებითი შრომა, როგორია ამ მეცნიერების წარსული და მომავალი. ყოველივე ამის გააზრებას მაშინ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის – სტუდენტებისათვის.

გარდა ამისა, პეტრე მელიქიშვილის ლექციებმა იმაშიც დაგვარწმუნა, რომ მხოლოდ ლექციები ყოველთვის არ არის საკმარისი საგნის ფუნდამენტურად შესასწავლად. კიდევ საჭიროა სახელმძღვანელო, რაც შეიძლება კარგი წიგნი. წიგნი არის ადამიანის გონების ერთ-ერთი ყველაზე საოცარი მიღწევა, კაცობრიობის სულიერ სიმდიდრეთა საგანძური, ისევე როგორც ადამიანის სასიცოცხლო ენერჯიის წყარო არის არა მხოლოდ საკვები, არამედ იმედი...

ემიგრანტული ლიტერატურის მასალები¹

PEGASE

RECUEIL ARTISTIQUE ET LITTÉRAIRE, HISTORIQUE ET SCIENTIFIQUE
publié sous la direction d'Ilia Djabadary



... და გზა უვალი შენგან თელილი

მერანო ჩემო მაინც დარჩება....

ნ. ბარათაშვილი

კ რ ე ბ უ ლ ი

მ ა რ ტ ი 1947 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი :

რედ. აქციისაგან

ე. ვ. ლამბაშიძე — მოგონებულებანი

ი. ჯაბადარი — ქართული კულტურული
მოღვაწეობის უცხოეთში

ი. გობეჩია — ჩემო მოგონებულებანი

ვ. ვ. — დედამ თბილისი (ლეჭი)

ა. მანველიშვილი — რუსი კოსაკთა ბრძოლის

უბრალო-ერთობის ისტორია

კალელი — * (ლეჭი)

ხ. ჯ. — ბიბლიოგრაფია.

¹ საზღვარგარეთ მცხოვრები ემიგრანტი ქართველები მათი სათაყვანო სამშობლოს საკეთილდღეოდ, ეროვნული სულიერების გადარჩენად აქტიურად იყენებდნენ ჟურნალ-გაზეთებს, სპეციალურ კრებულებს და ავრცელებდნენ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებში. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ კრებული „მერანი“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1947 წლის მარტში პარიზში (რედ. აქტორი — ილ. ჯაბადარი). კრებულის მიზანდასახულობა გაცხადებულია წინათქმაში („რედ. აქციისაგან“), ამიტომ ვ. ლამბაშიძის მოგონებასთან ერთად იგი ჩვენც შევიტანეთ ვ. კოკოჩაშვილის წიგნში. ჩანს, ბ-ნი

რედაქციისაგან¹

25 წელის შეუსრულდა ქართველ ემიგრაციას. უცხოეთში მყოფი ყოველი ქართველის ფიქრისა და ზრუნვის საგანი იყო სამშობლო და მისი ერის ბედი. რაც ამ დროის განმავლობაში ემიგრაციამ უდაოდ შეასრულა, არის შემდეგი:

წარსული საუკუნის განმავლობაში საქართველო, სუვერენობის დაკარგვის გამო, ამოიძალა მსოფლიოს მეხსიერების რუქიდან და ემიგრაციამ ნაწილობრივ მაინც შესძლო აღედგინა ადამიანთა ხსოვნაში, რომ სადღაც კავკასიაში, ისპირისა და კავკასიონს შორის არსებობს ერი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდა თავისი დამოუკიდებელი არსებობისათვის. და რომ მას ხშირად ჰქონია ძლიერების ხანაც და მსოფლიო პოლიტიკური როლიც უთამაშია.

ემიგრანტების მიერ ევროპულ ენებზედ დაიწერა, ავად თუ კარგად, მრავალი რამ, საქართველოს უცხოელებისადმი გასაცნობად.

მაგრამ ემიგრაციამ ბევრი რამ ვერ გააკეთა ისეთიც,

ვიქტორი კარგად იცნობდა ემიგრანტულ ლიტერატურას, დასახელებული კრებულის ეს ნომერი შენახული ჰქონია პ. მელიქიშვილისადმი მიძღვნილი წიგნისათვის გამოსაყენებლად... ამჯერად მართებულად ჩავთვალეთ, პ. მელიქიშვილთან დაკავშირებული ჩვენს ხელთ არსებული ემიგრანტული ლიტერატურის მასალები ერთად წარგვედგინა მკითხველისათვის, როგორც ვ. კოკოჩაშვილის მიერ დაწყებული წიგნის ერთ-ერთი სამუშაო ნაწილი...

¹ ქვემოთ წარმოდგენილი მასალების ტექსტი იბეჭდება უცვლელად, დედნისეული სტილითა და ორთოგრაფიით.

რაც მას შეეძლო და რაც უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა. რადგან მომქმედ ემიგრანტთა შორის არ იყო მტკიცე კავშირი და მოღვაწეობას არ ჰქონდა გარკვეული სისტემა.

ამის მიზეზი კი იყო ის, რომ ემიგრაცია დარჩა ძველი პოლიტიკური ტრადიციების ნიადაგზე და ნაწილობრივ, ის მიდიოდა ცალკე ბილიკებით და გადაჭრით ვერ დაადგა ეროვნულ შარას.

ემიგრაცია, როგორც პოლიტიკური ერთეული, მთლიანობის საფუძვლის ძებნის დროს ვერ გასცილდა პოლიტიკურ მომენტს და ამიტომ ყოველი გურლნრფელი სურვილი და ძახილი ჩვენი ერთობისათვის დარჩა ხორცშეუსხმელი.

ერთადერთი რეალური და ღირსშესანიშნავი ნიადაგი ჩვენი მთლიანობისა იყო და არის კულტურული მოღვაწეობა. ამ ნიადაგზე ადვილი იყო უკუგდება ყოველივე იმის, რაც ჩვენ გვთიშავდა, და მთელს ჩვენს შემოქმედებით ენერგიას მიეცემოდა სრული განადგება. მასალა ბევრი გვქონდა: მდიდარი, წარმტაცი, მომხიბლავი, და ასეთი მუშაობით თვით ემიგრანტულ არსებობასაც ერთგვარი აზრი მიეცემოდა.

ქართველი ერი ითვლის მრავალ ათასწლოვან ისტორიას, ისტორიას ბრწყინვალეს და აღსავსეს კულტურული შემოქმედებით. არ დარჩენილა არც ერთი დარგი, რომ მას მსოფლიო მნიშვნელობის ღირებულება არ შეექმნას. და ამ ჩვენი ეროვნული წარსულის დიდი კულტურული საუნჯის გამოფენა მთელს მსოფლიოში უნდა გამხდარიყო საგანი ჩვენი გაერთიანებული მოღვაწეობისა.

დღეს საქართველოში დიდ კულტურულ წინსვლასა

აქვს ადგილი, მაგრამ სამწუხაროდ არც ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, მეტყველი ჩვენი დიდი წარსულის, ევროპულ ენებზედ არ გადათარგმნილა.

ეს კი უნდა შეესრულებინა უცხოეთში მყოფ ქართველობას.

თვით ევროპასა და ამერიკაში დღეს საისტორიო მეცნიერება ისე განვითარდა, რომ უამრავი მასალა დაგროვდა ჩვენი ეროვნული წარსულის მრავალ მნიშვნელოვან საკითხთა გადაფასებისათვის.

აქაც ემიგრანტულ ძალებს შეეძლოთ დაუფასებელი სამსახური გაეწიათ ქართული მეცნიერებისათვის, ყველა ამ მასალების დაგროვებითა და სათანადოდ გამოცემით.

ემიგრაციაში მოიპოვებიან საკმარისი ძველი და ახალი სწავლულნი. ბევრი მათგანი ევროპის უნივერსიტეტების კათედრებსაც ამშვენებენ, და რომ ჩვენ გვქონოდა ერთი საერთო ხელმძღვანელი კულტურული ცენტრი, ყველა ეს ძალები ღირსეულად იქნებოდნენ გამოყენებულნი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ინდივიდუალურად ყოველი ქართველი დიდი პატრიოტია, ყველა ზრუნავს სამშობლოსათვის. უცხოეთში ყველა რალაცას აკეთებდა: წერით, სიტყვით, მაგრამ უსისტემოდ, უგეგმოდ. ამიტომ ამგვარმა განკერძოებულმა მუშაობამ ბევრი ნაყოფი ვერ მოგვცა. ჩვენ ვართ წარმომადგენლები დიდი წარსულისა და კულტურის მატარებელი ერისა, ამიტომ გვმართებდა და გვმართებს უფრო სერიოზული, უფრო დინჯი და შინაარსიანი საქმიანობა.

25 წლის მწარე გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ჩვენი ამდენი ხნის ურთიერთ პოლიტიკურმა ქიშპობამ სარგებლის მაგიერ, სხვა უფრო სასარგებლო მოქმედების კარებიც დაგვიხმო.

დროა ემიგრაცია საღ გზას დაადგეს და, რადგან მისი არსებობა ფაქტია, უნდა კიდევ აკეთებდეს რალაცას თავისი ქვეყნისათვის.

ყველამ შეერთებული ძალებით უნდა ამოვავსოთ ჩვენი წარსულის კულტურული ხარვეზი.

ამგვარი მოქმედების პირველი ნაბიჯი იქნება ბექდვითი სიტყვა ქართულ ენაზედ. ის უნდა იყოს გარეშე ყოველგვარი დღიური პოლიტიკისაგან. მას უნდა ჰქონდეს საერთო ქართული ეროვნული და კულტურული შინაარსი ისეთი, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნება ყოველი ქართველისათვის, განურჩევლად მათი პოლიტიკური რწმენისა. იგივე საშუალებას მისცემს ყველას, გახდეს მისი აქტიური თანამშრომელი.

ამგვარ მიზანთა განხორციელების ნიადაგზეც იბადება კრებული „**მერანი**“

მის მიერ დასახული მიზანი ისე ფართოა, რომ ის აღემატება პიროვნების და მცირე ჯგუფის ძალღონეს. ამიტომ ყველა, ვისაც კი ძალა შესწევს, უნდა გახდეს მისი თანამშრომელი. ჩვენ მივმართავთ უცხოეთში მყოფ ყველა ჩვენს თანამოაზრე ქართულ კულტურულ ძალებს, ძველთ და ახალთ, და ვსთხოვთ მიიღონ მხურვალე მონაწილეობა მის მუშაობაში.

მივმართავთ უცხოეთის ყველა ქართველებს, ვი-

საც, რითაც შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს მისი გავრცელების საქმეს, რათა ამით ყველა გახდეს მონაწილე საერთო კულტურული საქმიანობისა.

ჩვენი კრებულის ზოგადი პროგრამა ასეთია: მის ფურცლებზედ უმთავრესად ადგილი დაეთმობათ გამოკვლევებს, მონოგრაფიებს ჩვენი ერის ისტორიის, ლიტერატურის და სხვა კულტურულ საკითხებზედ: მხატვრულ ნაწარმოებებს, ფოლკლორს, მნიშვნელოვან თარგმანებს, უცხო მოგზაურთა შენიშვნებსა და მოგონებებს საქართველოზედ. უცხო ენებიდან თარგმნილ ყველა იმ დოკუმენტებს, რომელნიც რაიმე ცნობებს იძლევიან საქართველოზედ.

ფართო ადგილს დაუეთმობთ უფროს მოღვაწეთა მოგონებებს, და ბოლოს უცხოეთში აღზრდილ და განათლება მიღებულ ახალგაზრდობას საშუალებას მივსცემთ, მათი ნააზრ-ნაფიქრი გაუზიარონ თანამემამულეთ თავიანთ სამშობლო ენაზედ.

ასეთია გზა, რომელსაც დავადექით ჩვენ, სავალია – გრძელი და ძნელი; და თუ ჟამთა ვითარებამ ახლაც გვიმუხთლა და ჩვენი ნატვრა ვერ განვახორციელებთ, შთამომავლობას მაინც გადავცემთ ჩვენს დიდ სურვილსა და ცდას სამშობლოსადმი სამსახურისა.

შორეული წარსულის მოგონება ჰუკლზნი პროფესორ პეტრე მელიქიშვილის ხსოვნას

ექ. ვახტანგ ღამბაშიძის დღიურიდან

1916 წლის შემოდგომა იყო. პროფესორი **პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი**, ჩვენი ცნობილი მეცნიერი, აპირებდა თბილისში ცოტა ხნით დაბრუნებას აბასთუმნიდან, სადაც წასული იყო საზაფხულოდ დასასვენებლად. ექიმი კიკო მელიქიშვილი, მისი ნათესავი, რომელსაც თბილისში ჩინებულად მონყობილი სამკურნალო ჰქონდა, მოელოდა მას და გვპირდებოდა მის გამოსამშვიდობებელ საღამოზე დაპატიჟებას. ამ სამკურნალოში ვმუშაობდით ათიოდე ექიმი და თითქმის ყოველ დღეს ვხვდებოდით ერთმანეთს. ყველანი დიდის სიამოვნებით მოველოდით ამ სასიამოვნო შეხვედრას, რადგანაც დიდი პატივისმცემელი ვიყავით ჩვენი ცნობილი მეცნიერის. ოდესის ქართველ სტუდენტობას ყოველთვის სიამოვნებით აგონდებოდა ხოლმე ორი ცნობილი მეცნიერის, ვასილ პეტრიაშვილის და პეტრე მელიქიშვილის სახელი, მათი მეგობრული ურთიერთშორის დამოკიდებულება და ნამდვილი მამა-შვილური განწყობილება. ოდესის ქართველები ამ ორ პროფესორთან ერთად თითქოს ერთ ოჯახს წარმოადგენდნენ და ჩვენ, არა ოდესელ სტუდენტებისთვისაც-კი, ეს სასიამოვნო მოსაგონარად იყო გახდარი. ამ ორთაგან, სამწუხაროდ, პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი ძალიან ადრე გარდაიცვალა (1845 წელს

დაბადებული, 63 წლის ასაკის გარდაიცვალა 1908 წელს ქალაქ კარლსბადში). ოდესეულ ქართველ სტუდენტებს მოესპოთ ასეთ ძვირფას ოჯახში მისვლის სიამოვნება. განსვენებულის მეუღლე, რომელიც დიდი ხელისშემწყობი იყო ყველაფერში ამ იშვიათი მეცნიერისა და ადამიანის, ოდესაში ვეღარ დარჩა. ამით მოისპო ეს შესანიშნავი კერა მოსწავლე სტუდენტობისათვის და მათაც მთელი ყურადღება და პატივისცემა პროფესორ მელიქიშვილზე გადაიტანეს.

მალე ექიმმა მელიქიშვილმა გვაცნობა მისი ნათესავი მეცნიერის ჩამოსვლა და ჩვენც მოგვიყარა თავი თავის ბინაზე. ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, რაც უფრო დიდებულად ეწყობა საზეიმო ვახშამი, მით უფრო გვიან სხდებიან სუფრაზე, დიასახლისს ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი და დრო საკმაო დაგვირჩა საუბრისათვის. ყველას გვსურდა პატივცემულ პროფესორთან ბაასი და ხან ერთი, ხან მეორე სარგებლობდა შემთხვევით, რომ მას გამოსხმაურებოდა. ვიქნებოდით ასე თხუთმეტამდე სტუმარ-მასპინძლიანათ, ყველანი ექიმები თავიანთ მეუღლეებით. ცოტახნის საერთო ბაასის შემდეგ, ცალკე პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოფილნი, დარბაზის ყველა კუთხეში ჩამოვრიგდით. ხან ერთი ჯგუფი, ხან მეორე მიუჯდებოდა ხოლმე პროფესორს გამოსალაპარაკებლად. ჩემმა ჯერმაც რომ მოაღწია, მივუახლოვდი და ვსთხოვე, მცირეოდენის ხნით ჩემთვისაც დაეთმო თავისი ყურადღება.

პროფესორი მელიქიშვილი მე ბევრჯერ მყავდა ნა-

ხული, როდესაც საზაფხულოდ საქართველოში ჩამოდიოდა. ძალიან კარგად ვიცნობდი მის დას – ქ-ნ კეკეს, რომლისაგანაც ხშირად ვტყობულობდი პროფესორის ამბავს. ერთჯერ, მახსოვს, ბორჯომში შევხვდი ბ-ნ პეტრეს პროფესორ ვასილ პეტრიაშვილთან, სადაც დიდ ხანს ვიბაასეთ სამეცნიერო კითხვებზე. ეს შემთხვევა კარგად მოაგონდა ბ-ნ პეტრეს და ღიმილით მიპასუხა: დიდის სიამოვნებით, მაგრამ მე ვიცი თქვენი ჩვეულება, უთუოდ ქართულად დამელაპარაკებით და ვაი თუ, ვერ მოვახერხო პასუხის მოცემაო.

ვისაც უნახავს პატივცემული პროფესორი, არ შეეძლო არ მიექცია ყურადღება მისი მშვენიერი გამომეტყველებისათვის: ჭარმაგი მოხუცი, სახე ღრმად ჩაფიქრებული, ლამაზი ნაკვეთებით შემოხაზული, ჭკვიანური, ღრმად გამსჭვრეტი თვალები, სასიამოვნო ღიმილი, გამომეტყველება უბრალო და თავმდაბალი, რაც დამახასიათებელია ყოველი დიდი და ღრმად განსწავლული მეცნიერის, ყოველგვარ ხელოვნურ მედიდურობას მოკლებული, რაც უფრო ხშირად ახასიათებს ზერელე ჭკუის და დაბალი ხასიათის მეცნიერთ, – ყველაფერი ეს ძალა-უნებურად გიზიდავდათ ამ ადამიანის პირველ შეხვედრისათანავე და უნებლიეთ იმსჭვალეობდით უალრესის პატივისცემის გრძნობით ასეთი მეცნიერისადმი ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის სანუგეშებლად და სასიქადულოდ.

თუმცა ჩემი კითხვები სამეცნიერო საგანს შეეხება, ვუპასუხე მე პატივცემულ პროფესორს, ვეცდები ისე

მარტივად და ადვილად გასაგები სიტყვებით გამოვსთქვა ჩემი სათქმელი, რომ ადვილად გაიგებთ ყოველივეს. თქვენ კი პასუხი რუსულად გამეცით – ამის უფლებას მე არავის არ ვართმევ.

ამის შემდეგ დავინყეთ საუბარი რადიუმის – შემცველ ნივთიერების სხვა და სხვა თვისებაზე და რამდენად გავრცელებულია ეს ნივთიერება სხვაგან და კერძოდ საქართველოში. შევხებთ აგრეთვე რადიუმის სამკურნალო მიზნით გამოყენების საკითხსაც. ყველაფერზე თავის განმარტებას მაძლევდა ჩვენი მეცნიერი და ეტყობოდა, რომ მშვენიერად ესმოდა ყოველივე ჩემი ნათქვამი.

სხვათა შორის მოვყევი ერთი მკვლევარის ნაწარმოების შესახებ საგულისხმო დაკვირვებას. მას შემთხვევით საქართველოდან ჩრდილოეთისაკენ დაბრუნებისას გარდაუვალია კავკასიონის ქედზე. გზაში რამდენიმე ადგილს შეჩერებულა, ზოგან დასასვენებლად და ზოგან ღამის გასათევად. გზა და გზა სხვა და სხვა დაკვირვებაც მოუხდენია მეცნიერულის მიზნით. რუსეთში დაბრუნებულს, საფოტოგრაფიო გადასაღებ მინებზე შეუმჩნევია რაღაც ნიშნები, რომელიც მიემსგავსებოდა მხოლოდ რადიუმის ზედგავლენით გამოწვეულ ნიშნებს. ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ ამნაირად აუხსნია ეს გარემოება: სადღაც გადმოვლილ გზაზე უთუოდ ისეთ ადგილას გაჩერებულა, სადაც რადიუმიანი ნივთიერება ყოფილა და ამას თავისი გავლენა მოუხდენია მის მინებზე. სხვების ცნობითაც ადასტურებს, რომ კავკასიონის ქედზედ ყოფილა ისეთი ადგილები, სადაც ცხენს უკანა ფე-

ხების სიდამბლე მოსდის, რომელსაც რაღაც ბალახის ჭმევით არჩენენო. ასეთი უცნაური გავლენა მხოლოდ რადიუმს უნდა მიენერებოდესო. ამასთანავე გავუზიარე პროფესორს ერთი მწერლის გამოკვლევით ახსნილი ამბავი საბერძნეთის მითოლოგიიდან:

ერთ მეფეს, რომელსაც უნდა აეყვანა დედოფლად ერთი ვინმე მეტად ლამაზი ქალი, სულ სხვა შეჰყვარებია და პირველისათვის თავი დაუხეზებია. ამ პირველს, სასონარკვეთილს განუზრახავს შურისძიებით თავისი მეტოქის მოსპობა. მას ჰქონია კოლხეთიდან ჩამოტანილი თვლები, რომლის თვისებაც კარგად სცოდნია. მას გაუკეთებია ძვირფასად მოოჭვილი, იშვიათი სილამაზის გვირგვინი და გარეშემო ეს თვლები ჩაუყოლებია. გაუგზავნია საჩუქრად თავის მეტოქესათვის, საზეიმო შემთხვევისათვის თავზე დასადგმელად. ერთ-ერთი ზეიმის დროს, ამ გვირგვინით დამშვენებული დედოფალი გამოსულა მოედანზე და დამდგარა მეფის გვერდით. რამოდენიმე ხნის შემდეგ დედოფალს გული შესწუხებია და გრძნობაც დაუკარგავს. მივარდნილან მხლებლები მისაშველებლად და, როდესაც გვირგვინი მოუშორებიათ, მას გაჰყოლია შუბლისა და თავის დამწვარი კანის ნაჭრები. მაშინ ყველანი მიმხვდარან, რომ მიზეზი ამ უბედურების სწორედ ამ გვირგვინში უნდა ყოფილიყო. შემდეგ მკვლევარი დასძენს, რომ ეს მოვლენა შეიძლება მხოლოდ აიხსნას რადიუმის თვისებითო. გვირგვინის გამომგზავნელს კარგად უნდა სცოდნოდა მასში ჩატანებული თვლების მავნებელი თვისება, შურის საძიებლად არ-

ჩეული. ამ ბერძნულად დაწერილი თხზულების შესახებ, რომლის არც სათაური და არც ავტორი აღარ მაგონდება ეხლა, მკვლევარი დასძენს შემდეგს: ასეთი უცნაური თვისების თვლები საბერძნეთში კოლხიდიდან გაჰქონდათ და შესაძლებელია, ასეთი თვისების ახსნა რადიუმის და მისი მსგავსი ნივთიერების მეოხებით. უეჭველია, რადიუმის არსებობა შორეულ წარსულიდან ყოფილა ცნობილი და საქართველოს მდიდარ ბუნებაში ბევრგან უნდა იყოს საამისო ადგილებიო.

ყველაფერს ყურადღებით ისმენდა ჩვენი მეცნიერი და თავის შეხედულებასაც გამოსთქვამდა. უთუოდ მრავალ ადგილებზეა საქართველოს მთებში რადიუმის ნივთიერება, მაგრამ ჯერ სამწუხაროდ საამისო კვლევა-ძიებას არვინ აწარმოებსო. თანაც რადიუმის აღმოჩენა დიდი ხნის ამბავი არ არის და უთუოდ მეცნიერების წინმსვლელობა ამ დარგშიაც ბევრს რასმეს აღმოაჩენს და ჩვენი საქართველოც ხომ ყველაფრით უხვად არის დაჯილდოებულიო. თქვენი მოყოლილი ამბავი მეტად საგულისხმოა და საყურადღებო – მიპასუხა ჩვენმა მეცნიერმა, რომელიც ისე გაიტაცა ამ საუბარმა, რომ თითქმის მთელი ლექცია წაიკითხა რადიუმის შესახებ.

შემდეგ გადავედით პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის ორ შესანიშნავ ნაწარმოებზე, ღვინისა და რძის შესახებ, რომელიც თითქმის პირველ სამეცნიერო დარგის ღირსეულ ნაშრომს წარმოადგენს მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში. ამ ორივე ნაწარმოების კერძოდ საქართველოსათვის დიდ მნიშვნელობაზე ვისაუბრეთ.

პროფესორი დიდათ აქებდა თავის მეგობარ მეცნიერის ამ ღირსშესანიშნავ შრომას, მეტადრე მშობლიურს ენაზე დაწერილს, რომელიც მას თურმე ძალიან ყურადღებით ჰქონია ნაკითხული.

შემდეგ ბ-ნი პეტრე შემეკითხა ჩემი სანატორიუმის შესახებ, რომელიც მე და მამაჩემმა ავაშენეთ პატარა ცემში 1904 წ. მას ბევრი რამ ჰქონდა გაგებული ამ დაწესებულების შესახებ. შევეხეთ დაწვრილებით მაღლობ ადგილების განსაკუთრებულ თვისების გამოყენებას მოზარდ თაობის გაჯანსაღებისათვის. ბევრი რამ გამომკითხა დაწვრილებით, როგორ ვანარმოებდი იქ სხვა და სხვა დაკვირვებას და რა შედეგს მივაღწიე, რადგანაც ეს პირველი ცდა იყო საქართველოში დაწყებული. გაეუზიარე ჩემი ათი წლის დაკვირვების საბოლოო დასკვნა, ათას ხუთას მოზარდ ქალ-ვაჟზე მოხდენილ ზეგავლენის შესახებ, რომელთაც ჩემთან ზაფხულობით ორი თვე და ნახევარი დაჰყვეს. დაწვრილებით გამომკითხა ყოველივე, მით უფრო, როდესაც ავუხსენი, რომ დაკვირვებას ვანარმოებდი საფრანგეთის ორ მეცნიერთან შეთანხმებით. ერთი იყო სორბონის პროფესორი ალფრედ ბინე და მეორე ექიმი ალფონს ლავერანი. პირველი გამომკვლევნი ქაობის ციების – მაღარიის სათავისა, საუკეთესო მცოდნე ტროპიკული დაავადებისა, მთელ მსოფლიოში ცნობილი. პირველს მათგანს ძალიან უნდოდა მთა – ადგილზე ნანარმოები დაკვირვება, სისხლის შემადგენლობის ცვლილების, ფილტვების სუნთქვის პროცესის თვისებურობის, მაღალი

ადგილის მზის სხივოსნობის განსაკუთრებული გავლენის შესახებ და სხვ. ასეთ ცდას პროფესორი ბინე სორბონის ლაბორატორიაში უკვე აწარმოებდა საგანგებოდ მოწყობილ საცდელ ოთახში, სადაც შეიძლებოდა სურვილისამებრ ჰაერის გამოსრუტვით სათანადო სიმაღლის პირობების შექმნა, მაგრამ ასეთი ცდები მას არ აკმაყოფილებდა, რადგანაც ჰაერის დაწოლის გარდა, სხვა პირობები არ უდრიდა მაღლობის პირობებს. ასეთი დაკვირვება მაღლობ მთიან ადგილებზე არავის არ უწარმოებია, და, თქვენ თუ ამას იკისრებთ, დიდ ნაკლს შეავსებთ, ერთად დავამუშავოთ ეს მასალა, და მე დავბეჭდავ ჩემს სამეცნიერო კრებულშიო – მეუბნებოდა პროფესორი ბინე. მეორეს კი, ექიმ ლავერანს, რომელსაც ძალიან სწამდა მაღლობი ადგილის დიდი სარგებლობა ჭაობის ცივებით ყოველი ნაავადმყოფარისათვის, საჭიროდ მიაჩნდა მაღალ ადგილზე დაკვირვების წარმოება, თუ როგორ იცვლება მაღლობზე სისხლის შემადგენლობა მაღარით დაავადებულის სხეულში, თანდათანობით რამოდენიმე თვის განმავლობაში. რადგანაც საქართველოში ჭაობის ცივება ძალიან არის გავრცელებული, გირჩევთ, რომ, რაც შეიძლება მაღლობ ადგილზე, ააშენოთ თქვენი სანატორიუმო – მირჩევდა იგი. მე რომ ვუპასუხე, 1400 მეტრის სიმაღლე მქონდა ნავარაუდევი; სავსებით მოინონა ჩემი გადაწყვეტილება.

ყველაფერს ამას გულდასმით ისმენდა ბ-ნი პეტრე და სხვა და სხვა კითხვებს მაძლევდა. დავრწმუნდი, რომ ყველაფერი კარგად ჰქონდა გაგებული ჩემი ნალაპარა-

კევიდან. დამპირდა, რომ უთუოდ მოვიდოდა მომავალს წელს ჩემი სანატორიუმის სანახავად და სამეცნიერო დაკვირვების მასალის გასაცნობად.

ამ მრავალფეროვანმა საუბარმა ორვენი ისე გაგვიტაცა, რომ სრულებით ვერ შევნიშნეთ, როგორ გაირბინა დრომ. არც შევჩერდებოდით ალბათ, რომ უცებ დიასახლისის ხმა არ გაგვეგო, რომელიც სუფრაზე გვინწევდა. დიასახლისმა მიგვინვია ყველანი დანიშნულ ადგილზე. ბ-ნი პეტრე საპატიო ადგილზე დასვეს და ჩვენც შემოვუსხედით დიდ სუფრას. როგორც წესი მოითხოვდა, მაშინვე შევუდექით სუფრის მეთაურის არჩევას. ძალიან ვსთხოვეთ მასპინძელს, მაგრამ არ დასთანხმდა. შემდეგ მე მომმართეს, მეც უარზე დავდექი, მაგრამ არ გამივიდა და ძალა – უნებურად უნდა დავთანხმებულიყავი.

პირველი სადღეგრძელო, რასაკვირველია, საპატიო სტუმრის უნდა ყოფილიყო. ყველამ დიდის სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და დიდის მოწინებით შესვეს მშვენიერი ღვინო. ყველას ვსთხოვე სიტყვების მოსმენის დროს არ შეჩერებულიყვნენ და განეგრძოთ ვახშმობა. ამნაირად დროს არავინ გააცდენდა და არც სიტყვის მთქმელი იქნებოდა იძულებული, რომ თავისი სათქმელი შეეზღუდა. წინადადება მიიღეს, რადგანაც მიხვდნენ, რომ ჩემი სათქმელი მოკლედ არ ამოიწურებოდა. პროფესორს ვსთხოვე ზეზე დგომით არ დაღლილიყო და ამნაირად ჩემთვის სათქმელი გაეადვილებია. სხვებმაც ძალიან სთხოვეს იგივე და პროფესორიც იძულებული იყო დათანხმებულიყო. ამნაირად მეც თავისუფლად ვიგრძე-

ნი თავი და სიტყვის შემოკლებაზე არ მიფიქრია.

დავახასიათე მოკლედ ძვირფასი პროფესორის სამეცნიერო მოღვაწეობა ოდესის უნივერსიტეტში. მოვიხსენიე აგრეთვე მისი ახლო მეგობრის, განსვენებულ ვასილ პეტრიაშვილის მეცნიერული ღვაწლი და მრავალნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა. ეს ორივე პიროვნება, ყოველთვის ერთად მოსაგონარი, ორი მეცნიერების ბურჯს წარმოადგენდა არა თუ ყველა ოდესელ სტუდენტებისათვის, არამედ დანარჩენ უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტებისათვისაც. რა სიამოვნებით აღსანიშნავია ის განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელიც სუფევდა ამ ორ ცნობილ მეცნიერთა და ოდესის ქართველ სტუდენტთა შორის, როგორ რჩებოდა სამუდამო და სასიამოვნო მოსაგონარად ცხოვრებაში გამოსვლის შემდეგაც, ესეთი მეცნიერული და საოჯახო ურთიერთობა, მამაშვილურის გრძნობით დამთბარი, თავისიანებს და სამშობლოს დაშორებული ახალგაზრდობისათვის ეს ხომ დაუფასებელი რამ უნდა ყოფილიყო. ამას ყველანი გრძნობდნენ და აფასებდნენ. დასასრულ, მოვახსენე ჩვენს ძვირფასს სტუმარს შემდეგი: ორ შესანიშნავ მეცნიერების ბურჯთაგან, სახელოვანი ვასილ პეტრიაშვილი უდროოდ მოგვაშორა უწყალო ბედმა. დაგვრჩით ეხლა მხოლოდ თქვენ. ნება მოგვეცით, ბ-ნო პეტრე, გისურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე და უებრო ჯანმრთელობა სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. დარწმუნებული ვარ, რომ ყველანი აქ მსხდომნი და ჩვენთან ერთად ყველა შეგნებული ქართველი ამასვე

ვინატრებდით თქვენთვის. მაგრამ ეს საკმაო არ არის. ერთი რამ უნდა დავსძინო ამ ჩვენს ნატვრას: უნდა გულწრფელად გამოგიტყდეთ, რომ **ძალიან მენანება თქვენი თავი რუსეთის ასპარეზისათვის**. რუსეთი დიდი სივრცისა და მრავალრიცხოვანი ქვეყანაა, მას საკმაოდ მოეპოვება საკუთარი ძალები, სამეცნიეროც და სხვაც. ჩვენ ქართველებს კი, უკუღმართი პირობების გამო, ძალიან ცოტა გვყავს განსწავლილი ხალხი და სულ მცირე რიცხვი მეცნიერების. რუსეთი, როგორც იტყვიან, უჩვენოდაც იოლად წავა, და ჩვენ კი სად უნდა ვეძიოთ საქართველოსათვის მეცნიერები გარეშე ქართველებისა? უცხო მეცნიერი ჩვენში მხოლოდ მეცნიერების წარმომადგენელი შეიძლება იქნეს, მაგრამ ის ვერ გახდება ქართველი მთელის არსებით, სულით და მიდრეკილებით. ამისათვის საჭიროა ქართულ წიაღში აღიზარდოს და ყოველი მისი თვისება ადგილობრივ ჰავასთან, მზესთან და საზოგადოებასთან იყოს შენივთებული. ხომ მოგეხსენებათ, რომ ეს ყველაფერი ბიოლოგიის გარდაუვალ კანონებზედ არის დამყარებული და არა რაიმე სხვა შემთხვევითს მოვლენებზე. მაგალითად თქვენთვის, ბ-ნო პეტრე, საკმარისი არ არის, რომ მხოლოდ ზაფხულობით ესტუმროთ თქვენს ქვეყანას და თქვენს თანამემამულეებს. რასაკვირველია, ჩვენ ამისთვისაც დიდ მადლობას გწირავთ, მაგრამ ეს საკმაოდ არ მიმაჩნია. მაგალითად, მე დარწმუნებული ვარ, რომ **საქართველოსათვის უფრო საჭირო ბრძანდებით, ვიდრე რუსეთისათვის**. გარდა ამისა, მთელი თქვენი არსება, ქართული მარადიული სულიც,

დარწმუნებული ვარ, ამასვე მოითხოვს. თქვენი სამეცნიერო ასპარეზი რომ აქ გადმოიტანოთ, სულ სხვანაირად იგრძნობთ თავს და სხვაგვარ ხალისს განიცდით სამეცნიერო მოღვაწეობისას. თქვენი ხანგრძლივი რუსეთის ასპარეზზედ მუშაობის მიუხედავად, თქვენ რუსეთისათვის უცხო ხართ და არა ორგანული ნაწილი მისი დიდი სხეულისა. არასოდეს არ დამავინყდება განთქმული პროფესორის, ჩვენი თანამემამულის, ივანე თარხნიშვილის სამწუხარო მაგალითი. როგორც მოგეხსენებათ, იგი მეტად ცნობილი იყო მთელ რუსეთში და მეტადრე პეტერბურგში, სადაც მრავალი საზოგადოება ესწრებოდა მის განთქმულ საჯარო ლექციებს ფიზიოლოგიის დარგისას. რუსეთს გარეშეც იცნობდნენ მას და მეც ბევრჯერ მომისმენია საზღვარგარეთ მეცნიერთაგან ლექციებზე მოხსენებული მისი სახელი. რასაკვირველია, **არსად ქართველად არ იყო დასახელებული იგი.** როდესაც გარდაიცვალა ეს განთქმული და ყველასაგან პატივცემული პროფესორი, როგორც დამსწრეთ გადმომცეს, ძლივს რამოდენიმე ადამიანი მისდევდა თურმე მის კუბოს, ისიც იმ ქალაქში, სადაც მან შეაღია თავისი სიცოცხლე თვალსაჩინო მეცნიერულ მუშაობას. **აი სანამდე მიაღწია რუსულმა უგულობამ! მერე რატომ მოხდა ეს? იმიტომ რომ რუსეთისათვის ის მაინც უცხოელად დარჩა.** განა აქ, თავის სამშობლოში რომ ყოფილიყო, ასე უგულოდ შეხვდებოდნენ ასეთი პიროვნების აღსასრულს. არა და არა! ამიტომაც, ბ-ნო პეტრე, **უთუოდ უნდა დაუბრუნდეთ სამოღვაწეოდ თქვენს სამშობლოს,** და საამი-

სო შემთხვევაც კარგი გეძლევათ: სულ მოკლე ხანში ჩვენ გვექნება საკუთარი სამეცნიერო ტაძარი, ქართული უნივერსიტეტი ყველა ფაკულტეტებით. აი ეს არის სწორედ სათქვენო ასპარეზი, სავსებით შესაფერისი, ღირსეული და თქვენი წარსული ნაყოფიერი მოღვაწეობის წარმატებით დასაგვირგვინებელი. სულით და გულით გისურვებთ, რომ მომავალ ქართულ უნივერსიტეტის პირველ რექტორად თქვენ ბრძანებულიყოთ, და თქვენი სამეცნიერო ლექციები რუსეთის მაგივრად საქართველოში ქართველ სტუდენტებისათვის გაგეგრძელებით. აი მაშინ მიიღებთ თქვენ სრულს კმაყოფილებას, ხანშიშესულობა დაგავინყდებათ, ახალგაზრდულის ცეცხლით შეხურდებით, მშობლიურ ნიადაგზე გადმოსვლით ძალა გაგიათკეცდებათ და ყოველმხრივად გაამშვენებთ ჩვენს ნორჩ სამეცნიერო ტაძარს. მე ამ სიტყვებს საოცნებოდ არ მოგახსენებთ, არამედ ნამდვილის და შეურყეველის რწმენით და იმედით. ღმერთმა მოგანიჭოთ დღეგრძელობა და თქვენთან ერთად მალე მოგვასწროს თქვენთვის და ჩვენთვის ნანატრ ამ ბედნიერ დღეს. ღმერთმა გაგიმარჯოთ თქვენ, ძვირფასო მეცნიერების ქურუმო და თქვენთან ერთად გაუმარჯოს ჩვენს მომავალ ქართულ უნივერსიტეტს!

ყველანი რიგ-რიგობით მივუახლოვდით ძვირფასს სტუმარს და ცალ-ცალკე მივესალმეთ. მანაც აღტაცებულმა მადლობა გადაგვიხადა თვითეულს და გვაცნობა, რომ საპასუხო სიტყვას ბოლოს იტყოდა.

როდესაც ყველანი თავის ადგილზე დავსხედით, აი

მაშინ შეიქმნა ერთი ამბავი, თითქმის ყველანი ალაპარაკდნენ და დაიწყეს ჩემი ბოლოსიტყვაობის შესახებ მეგობრული დაცინვა. აი ოცნებაც ასეთი უნდა – წამოიძახა ექიმმა ი. თიკანაძემ. რა კარგად იცის ჩვენმა ვახტანგმა ოცნებების სამთავროში გადავარდნა... თვითონ გადახტება და შენც ძალუნებურად მიგათრევსო – წამოიძახა ექ. მელიქიშვილმა, და მეგობრულის ღიმილით დამაჯილდოვა. „სე ნონ ე ვერო ე ბენ ტროვატო“ – წამოიძახა ერთმა. სანდრო დიასამიძემ ჩვეულებრივის ღიმილით გადმომხედა, არაფერი არა სთქვა, უთუოდ შევებრალე, მაგრამ ცალი თვალის ქუთუთო თავისებურად თვალს ჩამოაფარა. ეს იმის მომასწავლებელი იყო, რომ მაინცა და მაინც ჩემი ნაოცნებარის განხორციელება ძალიან არა სჯეროდა. ქმრებს მათი მეუღლეებიც აჰყვნენ, ყველანი თავის მხრივ სხვა და სხვა აზრს ადგნენ, მაგრამ საერთოდ ეტყობოდათ, რომ ჩემი ნათქვამის განხორციელება მაინცა და მაინც საიმედოთ არ მიაჩნდათ. ბოლოს ერთმა ჩემმა მეგობარმა, უთუოდ ჩემს სანუგეშებლად წარმოსთქვა: რაც უნდა სთქვათ, ჩვენმა ვახტანგმა ისე კარგად იცის ოცნების შეთამაშება, სულ უცნაური რამეც რომ სთქვას, სიამოვნებით გაგიტაცებთ, თითქმის დაგაჯერებთ და ერთგვარ სიამოვნებას გაგრძნობინებთ. ამისთვისაც მადლობელი უნდა დავრჩეთო. მე მადლობა შევსწირე თანაგრძნობისათვის და თანაც დავუმატე, რომ სრულებით არ მჭირდებოდა შებრალება, რადგანაც ჩემი ნაოცნებარის განხორციელება სრულებით საეჭვოდ არ მიმაჩნდა. ჩემს მეგობარს ექ. თიკანაძეს,

რომელიც ისევ განაგრძობდა დაცინვის კილოთი ოხუნჯობას, ვუპასუხე: ჩემო ივანე, ოცნების სიჭარბეს რომ მიწუნებ, ხომ იცი, რომ **უოცნებო ბუნებაში მხოლოდ უბრალო ჯირკია. და რატომ არ უნდა გაურბოდეს გონიერი ადამიანი ჯირკად გარდაქმნას?** განა მთელი ბიოლოგიის კანონები და ბუნების მრავალფეროვნება ამისათვის შევისწავლეთ, რომ ჯირკისნაირი არსებობა გავსწიოთ! მე ამ აზრისა არა ვარ და ვერც წარმომიდგენია ადამიანის ასეთი დაკნინება. ჩვენი საპატიო სტუმარი ყველაფერს უსმენდა და, როგორც შეჭფერის ნამდვილ მეცნიერს, ჩვენს უბრალო კამათში არ ერეოდა. ამასობაში მან მოისურვა სამადლობელი სიტყვის წარმოთქმა და ყველანი სმენად გადავიქცით.

– ბატონებო, ცოტად აღელვებულმა დაიწყო პროფესორმა – დღევანდელი დღე გამყვება სასიამოვნო და დაუფიწყარ მოგონებათ. ექიმ ვახტანგის დღევანდელმა საუბარმა დამარწმუნა რომ **ჩვენი ენა მეტად მდიდარი ყოფილა სამეცნიერო სიტყვებით.** რაც მკითხა და რაც მიაიმბო მან, ყველაფერი ეს შეეხებოდა სამეცნიერო დარგს და ისე კარგად გამაგებინა ჩემმა მოსაუბრემ, რომ არ მეგონა, თუ ეს ასე ადვილი მოსახერხებელი იყო. ამ სიმდიდრესთან ერთად **ქართული ენა მეტად სასიამოვნო და მუსიკალურიც ყოფილა** – ეს მე დღეს აშკარად ვიგრძენი საუბრის დროს. ორივე ეს რწმენა, ჩემში დაბადებული, თან მიმყვება, როგორც ახალი და სასიამოვნო აღმოჩენა. ამისათვის განსაკუთრებულ და გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ჩვენს ვახტანგს. რაც შეეხება ჩემს შესახებ ნა-

ნატრ მომავალს, ამისთვისაც დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ უნდა გულწრფელად გამოგიტყდეთ, რომ მე ოცნებითაც არ შემიძლია წარმოვიდგინო ასეთი მომავალი. ვინ მალირსებს მე ასეთ ბედნიერებას, რომ ქართულ უნივერსიტეტს შევესწრო და მისი რექტორობაც მხვდეს წილად? მაინც მადლობელი ვარ კეთილი სურვილებისათვის და საერთოდ თქვენი პატივისცემისათვის. მინდა წასვლის წინად მოგახსენოთ შემდეგი: დღეს აი აქ ყველასთან სიტყვას ვიძლევი, რომ **რუსეთში ჩასვლისთანავე შევუდგები ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლას. ამიერიდგან ამას მე სამღვთო მოვალეობად ვისახავ.** ვეცდები, რომ ეს სამწუხარო ნაკლი შევივსო და ქართული ენა კარგად შევითვისო. ეს მართლაცდა უუსაჭიროესი რამ ყოფილა ქართველი მეცნიერებისათვის და დღევანდელმა საღამომ კი ცხადად შემაგნებინა. ამასთანავე დიდი მადლობა გამოგიცხადა ყველას, სტუმარსა და მასპინძელს.

ამაზედ საბოლოოდ კიდევ ვუპასუხე შემდეგი: რადგანაც ასეთია თქვენი დღევანდელი გარდანწყვეტილება, რომელსაც ყველანი აღტაცებით ვეგებებით, გავკადნიერდები და ერთ პატარა რჩევასაც მოგახსენებთ, როგორც უუსაჭიროესს; ყოველდღე უნდა იკითხო ხმამაღლა, როგორც რომ იტყვიან დიაკვანივით, ნახევარ საათს მაინც, ვეფხვის ტყაოსანი, დაბადების წიგნი, სახარება ან დავითის ფსალმუნები, ან ჩვენ კლასიკოსთა ლექსები. ეს უთუოდ საჭიროა, ჩვენში რომ იტყვიან, ენის გასატეხად. დანარჩენი ყოველდღიური მუშაობა კი ჩუმად შეიძლება განაგრძოთ. სულ მოკლე დროში შეამჩნევთ შე-

დეგს, მით უფრო რომ, ბევრი რამ უკვე იცით, ოღონდ ენა არა გაქვთ გაჩვეული. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე გამოგადგებათ ყოველივე ეს მომავალ უნივერსიტეტში, ქართველ სტუდენტთა სანვრთნელად. კიდევ გისურვებთ მშვიდობის გზას და მშვიდობითვე მალე სამშობლოში დაბრუნებას.

დასრულდა სასიამოვნო ნადიმი. გამოვემშვიდობეთ ძვირფასს სტუმარს, კიდევ მადლობა შევსწირეთ ჩვენს მასპინძელს, რომელთაც ასეთი იშვიათი და დაუვინყარი საღამო გაგვატარებდა ჩვენ სასიქადულო მეცნიერთან ერთად და გამოვედით შინ დასაბრუნებლად. მივაცილეთ ჩვენი პროფესორი თავის ბინამდე, რომელიც იქვე ახლოს იყო სამკურნალოსთან და მხიარულის ბაასით შევეუდექით ვერის აღმართს. გზაში მაინც კიდევ უბრუნდებოდნენ ხშირად ჩემს სადღეგრძელოს. ეს ერთი ძალიან უსურვე შენ ჩვენს პროფესორს – წამოიძახა ერთმა, საიდან შეთხზავ ხოლმე ასეთ უცნაურ რასმეს და სხვ. ამაზე მე ვუპასუხე, რომ არ გამიკვირდებოდა მათი ასეთი უიმედობა იმ გადაგვარების შემდეგ, რაც ქართველ მონაფეს ატყდება თავს საშუალო სასწავლებელში და რა გავლენასაც უმორჩილდება იგი უმაღლესს სასწავლებელში, **უცხო მხარეს, სადაც მშობლიური არაფერი ესმის მას.** ამიტომაც თითქმის ყველა ეგრედ-ნოდებული თერგ-დალეული პირები უცნაურები გამოდიოდნენ და გამოდიან, ყველაფრის უარისმყოფელნი, ცხოვრების ხალისსა და აღმაფრენას მოკლებულნი და უდროოდ გულ-გატეხილნი. ან კი რას უნდა ელოდეს ამათგან სანაღმართოს ჩვენი ქვეყანა ასეთ

გადაგვარებულ პირთაგან, რომელნიც ოცნების წინააღმდეგნიც-კი არიან და სხვა. ამასობაში მხიარულად დავბრუნდით ყველანი თავ-თავის ბინაზედ.

შემდეგშიდაც არა ერთხელ ვუბრუნდებოდით ამ სალამოს მოგონებას. არ გაიარა დიდმა ხანმა, ექ. მელიქიშვილმა წამაკითხა ოდესით მონაწერი წერილი, სადაც ინერებოდა ჩვენი პროფესორი ამ ნადიმის კარგ შთაბეჭდილებების შესახებ. გადაეცი ყველას ჩემი გულითადი სალამი და ისიც, რომ მე ჩემს აღთქმას მტკიცედ ვასრულებ. ყოველდღე ვვარჯიშობ და ვსწავლობ ქართულს და ვატყობ კარგ შედეგს. ასეთი წერილები რამოდენიმეჯერ მოდიოდა 1916 წლის შემოდგომიდან 1917 წლის დამლევამდე. თანაც დასძენდა, რაც დრო გადიოდა, როგორ თანდათან უადვილდებოდა მას ეს მუშაობა...

* * *

1918 წელს, 26 იანვარს, ქართული უნივერსიტეტის მთავარ დარბაზში დიდს საზოგადოებას მოეყარა თავი. ყველას დიდი სიხარული ეტყობოდა სახეზე. ყველა განსაკუთრებულ აღტაცებას განიცდიდა. საზეიმოდ მოსული ხალხი თითქოს სააღდგომო ლიტანიისათვის ემზადებოდა. ყველანი იქ ვიყავით, ვისთვისაც ეს ძვირფასი წამი დიდის ხნიდან ნანატრი და ნაოცნებარი იყო. დანიშნულ საათს ამაღლებულ ადგილზე გამოვიდა ჩვენი ძვირფასი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი, ხალხი სმენად გადაიქცა და ამ ნორჩმა სამეცნიერო ტადარმა პირველად მოისმინა თავისი გამოჩენილი მეცნიერის მო-

ლოცვა და მისაღმება. **სახე მისი იყო ისე გაბრწყინებული, ისეთის სიცოცხლით აღსავსე, რომ გეგონებოდათ ხანსა და მოხუცებულობას მისთვის ვერაფერი ვერ დაუკლიაო.** ვინც დავესწარიტ ამ ბედნიერს დღეს და ვინც განვიცადეთ ეს უზენაესი სიამოვნების წუთები, ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ ამ სიამეს. საქართველოს ტანჯვის ასპარეზზე ასეთი ეროვნული აღტაცება საიშვიათო რამ იყო და ამიტომაც ამ შესანიშნავმა განცდამ დაგვიტოვა სამუდამოდ წარუხოცველი კვალი.

დაასრულა მეცნიერმა თავისი საზეიმო სიტყვა. ჩამოვიდა ძირს და ყველანი მიეშურენ მისალოცავად. როდესაც ჩემმა ჯერმაც მოატანა, მივუახლოვდი, მანაც ჩემსკენ რამოდენიმე ნაბიჯით მოაშურა, ორივე ხელით ერთიმეორეს ჩაჭიდებული განსაკუთრებულის სიამოვნებით ვულოცავდით ერთმანეთს.

– ძვირფასო პროფესორო, მივმართე მე, ნება მიბოძეთ გულწრფელად და განსაკუთრებულად მოგილოცოთ ეს თქვენთვის და ყოველი ქართველისათვის საზეიმო დღე. ხომ გახსოვთ ის საღამო, როდესაც მე პირველად გისურვეთ ეს ბედნიერება და რასაც ასე შეუძლებლად სთვლიდით სხვებთან ერთად თქვენც? ის დანარჩენებიც, ეხლა აქ დამსწრენი, ყველანი ჩვენთან ერთად ზეიმობენ ამ დიდებულ დღეს! განსხვავება-კი ის არის, რომ იმათ ამ ზეიმს ყვავისებურად დასჩხავლეს და მე კი იმ დროიდანვე საამურ მოლოდინის სუდარაში ვახვევდი ამ ჩემს ნაოცნებარს და ამიტომაც ყველაზე უფრო განვიცდი ამ სიამოვნებას. კიდევ გილოცავთ ამ ბედნიერებას და გი-

სურვებთ დანარჩენი ჩემი წინასწარმეტყველებაც სავსებით აგზდენოდესთ ჩვენი ახალი უნივერსიტეტის და სამშობლოს საკეთილდღეოთ!

ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი – მიპასუხა აღფრთოვანებულმა პროფესორმა – რომ მე ასეთს ბედნიერებას შევესწრებოდა! ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ თქვენ ასეთი წინასწარმეტყველი გამოდგებოდით. ეხლაც მესმის თქვენი მაშინდელი სიტყვები და რა ბედნიერი ვარ, რომ ასე მალე ამიხდა ყოველივე. კიდევ და კიდევ უაღრესად გმადლობ. თქვენი რჩევა სავსებით გამოვიყენე, შედეგსაც სასურველს მივაღწიე, როგორც ხედავთ.

მეტი შეჩერება აღარ შეიძლებოდა. მოზღვავებული ხალხიდან ყველანი ცდილობდნენ მასთან მისვლას. მისალოცავ სიტყვის თქმას და აღტაცების გაზიარებას.

საერთო მშვენიერს სურათს აგვირგვინებდა პროფესორების ჯგუფი რექტორის გარემემო მყოფი და **მეტადრე ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი, რომლის სახეც კმაყოფილების და აღტაცების შარავანდით იყო მოცული.** სხვა დიდსა და დაუფასებელ ამაგთან ერთად მან ის ამაგიც დასდო ქართულ უნივერსიტეტს, რომ პირველი რექტორობა პროფესორ მელიქიშვილს არგუნა. ამ რაინდული საქციელით მაგარი საფუძველი გაუსკვნა ჩვენს პირველ ტაძარს მეცნიერებისას: დამსახურებული და დიდი ხნის მუშაკი მეცნიერი დაუყენა სათავეში, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ნორჩი უნივერსიტეტისათვის.

საითაც არ გაიხედავდით ამ ვებერთელა დარბაზში,

ხედავდით ყველას აღტაცებულსა და კმაყოფილს.

სხვათა შორის უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოებაც, რომ ყველა „ურწმუნო თომამ“, ვინც დამსწრე იყო პროფესორის გამოსათხოვარ ნადიმისა, განსაკუთრებით მომილოცა ეს საზეიმო დღე და მითხრეს: შენ გვაჯობე და ამისათვის, როგორც ნაგულისხმევი იყო, თითი უნდა მოვკაკვოთო!

ახლად დაარსებულ სამეცნიერო ტაძარში, მაშინვე გაჩაღდა სამეცნიერო სწავლა და მუშაობა. ამ მუშაობაში ჩაება ჩვენი ცნობილი მეცნიერიც. მას რამოდენიმე დარგში დასჭირდა მუშაობა. მან ყველგან თავისი ხანგრძლივი გამოცდილების კვალი დააჩინა. იგი თითქმის სავსებით გარდაიქმნა ამ ახალ ასპარეზზე. და ეს ხომ ასეც უნდა მომხდარიყო. მეცნიერი, რომელიც მოშორებული იყო თავის ბუნებრივ წიაღს, რომელსაც უცხო მიწაზე, უცხო ჰაერზე, უცხო გარემოში ხვდებოდა მუშაობა და მოღვაწეობა, ფრთა – აღკვეცილი და შეზღუდული იყო ყველაფერში, სრულს ბუნებას იგი იქ სავსებით ვერ გადაშლიდა. აქ კი, თავის სამშობლოში, რასაკვირველია, მას შეეძლო თავისი ბუნებრივი ძალების სავსებით გამოყენება, დასანანებელია მხოლოდ ის გარემოება, რომ საუკეთესო ხანა თავისი საქმიანობისა მან შეაღია რუსეთს და საქართველოს ასპარეზი კი მას აღმოუჩნდა, როდესაც 68 წელს მიაღწია... მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არ არის... ამ ახალ ასპარეზზე მართლაც არა ჩვეულებრივის ნაყოფიერებით შეუდგა მრავალფეროვან მუშაობას ჩვენი სასიქადულო მეცნიერი. ყოველგვარ კვლევა-ძიებისა და

მეცნიერების დარგში, სადაც კი ქიმია იხსენებოდა, ჩვენი მეცნიერი ხელმძღვანელობდა და მეთაურობდა საჭირო მუშაობას. ამდენ სამუშაოს, მეტად რთულს და მრავალფეროვანს იმიტომ ახერხებდა, რომ დიდს სულიერ კმაყოფილებას განიცდიდა სამშობლოში დაბრუნებით. ხშირად ვხვდებოდი თბილისში პირველ ოთხ წელიწადს და ხშირად გაუზიარებია მას ჩემთვის ეს კმაყოფილება. არა ერთხელ გაგვიზიარებია ურთიერთისათვის გულწრფელი სინანული, რომ ისეთი გამოჩენილი მეცნიერი და მრავლის ღირსებით შემკული ადამიანი, როგორც იყო განსვენებული ვასილ პეტრიაშვილი, თავისი დიდი მეგობარი, ვერ შეესწრო ამ ბედნიერებას, საქართველოს დედა – ქალაქის უნივერსიტეტის ხილვას და მის წიაღში მუშაობას! უღმობელმა სიკვდილმა უდროოდ წარიტაცა იგი. როგორ დაამშვენებდა ჩვენს ტაძარს მეცნიერებისას, რომ ბატონ პეტრეს ისიც ამოსდგომოდა თანამშრომლად. ხშირად ბევრ რამეს ვიგონებდით მისი წარსულიდან და სხვათა შორის რამოდენიმეჯერ მოვაგონე გამოჩენილი რუსის მეცნიერის, პროფ. სეჩენოვის ნათქვამი ვასილ პეტრიაშვილის შესახებ: როდესაც მას დაუმთავრებია ჩინებულად სწავლა ოდესის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, მოუსურვებია სწავლის გაგრძელება და საპროფესორო მუშაობისათვის უცხოეთში გამგზავრება, სეჩენოვს უთქვამს: „სად აზიელი და სად მეცნიერება“ -ო.

ამისდა მიუხედავად, ბ. ვ. პეტრიაშვილი 1873 წ. გამგზავრებულა ბონში, 1874 წ. სახელოვანად ჩაუბარე-

ბია დისერტაცია მაგისტრის ხარისხით, 1877 წ. მიუღია დოქტორობა, 1878 წ. გაუგზავნიათ 2 წლით სამუშაოდ პარიზის უნივერსიტეტში, 1880 წ. დაუნიშნიათ ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად და 1906 წ. აურჩევიათ რექტორად. ამ მეცნიერმა და შესანიშნავმა ადამიანმა ბევრი რამ შესძინა მშობლიურ და მსოფლიო სამეცნიერო მწერლობას. აი ასეთი გამოდგა ეს არა-ჩვეულებრივი მეცნიერი, „აზიელად“ მონათლული რუს მეცნიერის მიერ!..

ეს პროფ. სეჩენოვი ფიზიოლოგიის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა მთელ რუსეთში. იცნობდნენ მას უცხოეთშიაც. მასთან მუშაობდა ჩვენი თანამემამულე ივანე რამაზის ძე თარხნიშვილი, 1864 წ. პეტერბ. სამხედრო – ქირურგიულ აკადემიაში შესულა. სწორედ ამ პროფ. სეჩენოვის ხელმძღვანელობით შეუდგა იგი ფიზიოლოგიის შესწავლას. მან დაამთავრა სწავლა 1869 წ. ოთხი წლის თვალსაჩინო მეცნიერული მუშაობის შემდეგ, თარხნიშვილი სამხედრო აკადემიის პროფესორთა დადგენილებით გაგზავნილ იქნა უცხოეთში მეცნიერული მუშაობისათვის. მან მრავალი საკითხი გამოარკვია, რამაც მეცნიერების დიდი ყურადღება მიიპყრო რუსეთში და საზღვარგარედაც. ამნაირად პროფ. სეჩენოვს თავის ჯერ მონაფის და შემდეგ თანამშრომელის მაგალითი თვალწინ ედგა ქართველი ადამიანის ნიჭიერებისა და შეგნებული მუშაობის. რად უნდა დასჭირვებოდა მას ამის შემდეგ ვ. პეტრიაშვილისადმი ისეთი სიტყვებით მიმართვა, რომელიც მხოლოდ უვიცსა და შეუგნებელ ადამიანს შეჰფე-

რის?! მაგრამ ეს არის რუსული ღვარძლიანობა და მედიდურობა „დამონებულისადმი“ და ერთის მხრით ველური ბუნების მაჩვენებელი... მეტადრე მას, როგორც ბიოლოგიური მეცნიერების კარგ მცოდნეს, უნდა გაენია ანგარიში ჩვენში რასსიული თვისებისათვის და უუძველესი დროიდან ქართველების კულტურული არსებობისათვის, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც რუსის ხსენებაც არ იყო დედამიწის ზურგზე.

მე ვიცნობდი სეჩენოვს, ჩემი პროფესორი იყო ფიზიოლოგიის, კარგი მცოდნე, გულ-კეთილი, სათნო და თავმდაბალი ადამიანი, სავსებით მეცნიერულ კვლევადიებაში თავჩარგული. ასეთ ადამიანს უვიცობა არ შეეფეროდა, მაგრამ, როდესაც მეცნიერი-რუსი „დამპყრობელის“ აზროვნებით გაიმსჭვალება, მაშინ იგი პოლიტიურ შეგნებით იარაღდება, ყველას მტრულად უყურებს, სხვა ტომის კაცი ეჯავრება, არარაობად მიაჩნია და ხშირად შეუსაბამოს აფიქრებინებს და ათქმევინებს.

* * *

როდესაც უკვე გაჩაღდა მუშაობა ჩვენს უნივერსიტეტში და მრავალი მეცნიერების მუშაკი შემოიკრიბა იქ, ერთჯელ ბ-ნ პეტრეს გავახსენე სეჩენოვის უცნაური შეხედულება და მოვახსენე: ეხლა რომ სეჩენოვი წამოდგეს საფლავიდან და დაინახოს მან ყოველივე ეს, ნეტავი რას იტყოდა? გააბათილებდა თავის ნათქვამს, თუ გულ-გახეთქილი ხელახლად ჩანვებოდა საფლავში...

დიახ, დაარსდა ქართული უმაღლესი სასწავლებელი

თბილისში, საქართველოს მტრების გასაცვიფრებლად და მოყვარის სასიხარულოდ. კვლავ დაინთო ლამპარი მეცნიერების ტაძარში, მე-19 საუკუნის დამპყრობელთაგან ჩამქრალი, სხვაგან გაფანტული ქართველი მუშაკნი შემოიკრიბნენ მის ნიაღში და გაჩაღდა მუშაობა. ამ მუშაობაში თვალსაჩინო ნაწილია შეტანილი ჩვენი ძვირფასი მეცნიერის მიერ. მომავლის ჟამთააღმწერელი უთუოდ კარგად შეაფასებს, როგორც ამ მეცნიერის, ისე იმათ ღვაწლსაც, ვინც შეჰქმნა ეს საშვილიშვილო საქმე.

ოთხი წლის განმავლობაში, ყოველთვის, როდესაც ვხვდებოდი ბ-ნ პეტრეს, მას ეტყობოდა ჭაბუკური სიხალისე და სრული სულიერი კმაყოფილება ამ ახალს მშობლიურს ასპარესზე. უალრესის აღტაცებით შევჰყურებდით მას, კმაყოფილებით აღსავსე, რომ მას ჩემი ნაწინასწარმეტყველვეი სავსებით აუსრულდა. მეცნიერს კი ეტყობოდა სრული ბედნიერების განცდა, რომ ბოლოს მაინც ბედმა არგუნა მას ისეთი საიშვიათო ასპარეზი, რომლის წარმოდგენას იგი ოცნებითაც კი ვერა ჰბედავდა...

ჩვენი მეცნიერის დანარჩენი ხუთი წლის მოღვაწეობის ახლოსმხილველი აღარ ვყოფილვარ, რადგანაც გარემოებამ სამწუხაროდ დამაშორა მშობლიურ ასპარეზს... აქ უცხოეთში, კანტი-კუნტად მოსული ცნობებიდან ვტყობილობდით, რომ იგი მუდამ განაგრძობდა თავის მრავალფეროვან მუშაობას, რომ მან შეჰქმნა მთელი თაობა ქიმიკოსების, რომელნიც აგრძელებენ მის ნაკარნახევ მიმართულებით მუშაობას. მადლობელ საზოგადოებას და მის მოწაფეებს 1922 წ. დიდის ზეიმით გადაუხდიათ მეცნიე-

რის მუშაობის 50 წლის თავი. გარდაიცვალა ეს ძვირფასი მუშაკი 23 მარტს 1927 წ. 77 წლის ასაკში, თავის სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლის თავზე. დაუსაფლავებიათ ქართული უნივერსიტეტის წინ და მისი ქანდაკებაც შეჭყურებს თურმე იმ ტაძარს, რომელსაც მან შეაღია თავისი მოღვაწეობის ბოლო მეექვსედი ნაწილი. აქაც მას იშვიათი და სახარბიელო ბედი ეწვია – სამუდამო განსასვენებელი იმ ტაძრის წინ აღუჩინა, რომლის დამამშვენებელი ქურუმობაც მას ბედმა არგუნა... მისი ნაყოფიერი მუშაობისათვის მადლიერი სამშობლო მას ვერ დაივიწყებს...

ვახტანგ იმნაიშვილი

პეტრე მელიქიშვილი ლაპორატორიის გარეთ¹

ბედმა არაერთ სახელოვან ქართველ მამულიშვილს სამშობლოსაგან მოშორებით არგუნა ცხოვრება. მათში საკმაოდ იყვნენ გამოჩენილი სწავლულები, ქართული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები. მრავალმა მათგანმა თავისი შეგნებული ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერი წლები კავკასიონის კალთებიდან მოშორებით გაატარა. ნიკო მარს, ალექსანდრე ცაგარელს, ალექსანდრე ხახანაშვილს, გრიგოლ წერეთელს, ვიქტორ ნოზაძეს, კიტა ჩხენკელს, ვასილ პეტრიაშვილსა და სხვებს ამ მხრივ შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ პეტრე მელიქიშვილი, სახელოვანი ქიმიკოსი, შემდგომში ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის პირველი რექტორი.

პეტრე მელიქიშვილის მეცნიერული შრომების ანალიზი ქიმიაში და ამ სფეროში მისი ღვაწლის წარმოჩენა სპეციალისტების საქმეა. მე კი მინდა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, რომელიც შორეულ ოდესაში დიდად იყო დაფასებული და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა, სრულიად სხვა კუთხით წარმოვაჩინო – არა

¹ იბეჭდება მცირე შემოკლებით. ენათმეცნიერ ვ. იმნაიშვილის სტატია არის პ. მელიქიშვილის ბიოგრაფიის ახალი, საინტერესო მასალა – მიკვლეული უცხოეთის არქივებში.

ქიმიაში მოპოვებული ნარმატებების ფონზე, არამედ კათედრისა და ლაბორატორიის გარეთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში, თავისი მისწრაფებებით, საზრუნავითა და სანუხარით...

მართალია, პეტრე მელიქიშვილის ცხოვრების შესახებ საკმაო ლიტერატურაა დაგროვილი, მაგრამ შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი მისი მოღვაწეობა ევროპაში და მისი კონტაქტები ევროპულ სწავლულებთან.

ავსტრიაში ჩემი ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინების დროს 1975-76 წლებში და აგრეთვე 2001 წლის ზაფხულში შესაძლებლობა მომეცა, იქ გავცნობოდი პეტრე მელიქიშვილის პირად წერილებს გამოჩენილი ავსტრიელი მეცნიერის, ჰუგო შუხართის, მისამართით, რომელთა გამომზეურება, საინტერესო უნდა იყოს ქართველი მკითხველისათვის. ჯერ საჭიროდ მიმაჩნია, ორიოდ სიტყვა ვთქვა პეტრე მელიქიშვილის ადრესატის შესახებ.

ჰუგო შუხართი (1842-1927) იყო საქვეყნოდ ცნობილი ავსტრიელი ლინგვისტი, 770 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ვენის, ბერლინის, რომის, ბუდაპეშტის, კოპენჰაგენის, მიუნხენის, ლისაბონის, ამსტერდამის, კრაკოვისა და სხვა დიდი ქალაქების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გრაცის, ბოლონიის, ბუდაპეშტის, ოსლოს და სხვა უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, მილანის, ბალტიმორის, სან-სებასტიანის, ჯაკარტის, მოსკოვის, პეტერბურგისა და სხვა დიდი ქალაქების კვლევითი ცენტრების საპატიო წევრი. იგი, სხვა-

თა შორის, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ნევრიც იყო. ამ პიროვნებამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაშიც. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მას რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა აქვს დაბეჭდილი ძველი და ახალი ქართული ენის საჭირობოროტო საკითხებზე, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ ფასი, ჰუგო შუხართი იყო ის პიროვნება, რომელმაც დაღუპვას გადაარჩინა უძვირფასესი ქართული ხელნაწერები, რომელთაც უკვალოდ დაკარგვა ან, უკეთეს შემთხვევაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წიგნსაცავების თაროებზე მივიწყების მტვრით დაფარვა ემუქრებოდათ, და თუმცა საქართველოსაგან მოშორებით, მაგრამ მაინც საიმედო თავშესაფარი მისცა – დღეს ეს ძველთაძველი ხელნაწერები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი – ხანმეტი ლექციონარი VII საუკუნისა – გრაცის ოთხასწლიანი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მშვენებას წარმოადგენს, ყველაზე ძველ ერთეულს ბიბლიოთეკის სამმილიონიან წიგნად ფონდში...

ამ პიროვნებასთან ჰქონდა მიმონერა პეტრე მელიქიშვილს და სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ მელიქიშვილთან ნაცნობობამ, უფრო მეტიც, მეგობრობამ, შეაგულიანა ჰუგო შუხართი, რომ ქართული ხელნაწერებისთვის მიექცია ყურადღება – ხელნაწერები მან 1897 წლის იანვარში შეიძინა. პ. მელიქიშვილთან მეგობრობას კი უფრო ადრე ჩაეყარა საფუძველი. არ შემოძლია ზუსტად თქმა, როდის გაიცნეს მათ ერთმანეთი, მაგრამ ერ-

თი კი ნათელია: შუხართის პირველ გამოკვლევას ქართულის შესახებ, რომელსაც „Uber das Georgische“ („ქართული ენის შესახებ“) ჰქვია და 1895 წლის ზაფხულის მიწურულს დაისტამბა ვენაში, ასეთი ნაბეჭდი მიძღვნა ამშვენებს – მე ხაზს ვუსვამ: ნიგნის თავფურცელზე ქართულად გაკეთებული ნაბეჭდი მიძღვნა: **„ნიშნად მადლობისა ვუძღვნი ჩემს საყვარელს მეგობარს პროფესსორს პ. მელიქიშვილს. გ. შუხართ“**.

სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით იმავე წლის 3 სექტემბრით დათარიღებულ წერილში პ. მელიქიშვილი წერს: „უწინარეს ყოვლისა, ნება მომეცით, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი მოძღვნისათვის – ეს ძალზე დიდი პატივი და ყურადღებაა ჩემდამი და მე ვერ ვპოულობ შესაფერის სიტყვებს, რათა ჩემი მადლობა გამოვთქვა“.

არტურ ლაისტი 1895 წლის 21 სექტემბერს „ივერიაში“ წერდა: „თავისს გამოკვლევას პროფესორი შუხარტი უძღვნის პროფ. პ. მელიქიშვილს, რომელთანაც შუხარტი შარშან ზამთარში ქართულ ენას სწავლობდა“. აქედან გამოდის, რომ მელიქიშვილი და შუხართი 1894 წლის ზამთარში მეცადინეობდნენ ქართული ენის ლაბირინთებში გასარკვევად...

პეტრე მელიქიშვილისა და ჰუგო შუხართის ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა ექვთიმე თაყაიშვილიც. პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ წერილში 1927 წელს იგი წერდა პარიზში გამომავალ ქართულ გაზეთ „დამოუკი-

დებელ საქართველოში“: „პეტრემ მითხრა, ჩემს გრაცში ყოფნის დროს შუხარდმა შემარცხვინა, რომ ჩვენ ასე მნიშვნელოვანს საინტერესო ჩვენს სამშობლო ენას არ ვიკვლევთო. აბა მე რა ქართულის მცოდნე ვარ, მაგრამ მან მაიძულა, დამეწყო მასთან მეცადინეობა და მოვხმარებოდი ქართული ენის შესწავლაში და ცნობების მიწოდებაშიო. ზოგი რამ მოვიგონე, ზოგი წავიკითხე, წიგნები ვიშოვე და ასე ვცოდვილობდიო. შუხართი სულ ამას მეუბნებოდა, რა თქვენი საქმეა ქიმია, ქიმიაში კვლევადიებას ევროპელებიც კარგათ შესძლებენო. თქვენ ასეთი მდიდარი ენა გაქვთ და მისი კილოკავები, ეს შეისწავლეთ და ამის გამოკვლევაში დაგვეხმარეთო, უთქვენოთ ამას ჩვენ თავს ვერ გავართმევთო. როგორც კი რაიმე გადანაცემიდან მოეწონებოდა, მაშინვე დაუმატებდა, ხან ხუმრობით, ხან ისე, მე რომ შენი ვიყო, ქიმიას თავს დავანებებდი, ქართული ენის კვლევას დავინწყებდიო. მე გატყობ, ამაში უფრო წარმატებას გამოიჩენდიო...“

ეს, ასე თუ ისე, ცნობილი ფაქტია. ახლა შევეცდები, ისეთ მომენტებსაც შევეხო პ. მელიქიშვილის ცხოვრებიდან, რომლებიც შეიძლება ფართო საზოგადოებისათვის არ იყოს ცნობილი. **გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია პეტრე მელიქიშვილის პირადი წერილები ჰუგო შუხართისადმი**, რომლებიც მოიცავს პერიოდს 1895 წლის 6 ივლისიდან 1904 წლის 17 თებერვლამდე. ალბათ, მათ მოგვიანებითაც ჰქონდათ კონტაქტები, მაგრამ შუხართის არქივში სხვა წერილები არ ჩანს. თუმცა არსებობს სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე

შუხართის დაბადების 85-ე წლის აღსანიშნავად თბილისის უნივერსიტეტიდან გრაცში გაგზავნილი მისალოცი დეპეშა (1927 წლის 3 თებერვლით დათარიღებული), რომელსაც ხელს აწერენ ცნობილი პროფესორები. მიმლოცველთა სიაში პირველი პეტრე მელიქიშვილია – ივ. ჯავახიშვილის, მ. ჯანაშვილის, ა. შანიძის წინ (გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს მელიქიშვილი უკვე აღარაა რექტორი, შუხართს მოსე ჯანაშვილიც კარგად იცნობდა, მაგრამ მელიქიშვილი წერია სიის თავში, რითაც, ვფიქრობ, ხაზგასმულია, რომ სწორედ იგია ჰუგო შუხართთან სხვებზე მეტად დაახლოებული პიროვნება). ამასვე გახაზავს სხვა დოკუმენტიც: ა. შანიძე თავის 1926 წლის 8 ივლისის წერილს შუხართისადმი ასე ამთავრებს: „პროფ. მელიქიშვილი და ჩვენი კავკასიოლოგები გულითადად მოგესალმებიან და გისურვებენ დიდხანს სიცოცხლეს“. აქედანაც ჩანს, რომ ჰუგო შუხართთან მიმართებაში პეტრე მელიქიშვილი ყოველთვის პირველ რიგში დგას კოლეგათა სამსახურებრივი მდგომარეობისა და დამსახურების მიუხედავად.

შუხართის არქივში შემონახული მელიქიშვილს 18 წერილიდან 16 გერმანულადაა დაწერილი, 2 – ქართულად. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მელიქიშვილის დიდი მოწინება შუხართის მიმართ. წერილების ტონი მეგობრულიცაა და მეტისმეტად მოკრძალებულიც. ეს მის ყველა წერილს გასდევს. ახლა გავეცნოთ ცალკეულ წერილებს.

№1

„ზაკოპანე, მაქსვალდის ვილა

6.VII.1895

ჩემო ძვირფასო მეგობარო! თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი სიხარული მომანიჭა თქვენმა წერილმა, მაგრამ ამასთან უნდა ვაღიარო, რომ მან უხერხულ მდგომარეობაშიც ჩამაგდო. ჩემთვის თავის მოჭრაა, მრცხვენია, რომ თქვენთვის ამდენ ხანს არაფერი მომიწერია.

თუ თქვენ მომიტევეთ ამ ჩემს მოჩვენებით უყურადღებობას და ჩემი წერილის კითხვას გააგრძელებთ, ნება მომეცით, აგიხსნათ, როგორ ჩამოვედი ზაკოპანეში და რატომ ვდუმდი ამდენ ხანს. როცა გრაცი დავტოვე, მსურდა რამდენიმე დღით ზიმერინგში დარჩენა, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა. ყველაფერი სავსე იყო – სასტუმროები, კერძო ბინები და ა. შ. ზიმერინგი ვენის გარეუბანი გახდა. ვენაში მსურდა ექიმთან კონსულტაციის მიღება და, აი, საოცრება! მე თავს ვეღარ დავაძალე, ექიმთან რომ წავსულიყავი. ყოველთვის, როცა წასვლას გადავწყვეტიდი და წავსულვარ კიდეც, ბოლოს ძალა აღარ მყოფნიდა, მასთან რომ შევსულიყავი: მეჩვენებოდა, რომ მოწყალეობა უნდა მეთხოვა ან ბოდიში მომეხადა იმისთვის, რომ ავად ვიყავი.

უცბად გადავწყვიტე, რომ კარპატებში გავგზავრებულყავი. მე რუსეთში ისე ბევრი მქონდა გაგებული ტატრის მთებში ბუნების სიმშვენიერის შესახებ, რომ

მომინდა, თვითონ მენახა და აქ, ბუნების წიაღში, რამდენიმე კვირით დავრჩენილიყავი და დამესვენა. არჩევანი დიდი არ იყო: შმენსი ან ზაკოპანე – უნგრეთის და პოლონეთის ტატრა. მე უკანასკნელი ვამჯობინე, რადგან ვფიქრობდი, რომ აქ ბევრ პოლონელს შევხვდებოდი რუსეთიდან. მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა უბედური ვიყავი აქ. აქ ყველაფერი ისე პრიმიტიულია, რომ ხალხს არავითარი წარმოდგენა არა აქვს კომფორტზე, რომ უცხოელისთვის ცხოვრება თითქმის შეუძლებელია. მე გადავწყვიტე აქედან წასვლა და მომენტს ველოდებოდი, როცა თავს ცოტათი უკეთ ვიგრძნობდი. საუბედუროდ, ისეთი საშინელი თავის ტკივილები მქონდა, რომ აბსოლუტურად არ მქონდა თავი, რაიმე ახალი წამომეწყო. ასე დავრჩი ზაკოპანეში ორ კვირას. ამის შემდეგ მე ვფიქრობდი, რომ რამდენიმე დღით კიდევ დავრჩებოდი და შემდეგ ოდესაში გავემგზავრებოდი. მაგრამ აქ დადგა ფულის საკითხი, მე კოლეგა პეტრიაშვილს¹ წერილიც ვერ გავუგზავნე, სრულიად გამავინყდა და ამის გამო იძულებული გავხდი, აქ დავრჩენილიყავი და დავლოდებოდი პეტრიაშვილის წერილს. გუშინ ფული მივიღე, პეტრიაშვილი კი მწერს, რომ ოდესაში ძალიან ცხელა, და მირჩევს, დავრჩე კიდევ რამდენიმე დღით აქ, რათა ასეთი დიდი სიცხის დროს ოდესაში არ გავემგზავრო. ახლა მე გადავწყვიტე, კიდევ 5-6 დღით დავრჩე აქ. 12-13 აგ-

¹ იგულისხმება ვასილ პეტრიაშვილი (1842-1908), ცნობილი ქიმიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი, ერთხანს მისი რექტორიც.

ვისტოს კი გავემგზავრები ოდესაში. იქიდან მოგწერთ, თუ ნებას დამრთავთ...

უმორჩილესად გთხოვთ, გულითადად მომიკითხოთ ქ-ნი ბაუერი და პროფ. ბაუერი, ქ-ნი და ბ-ნი რაინინგჰაუსები, ქ-ნი და ბ-ნი გრაფები, დოქტორი ფლაიმშააკერი მეუღლითურთ, პროფ. დოელტერი და ქ-ნი დოელტერი.

თქვენი ერთგული და გულითადი მეგობარი

პ. მელიქიშვილი

№2

„3(15).IX.1895¹“

ძვირფასო მეგობარო!

ათასჯერ გიხდით ბოდიშს, რომ ასე დიდხანს ვერ გამოგიგზავნეთ წერილი. სამი კვირის წინ ჩამოვედი ოდესაში და მას შემდეგ მოსვენება არა მაქვს. ჩამოვედი თუ არა, იძულებული ვიყავი, ქალაქგარეთ გავემგზავრე ულიყავი, რათა სხვადასხვა მიწის სინჯები შემეგროვებინა მინათმოქმედების სამინისტროსთვის, შემდეგ კი დასაქმებული ვიყავი ბინით, ბიბლიოთეკით, ლაბორატორიით და ა. შ.

გუშინ გამოგიგზავნეთ შარშანდელი და წლევეანდელი „მომამბე“². რაც შეეხება სხვა წიგნებს, დღემდე არ მი-

¹ ფრჩხილებში ევროპული ქრონოლოგიაა მითითებული. იმხანად რუსეთსა და ევროპას შორის დროში სხვაობა 12 დღეს შეადგენდა, 1901 წლიდან კი უკვე 13 დღე გახდა.

² ქართული ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში 1894-1905 წლებში.

მილია კატალოგი, რომ ამომერჩია. მომწერეთ, როგორ
ბრძანდებით, თავს როგორ გრძნობთ. იმედია, ახლა უკე-
თეს გუნებაზე ხართ, რაკი წვიმების დრო წავიდა, რო-
გორც, ყოველ შემთხვევაში, გაზეთები იუნყებიან, და
თქვენთან დიდი სიცხეები დაიჭირა.

ცოტად თუ ბევრად კვლავ შევეჩვიე ჩემს საქმიანო-
ბას. ჩვენთან ლექციები სრული დატვირთვით მიმდინა-
რეობს. ვიმედოვნებ, რომ წერილებს მომწერთ და თქვენი
ჯანმრთელობის ამბავს შემატყობინებთ.

თქვენი წერილი მომიტანეს თუ არა, იქიდან შევიტყ-
ვე, რომ ამჟამად ჰერკულესბადში იმყოფებით. უწინა-
რეს ყოვლისა, ნება მომეცით, მადლობა გადაგიხადოთ
თქვენი მოძღვნისთვის – ეს ძალზე დიდი პატივი და ყუ-
რადღებაა ჩემდამი და მე ვერ ვპოულობ შესაფერის სიტყ-
ვებს, რათა ჩემი მადლობა გამოვხატო.

„მოამბე“ გავაგზავნე გრაცში (ელიზაბეთშტრასე
№6), ვწუხვარ, რომ არ დამელოდეთ და თქვენ თვითონ
გამოიწერეთ, მე არ შემეძლო ადრე გამოგზავნა, რადგან
ჩემი წიგნები ისე მოუწესრიგებლად იყო გაფანტული,
რომ დიდხანს ვერ შევძელი მათი შეკრება.

ჯერჯერობით გაცნობებთ იმათ მისამართებს, ვინც
დაინტერესებულია ენით:

Жордания – Тифлиς, учительская семинария

*Г. Церетели – Редакция грузинского журнала
«Квали», Тифлиς*

Чкония - Редакция «Моамбе», Тифлиς

Меунаргия - Редакция «Моамбе», Тифлиς

Доценту Г. Ф. Церетели, С-Петербург, Археологический Институт

П. Умиков – Станция Квирилы, в Кутаисской Губернии

Н. Гогоберидзе – Станция Квирилы, в Кутаисской Губернии

სხვა მისამართებს მოგვიანებით გამოგიგზავნით, რადგან ჩემი თანამემამულეები ჯერ არ მინახავს, უმეტესობა ჯერ კიდევ არ ჩამოსულა. ვიმედოვნებ, ამ დღეებში ისინი ჩამოვლენ თბილისიდან და უფრო მეტს შევიტყობ.

მოკითხვა გადაეცით ჩემს ყველა გრაცელ მეგობარს – ქ-ნ და ბ-ნ ბაუერებს, ქ-ნ და ბ-ნ რაინინგჰაუსებს, ფლაიშჰაკერს, ქ-ნ და ბ-ნ გრაფებს, დოელტერსა და მის მეუღლეს.

თქვენი ერთგული და გულითადი მეგობარი

ჰ. მელიქიშვილი

ოდესა, უნივერსიტეტი

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ შუხართის მიერ ვენაში გამოქვეყნებულ წიგნს („Uber das Georgische“, 1895) თავფურცელზე ახლავს ქართულად დაბეჭდილი მიძღვნა, აქ სწორედ ეს მიძღვნა იგულისხმება.

ჩანს, შუხართმა სთხოვა მელიქიშვილს, მისთვის ისეთი პირები დაესახელებინა, ვისგანაც ქართულ ენაში ამა

თუ იმ საკითხის გასარკვევად დახმარების მიღება შეიძლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მელიქიშვილი 70-იანი წლების დასაწყისიდან ოდესაში ცხოვრობდა, კარგად იყო ინფორმირებული ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობის შესახებ, ამიტომ არ გასჭირვებია შუხართისთვის სასურველი კონსულტანტების გამოძებნა. საინტერესოა მის მიერ დასახელებულ პირთა სიაც: თედო ჟორდანი (1854-1916) იყო ისტორიკოსი, პედაგოგი, ფილოლოგი და ერთხანს თბილისის სასულიერო სასწავლებელში მუშაობდა პედაგოგად; გიორგი წერეთელი (1842-1900) — ცნობილი მწერალი, 1893-1900 წლებში რედაქტორობდა გაზ. „კვალს“; ილია ქყონია (1860-1927) იყო მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ხოლო იონა მეუნარგია (1852-1914) მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე; გრიგოლ წერეთელი (1870-1938) – გამოჩენილი მეცნიერი, იმხანად მოღვაწეობდა პეტერბურგში; პეტრე უმიკაშვილი (1838-1904) – საზოგადო მოღვაწე, ფოლკლორისტი, საუკუნის მინურულს მუშაობდა შავი ქვის წარმოებაში დასავლეთ საქართველოში; ნიკო ლოლობერიძე (1839-1911) – საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედმა, 80-იან წლებში ხელი მოჰკიდა ჭიათურის შავი ქვის წარმოების საქმეს, ევროპაში ყოფნისას პირადად გაიცნო შუხართი.

№3

„ძვირფასო მეგობარო

ეს-ესაა მივიღე თქვენი საფოსტო ბარათი და ვჩქა-

რობ, გაცნობოთ, რომ ქართველთა ამხანაგობა (*Грузинское издательское общество*) და *общество распространения грамотности* ორი საზოგადოებაა და არა ერთი და იგივე.

რამდენიმე დღის წინ მე ჰერკულესბაღში მოგწერეთ წერილი, ხოლო გრაცში (ელიზაბეთმტრასე №6) გამოგიგზავნეთ 1894 და 1895 წლების „მომამბე“. მე არ ვიცი, მიიღეთ თუ არა თქვენ ისინი.

მომწერეთ თქვენს ჯანმრთელობაზე, როგორ ბრძანდებით. მე მინდა, კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ მადლობა ბროშურისა და მოძღვნისათვის.

ჩვენთან ლექციები მთელი დატვირთვით მიმდინარეობს. ბევრი სამუშაო მაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, თავს ძალიან სუსტად ვგრძნობ.

თქვენი ერთგული და გულითადი მეგობარი

პ. მელიქიშვილი
ოდესა, უნივერსიტეტი
4(16).X.1895.

№4

„ოდესა, უნივერსიტეტი
30.IX(11.X).1895

ძვირფასო მეგობარო!

რამდენიმე დღის წინ მივიღე თქვენი პირველი წერილი, გუშინ კი – მეორე, გთხოვთ მომიტევეთ, რომ დღემდე პასუხი ვერ მოგწერეთ. ცოტა შეუძლოდ ვიყავი

და ამის გამო ძალა არ შემწევდა წერილის დასაწერად. ძალიან ვწუხვარ, რომ „მოამბე“ აქამდე არ მიგიღიათ.

მე „მოამბის“ 1894 და 1895 წლების კომპლექტი სრულად 2(14) სექტემბერს გამომიგზავნეთ შემდეგ მისამართზე: გრაცი, ელიზაბეთშტრასე №6, და უკვე დიდი ხნის მოსული უნდა იყოს მანდ. მე გიგზავნით ქვითარს, საიდანაც ნახავთ, რომ გაზეთები ნამდვილად გამოგზავნილია და არავითარი ეჭვი არ არსებობს ამ გზავნილის თაობაზე. თუ გაზეთები მიიღეთ, მაშინ გადაადგეთ ეს ქვითარი, თუკი არა, მაშინ უკანვე გამომიგზავნეთ, რომ აქ ფოსტაში ვიკითხო, თუ რატომ არ იქნა გაგზავნილი და, საერთოდ, მიზეზი რომ ამიხსნან.

მე თფილისში უკვე მივწერე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემათა კატალოგის შესახებ და ვიმედოვნებ, რომ მალე მივიღებ მას. ამას გარდა, მივწერე, რომ „ვეფხვისტყაოსანი“ გამომიგზავნონ, მაგრამ რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებას“, მე ვფიქრობ, მისი მხოლოდ ერთი გამოცემა არსებობს, რომელიც პეტერბურგში დაიბეჭდა. ამ წიგნის თაობაზე ვაკიკითხე.

რაც შეეხება პიროვნებას, რომელიც იკისრებს თქვენთვის წიგნების გამოგზავნას, სამწუხაროდ, ასეთს არავის ვიცნობ. ყველაზე კარგი იქნება, თუ თქვენ ფრანგულად მისწერთ წერილს ჟჟონიას, „მოამბის“ რედაქტორს. ის მეტად განათლებული კაცია და, ამასთან, მე ვფიქრობ, ძალიან აკურატულიც.

წიგნებს, რომლებსაც მე მივიღებ, გრაცში გამოგიგ-

ზავნით. გთხოვთ, მომიკითხოთ ქ-ნი და ბ-ნი ბაუერები, რაინინგჰაუსები, ფლაიმჰაკერები, დოელტერები, გრაფები და სკრუპი.

კიდევ გთხოვთ მოტევებას, რომ ასე დაუდევრად გწერთ.

თქვენი გულითადი და ერთგული მეგობარი

პ. მელიქიშვილი“.

ჩანს, მელიქიშვილი ოდესაში სისტემატურდ ლებულობდა „მომამბეს“. არა მგონია, ორი წლის ნომრები შენახული ჰქონოდა, მან, ეტყობა, სპეციალურად გამოიწერა თბილისიდან 1894-95 წლების კომპლექტი, რათა შუხართისთვის გაეგზავნა ავსტრიაში. შუხართის არქივში დაცული წერილებიდან ჩანს, რომ მელიქიშვილი გრაცელ მეგობარს სხვადასხვა სახის ქართულ წიგნებს უგზავნიდა, მეტწილად ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ. საფიქრებელია, ამგვარ საკითხებს იგი ოდესიდან სწორედ ქრთველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეშვეობით აგვარებდა. საინტერესოა მისი შეხედულება ილია ჭყონიაზე – განათლებული და აკურატული კაცი.

№5

„ოდესა, უნივერსიტეტი

25.X(6.XI)1895

ძვირფასო მეგობარო!

უკვე ორი კვირაა, რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ვსაქმიანობ და აბსოლუტურად უბედური ადამი-

ანი ვარ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დროს ვკარგავ, მეორეც – რადგან ვცხოვრობ იმ ხალხს შორის, ვინც დღეს მოიპარა, ხვალ ვილაცას მოკლავს და ა. შ. გუშინწინ მე ღამე გავათიე სასამართლოს შენობაში, დღეს დამითხოვეს, ხვალ კვლავ დიდი პროცესია და უეჭველად აქ დავრჩები რამდენიმე დღესა და ღამეს. მე ვჩქარობ, რომ რამდენიმე სიტყვა მოგწეროთ, რადგან თავისუფალი დრო არ მექნება ამ არასასიამოვნო მოვალეობის – ნაფიცო მსაჯულობის – გამო.

მე ველაპარაკე ორ სტუდენტს – ჩემს თანამემამულეებს, და ორივემ სიამოვნებით აღნიშნა, რომ ეცდებიან, ყველაფერში, რაც მათს ძალებს არ აღემატება, დაგეხმარონ.

თავდაპირველად ისინი დათანხმდნენ, თქვენი ის სტატია თარგმნონ ქართულად, რომელიც თქვენ ფართო საზოგადოებისთვის გსურდათ დაგეწერათ. ამას გარდა, ერთი სტუდენტთაგანი ლეკურად ლაპარაკობს და ეს ვითარება მან რამენაირად შეიძლება გამოიყენოს კიდევ. ორივე ფილოლოგია, მაგრამ ისტორია აინტერესებთ. ერთის გვარია გალაჯაშვილი, მეორისა – ლორთქიფანიძე. გალაჯაშვილი ლაპარაკობს ლეკურად. თუ თქვენ მათთვის რაიმეს მიწერა გსურთ, შეგიძლიათ ჩემს მისამართზე გამოგზავნოთ და მე გადავცემ მათ თქვენს წერილებს. ან იქნებ თქვენ ინებოთ მისამართზე გაგზავნა:

„ოდესა, ვლადიმერ ლორთქიფანიძეს“.

მე თფილისში მივწერე, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიმიღია.

აქ, ოდესაში სტუდენტებს გამოვართვი „ვეფხვის ტყაოსანი“. იგი მაინცდამაინც სუფთა არაა, მაგრამ ხელში დაჭერა შეიძლება და ხვალ ან სამ დღეში გამოგიგზავნით. თუ ხვალ თავისუფალი არ ვიქნები, მაშინ სამ დღეში გაახლებთ...

თქვენი გულითადი და ერთგული მეგობარი

პ. მელიქიშვილი“.

პ. მელიქიშვილის წერილებიდან ჩანს, რომ იმჟამად ოდესაში, ყოველ შემთხვევაში იმ წრეში, რომელშიც ტრიალებდა, ქართველებიც ყოფილან, რომლებთანაც მელიქიშვილს კონტაქტები ჰქონია. ცხადია, აქ არ იგულისხმება ვასილ პეტრიაშვილი, ვისთანაც მელიქიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, როგორც კოლეგასთან და, უფრო მეტად, როგორც ქართველთან. მომდევნო წერილებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტში ფილოლოგიას ორი ქართველი ეუფლებოდა – ვლადიმერ ლორთქიფანიძე და გალაჯაშვილი. ალბათ, სწორედ ერთ-ერთი მათგანი იგულისხმება იმ სტუდენტში, ვისაც მელიქიშვილმა შუხართისათვის „ვეფხისტყაოსანი“ გამოართვა – ან თვითონ არ ჰქონდა, ან, თუ ჰქონდა, ძალიან შელახული იყო და ვერ აკადრა შუხართს მისი გაგზავნა. მელიქიშვილმა იმაზეც იზრუნა, რომ ქართველ სტუდენტებში ის პირები გამოენახა, ვინც ჰუგო შუხართის ენათმეცნიერულ ნაშრომს თარგმნიდა. თავისი ნებით, არა მგონია, ვინმეს ამის სურვილი გამოეთქვა. ეს საქმე ისედაც რთულია და ბევრ დროს თხოულობს, მით უმეტეს, რო-

ცა საენათმეცნიერო შრომაზეა ლაპარაკი. მაგრამ ამ წერილებიდან ყველაზე უცნაური და მოულოდნელია პეტრე მელიქიშვილი ნაფიცი მსაჯულის როლში. დარწმუნებული ვარ, ბევრი ესწრაფოდა ნაფიც მსაჯულობას და საპატიო და დასაფასებელ საქმედაც მიაჩნდათ, მაგრამ მელიქიშვილს სახე ჩამოსტირის – მისთვის ნაფიცი მსაჯულობა მხოლოდ დროის დაკარგვაა, მეტიც, როგორც თვითონ წერს, არასასიამოვნო მოვალეობაა, რის გამოც იგი, ისევ მის სიტყვებს მოვიშველიებ, „აბსოლუტურად უბედური ადამიანია“. უკვე ორი კვირაა, რაც იგი ამ მოვალეობას ასრულებს და ჯერ ამ ტვირთის მოშორებაზე არც კია ლაპარაკი. ეტყობა, კიდევ გაუგრძელდება მსაჯულობა. მისი ყაიდის კაცისათვის ამგვარი მოვალეობა, მართლაც, ძნელი ასატანი იქნებოდა.

№6

„29.XI(11.XII)1895

ოდესა, უნივერსიტეტი

ძვირფასო მეგობარო!

ერთი კვირის წინ მივიღე თქვენი წერილი, რამაც ძალზე დამაწყნარა. მე ვშიშობდი, რომ თქვენ მთლად კარგად ვერ გრძნობდით თავს, რაკი ისე დიდხანს არაფერი მოგიწერიათ საკუთარ თავზე. სანყენია, ოდესაში რომ არ ცხოვრობთ. აქაური ჰავა ძალიან მოგიხდებოდათ. ჩვენთან მუდამ სიმშრალეა, თითქმის სრულებით არ წვიმს და მუდმივად ანათებს მზე. დღეს, მაგალითად, მზიანი დღეა და თერმომეტრი +1 გრადუსს აჩვენებს. და-

მავინყდა, მეკითხა, ისურვებდით, რომ „მოამბის“ გაგრძელება გამომეგზავნა თქვენთვის? თუ გჭირდებათ, სასწრაფოდ გამოგიგზავნით. ჩანს, საზღვარგარეთული გაზეთები ძალიან ბევრს ნერენ ომის შესახებ. აქ ჩვენ ძალიან წყნარად ვართ, არავინ ლაპარაკობს ომზე და, ეტყობა, არავისა აქვს სურვილი ომის გაჩაღებისა. მე ვფიქრობ, ამ ეჭვმა ხელი არ უნდა შეგიშალოთ კავკასიასთან მიმონერის გაგრძელებაში. სტუდენტებმა მიამბეს, რომ ქართულ გაზეთში დაიბეჭდა კორესპონდენცია ოდესიდან, რომელშიც გამობატული იყო აგდებული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და საყვედური იყო გამოთქმული იმის გამო, რომ არავინ გამოეხმაურა თქვენს ნაშრომს...

ჩემი ჯანმრთელობა მთლად ბრწყინვალე არაა. ვშიშობ, დეფექტი მაქვს გულში – ისე ხშირად მტკივა გული, რომ ხანდახან დაძინების თავიც არა მაქვს. ასე რომ, მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! გისურვებთ, რომ ჯანმრთელი დარჩეთ, რათა მეცნიერებას სარგებლობა მოუტანოთ და თქვენი პირადი ცხოვრებაც სასიამოვნო გახადოთ.

გულითადად მოვიკითხავ ბაუერებს, გრაფებს, ფლაიშჰაკერებს, დოელტერებს.

თქვენი ერთგული და გულითადი მეგობარი

პ. მელიქიშვილი“.

№7

„ოდესა, უნივერსიტეტი
15(28).XII.1895

ძვირფასო მეგობარო!

ნება მომეცით, ახალი წელი მოგილოცოთ. მე გულით გისურვებთ, რომ მუდამ დარჩეთ სრულიად ჯანმრთელი და გახარებული, რომ მეცნიერებაში კვლავ ნიჭიერად იმუშაოთ და კიდევ უფრო დიდი სახელი მოიპოვოთ.

გმადლობთ თქვენი თავაზიანი წერილისა და მისამართებისათვის. ქართველი სტუდენტებიც გილოცავენ ახალ წელს და გისურვებენ, რომ მალე გამოიცეს თქვენი ნაშრომი ქართული ენის შესახებ, რომლის დაწერაც თქვენ გათვალისწინებული გქონდათ ფართო საზოგადოებისათვის. მთარგმნელები უკვე ელიან თქვენს ხელნაწერს.

გუშინ ჩვენ დავასრულეთ ზამთრის სემესტრი, ერთ თვეში კი საგაზაფხულო სემესტრი (როგორც ჩვენში ზაფხულის სემესტრს ეძახიან) დაიწყება.

გთხოვთ, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, მომიკითხოთ ქ-ნი და ბ-ნი ბაუერები, გრაფები, ფლაიმჰაკერები, რაინინგსჰაუსები, დოელტერები.

გულითადად თქვენი ერთგული

პ. მელიქიშვილი“.

№ 8

„ძვირფასო მეგობარო!

ბოდინს გიხდით, რომ ამდენ ხანს პასუხი ვერ მოგწე-

რეთ. მაგრამ ეს ერთი თვეა, საცოდავ მდგომარეობაში ვარ. არ ვიცი, სად მომცა სიცხე, რაც დღემდე ვერ დავიგდე.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა თავს ოდნავ უკეთესად ვგრძნობ და სიცხეც თითქმის აღარ მაქვს – ყოველ შემთხვევაში, ისე მაღალი აღარ მაქვს, – მაინც ისე სუსტად ვგრძნობ თავს, რომ ჩემი ყოველგვარი სამუშაო დროებით სრულიად უნდა მივატოვო.

რიაზინინს ყველგან ვეძებდი, მაგრამ ვერსად ვიპოვე. კოლეგებსაც ვკითხე, მაგრამ მას არავინ იცნობს. ყველა ამბობს, რომ რიაზინინი ოდესაში არასოდეს ყოფილა. გუშინ სამისამართო ბიუროში გავიკითხე და პასუხი მივიღე, რომ რიაზინინი ოდესაში არ ცხოვრობს. არც ჩემი თანამემამულეები იცნობენ მას. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი რიაზინინის მისამართის შეტყობა. თუ ის ოდესაში არაა, შესაძლებელი იქნებოდა გაგვეგო, სადაა იგი ამჟამად, მაგრამ რუსეთში ძნელია ვინმეს მოძებნა, როცა კაცმა არ იცის ნაღდად მისი ოფიციალური თანამდებობა.

მოუთმენლად ველი გაზაფხულს. მე არ შემიძლია თქვენებური ზამთრის ატანა – ჩვენთან ისე ცივა და ისეთი ქარიანი ამინდებია, რომ მე ამის აღწერაც კი არ შემიძლია. თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, მინდა, წლელს საზღვარგარეთ გავემგზავრო, უკიდურეს შემთხვევაში, ზაფხულში.

თქვენი პ. მელიქიშვილი

20.11.1896.“

მიხეილ რიაბინინს დიდხანს ეძებდნენ. მან, ეტყობა, გარკვეული ინტერესი გამოიჩინა ქართული ენის მიმართ და, რაკი იგი ოდესიდან სწერდა შუხართს, ჩანს, ამ უკანასკნელმა მელიქიშვილს სთხოვა, რიაბინინის ადგილსამყოფელი დაედგინა. წერილიდან ჩანს, რომ ეს ვერ მოხერხდა. მაგრამ მოგვიანებით, თითქმის წელიწად-ნახევრის შემდეგ, ეტყობა, მაინც მიაგნეს მის კვალს: შუხართის არქივში დაცულია რიაბინინის მიერ გრაცელი პროფესორისადმი ოდესიდან გაგზავნილი წერილი, რომელიც 1897 წლის 8 ივლისითაა დათარიღებული. იქნებ სწორედ მელიქიშვილის მცდელობამ გამოიღო შედეგი. ვფიქრობ, ღირს ამ წერილის გამომზეურებაც: „ღრმად პატივცემულო ბატონო, ცხოველი ინტერესით წავიკითხე თქვენი წერილი ქართველური ენათმეცნიერების შესახებ და გეოგრაფიული ნარკვევი და მინდა ამ თავაზიანი გზავნილისთვის უღრმესი მადლობა მოგახსენოთ. თქვენი ერთგული მიხეილ რიაბინინი“.

№10

„ოდესა, უნივერსიტეტი
31.VIII(12.IX)1896

ძვირფასო მეგობარო!

ეს-ესაა საზღვარგარეთიდან დავბრუნდი ოდესაში და აქ დამხვდა ჩემთვის მეტად სასიამოვნო წერილი. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაცნობოთ, როგორ გავატარე ეს არდადეგები და სად შევრგე თავი. თებერვლიდან

საშინელი თავის ტკივილი მქონდა მარჯვენა მხარეს და მასთან – სიცხეც. ჩემმა ექიმებმა თავდაპირველად დაადგინეს, რომ ტკივილები კბილების მიზეზით მქონდა. ამიტომ მე მმკურნალობდა ერთი კბილის ექიმი, რომელმაც ორი კბილი ამომიღო და შემდეგ თავისი კომპეტენტური აზრი გამოთქვა, რომ წარმოდგენა არა აქვს, რა ინვეზს თავის ტკივილს. შემდეგ გამსინჯა სხვა ექიმმა, რომელსაც ეგონა, რომ სამწვერა ნერვის ნევრალგია მაქვს. ვერც მან მიშველა რამე. ამის გამო სხვადასხვა სპეციალისტთან მქონდა კონსულტაციები, მაგრამ უშედეგოდ.

აქედან ივნისში ბერლინში გავემგზავრე გამოფენის დასათვალისწინებლად და იქ შევხვდი ექიმს, რომელმაც მითხრა, რომ ჰაიმორიტი მაქვს, თანაც, მძიმე ფორმით და ოპერაცია უნდა გავიკეთო. მე არ მინდოდა ბერლინში დარჩენა და ჰაიდელბერგში გავემგზავრე, რომ ცოტა უფრო წყნარად, უკეთეს გარემოში მეცხოვრა. იქ ექიმმა ოპერაცია გამიკეთა – ძვალი ამომჭრა ყბაზე და ორი თვის განმავლობაში მმკურნალობდა. მიუხედავად იმისა, რომ სავსებით ვერ განვიკურნე, მაინც უკეთესად ვგრძნობ თავს. თავდაპირველად ჩემთვის არასასიამოვნო იყო, რომ ჩემი ავადმყოფობა საშუალებას არ მაძლევდა, მსუბუქად მემკურნალა, ისე რომ, ექიმმა მითხრა, უეჭველად ანთება გრძელდება და აუცილებელია ახალი ოპერაციაო. მაგრამ, საბედნიეროდ, მეორე ოპერაცია აღარ გახდა საჭირო.

მაპატიეთ, რომ ასე ვრცლად გწერთ ჩემს თავზე. ეს

შესავალი იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ მოტევება გთხოვოთ ჩემი დუმილის გამო.

ისე ცუდ ხასიათზე ვიყავი მთელი ორი თვის განმავლობაში, რომ თქვენთვის ამის გადმოცემა არ შემიძლია. საოცარია, ყველანაირი ავადმყოფობა მე უნდა შემხედეს! მარტოდენ მე ვეყოფი პაციენტად მთელ სამედიცინო ფაკულტეტს!

მჯერა, რომ მცირე ხნით შეწყვეტა ჩვენი მიმონერისა დიდხანს არ გაგრძელდება, და იმედი მაქვს თქვენგან ცნობების მიღებისა. ჰაიდელბერგში რამდენიმე ფილოლოგი გავიცანი. და მე ძალიან მუამაყებოდა და ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო იმის მოსმენა, რასაც ეს ფილოლოგები ერთხმად აღიარებდნენ: პროფესორი ჰ. შუხართი გენიალური ენათმეცნიერი, სწავლული არისო.

უმორჩილესად გთხოვთ, მომიკითხოთ პროფ. ბაუერი, პროფ. დოელტერი, დოქტორი ფლაიშჰაკერი და რაინინგჰაუსი მეუღლეებითურთ.

თქვენი ერთგული მეგობარი

პ. მელიქიშვილი“.

№11

„18.XII.1896

ოდესა, უნივერსიტეტი

ძვირფასო მეგობარო!

უნდა პატიება გთხოვოთ, რადგან ასე დიდი ხნის განმავლობაში არაფერი მომიწერია. მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ შეუძლოდ ვარ. იძუ-

ლებული ვარ, ხვალ მოსკოვს გავემგზავრო, სადაც ოპერაცია უნდა გავიკეთო, რადგან ჰაიმორიტი გამირთულდა და მეშინია, რომ ანთებამ ყურის შიგა ნაწილს არ მი-
აღწიოს.

ქართული გაზეთი „ივერია“ დღემდე აკრძალულია და არ ვიცი, ახალი წლიდან კვლავ გამოვა თუ არა, რადგან აკრძალვა გათვალისწინებული იყო თუ 8 თვით.

რაც შეეხება მოლდავური ენის ასიმილაციას ბესარაბიაში, სამწუხაროდ, ამის შესახებ მეცნიერული გამოკვლევები არ მოიპოვება, მაგრამ ის პირები, ვინც იცნობს ბესარაბიას, ამბობენ შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში რუსული ოფიციალურად შეიტანეს, მოსახლეობა ნაკლებად სწავლობს ამ ენას და ძალიან ადვილად ივიწყებს. პირიქით, დააკვირდნენ, რომ რუმინული ენა თანდათან ვრცელდება უკრაინელებს შორის და მოსახლეობა დნესტრის მარცხენა ნაპირზე, სადაც უპირატესად უკრაინელები ცხოვრობენ, რუმინულად იწყებს ლაპარაკს.

გილოცავთ ახალ წელს

გულითადად თქვენი ერთგული
პ. მელიქიშვილი“.

პ. მელიქიშვილი მოსკოვს კი გაემგზავრა, მაგრამ ოპერაცია არ გაუკეთებია, ამის შესახებ კი, ეტყობა, არაფერი მისწერა შუხართს, არც მორიგი წერილი გაუგზავნია მისთვის. შუხართი კი, ჩანს, წუხდა, მას მისი მეგობრის მდგომარეობა აფიქრებდა. ალბათ, ამიტომ იყო,

რომ ა. ხახანაშვილთან გაიკითხა მელიქიშვილის შესახებ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ა. ხახანაშვილის ფონდში 1897 წლის 6 მარტს ა. ხახანაშვილისთვის გაგზავნილი წერილის (დოკ. №710) ბოლოში მიწერილია: „ხომ არაფერი გსმენიათ ჩემი მეგობრის, პ. მელიქიშვილის, შესახებ, რომელსაც დაახლოებით 2 თვის წინ მოსკოვში ოპერაცია უნდა გაეკეთებინა; მე მისგან არავითარი ცნობა არ მიმიღია“.

ამ დროს მელიქიშვილი, როგორც მომდევნო წერილიდან ჩანს, აპათიურ მდგომარეობაშია და წერილებისთვის არ სცხელა. მაგრამ ნუ გავუხსნრებთ მოვლენებს წინ.

№12

„ოდესა, უნივერსიტეტი
9(21).IV.1897

ძვირფასო მეგობარო!

გთხოვთ მომიტევეთ – ვიმედოვნებ, რომ შემინდობთ – ავადმყოფ კაცს ბევრი არ მოეთხოვება.

არასოდეს მწყალობს ბედი. მოსკოვში გავემგზავრე, რომ იქ ოპერაცია გამეკეთებინა, მაგრამ ექიმი თვითონ გახდა ავად, რის გამოც მან ველარ შეძლო ჩემი მკურნალობა. ახლა მე იმავე მდგომარეობაში ვარ და უნდა დაველოდო ივნისის ბოლოს, როცა სრულიად თავისუფალი ვიქნები და საშუალება მექნება საზღვარგარეთ წასვლისა, სადაც შემეძლება ექიმებთან კონსულტაციის მიღება. ჩემდა ჭირად ჰაიმორიტს თვალის ავადმყოფობაც დაერთო, ისე რომ საღამოობით მუშაობის ნებას არ მაძლევენ.

ყველაფერი ეს ერთად ისე ცუდად მოქმედებს ჩემზე, რომ აპათიურ მდგომარეობაში ვარ.

ასე რომ, ჩემო მეგობარო, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა არასასიამოვნოა ჩემი ცხოვრება. ჩემი მდგომარეობა ახლა ისე მძიმეა, რომ გამოთქმა არ შემეძლია.

ახლახან ვნახე სარაჯიშვილი¹, რომელმაც ბევრი ილაპარაკა თქვენ შესახებ და, ამასთან, მთხოვა, მოკითხვა გადმოგცეთ. სამწუხაროა, რომ თქვენ არ შეგიძლიათ კავკასიაში გამგზავრება.

რამდენიმე დღის წინ რუსულ ჟურნალში „*Журналъ министерства народного просвещения*“ წავიკითხე მარრის წერილი, სადაც ის წერს, რომ ქართული ენა ენათესავება ებრაულ ენას და მასთან ისეთივე დამოკიდებულებაშია, როგორშიც სლავური ენები არიან გერმანიკულთან. მე არ ვიცი, როგორ შეუძლია მარრს ამის დამტკიცება, ეს რა თქმა უნდა, საშინელება იქნებოდა.

თქვენი ერთგული მეგობარი

პ. მელიქიშვილი“.

ორი წლის წინ მელიქიშვილმა ზაფხული საზღვარგარეთ გაატარა (თითქმის ოთხი თვის განმავლობაში იმყოფებოდა გრაცსა და პოლონეთის ტატრაში) და აგვისტოს ბოლოს დაუბრუნდა უნივერსიტეტს. შარშანაც ივნისის ბოლოს წავიდა გერმანიაში, რათა ემკურნალა. ჯერ ბერ-

¹ იგულისხმება დავით სარაჯიშვილი (1848-1911), ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მრეწველი, ქველმოქმედი.

ლინში ჩავიდა, შემდეგ ჰაიდელბერგს ეწვია, ოპერაციაც გაიკეთა და კვლავ ზაფხულის მიწურულს დაბრუნდა ოდესაში. დეკემბრის მეორე ნახევარში მოსკოვს გაემგზავრა საოპერაციოდ, მაგრამ ექიმის ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა ოდესაში დაბრუნებულიყო. ახლა კი, აპრილის შუა რიცხვებში, რაკი თავს ცუდად გრძნობს, ივნისის ბოლოს ელოდება, რათა, როცა საუნივერსიტეტო საქმეებისაგან თავისუფალი იქნება, კვლავ მიაშუროს უცხოეთს ექიმებთან კონსულტაციებისათვის. მომდევნო წერილიდან ჩანს, რომ მას გადანწყვეტილი არა აქვს – იტალიაში წავიდეს თუ ავსტრიაში. ოთხი წლის შემდეგ მელიქიშვილი საგულისხმო სტრიქონებს სწერს შუხართს უცხოეთში მოგზაურობის შესახებ: მე ვაპირებ როგორც ყოველ წელს, წლეულსაც შვეიცარიაში გაემგზავრო.

№13

„ოდესა, 15.VI.1897

ძვირფასო მეგობარო“

ეს-ესაა შვებულება ავიღე და რამდენიმე დღეში საზღვარგარეთ მივემგზავრები. მაგრამ დღემდის ვერ გადამინწყვეტია, გემით კონსტანტინეპოლის გავლით ბრინდიზიში გავემგზავრები თუ ვენას მივაშურებ. მე მინდოდა, სანამ გავარკვევდი ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობას (ტკივილების შესახებ ყურში), ცოტა დამესვენა. მე ვფიქრობ, რომ ჩემს ჯანმრთელობაზე ზღვაზე მოგზაურობა უკეთესად იმოქმედებს, ვიდრე რკინიგზის ვაგონში რყევა.

მე უკვე გავუგზავნე ბატონ სარაჯიშვილს თქვენი ბროშურა თფილისში.

ნება მომეცით, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი უკანასკნელი წერილისათვის და გისურვოთ თქვენი ჯანმრთელობის აღდგენა. ვიმედოვნებ, რომ საზღვარგარეთიდან მოგწერთ წერილს.

რამდენიმე დღის წინ ლოლობერიძისგან¹ მივიღე წერილი, რომელშიც ის მწერს, რომ გრაცში სურს გამგზავნება. ადვილი შესაძლებელია, რომ ის უკვე გრაცშია.

ჩემი მოკითხვა გადაეცით პროფ. ბაუერსა და მის მეუღლეს.

თქვენი ერთგული მეგობარი
პ. მელიქიშვილი“.

საჭიროა აღინიშნოს, რომ დავით სარაჯიშვილი და ნიკო ლოლობერიძე შუხართს პირადად იცნობდნენ, მის მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდნენ და ხშირად ამარაგებდნენ საჭირო წიგნებით ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ, აგრეთვე ლექსიკონებითაც.

№14

„14(26).XII.1897

ოდესა

ძვირფასო მეგობარო!

თავს უფლებას ვაძლევ, უპირველეს ყოვლისა, მო-

¹ ნიკოლოზ ლოლობერიძე (1839-1911), საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი.

გილოცოთ ახალი წელი, ამასთან, გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას თქვენს მუშაობაში.

უნდა მოტყვევება გთხოვოთ, რომ ასე დიდხანს არაფერი მოგწერეთ, მიუხედავად იმისა, რომ არ დამვიწყებია ჩემი ძვირფასი მეგობარი, რომელიც თავის პირად ცხოვრებაში ისეთივე უბედურია, როგორიც მე. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, ჩემი ნერვები მოსვენებას არ მაძლევს და მე უნდა მივეცე უსიამოვნო არსებობასა და განმარტოებულ ცხოვრებას.

მინდოდა თქვენგან რაიმე ცნობის მიღება და, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, მომწერეთ წერილი, გეთაყვა. წარმოდგენილი მაქვს, როგორი ძნელი მოსასმენი უნდა იყოს თქვენთვის ნაციონალური შუღლის გამოვლენის ყოველგვარი შემთხვევა – ყველაფერი ეს ისე ნაკლებად თანხვდება თქვენს ჰუმანისტურ შეხედულებებს ხალხთა ურთიერთობის შესახებ, რომ თქვენ ახლა შენუხებული უნდა იყოთ.

გთხოვთ, გადაეცით ჩემი მოკითხვა ქ-ნ და ბ-ნ ბაუერებს, დოელტერებს, რაინინგჰაუსებს.

თქვენი ერთგული მეგობარი

პ. მელიქიშვილი“.

საგულისხმო სიტყვებია: „არ დამვიწყებია ჩემი ძვირფასი მეგობარი, რომელიც თავის პირად ცხოვრებაში ისეთივე უბედურია, როგორიც მე“. ასე რომ თქვა და, თანაც, შუხართს უთხრა, დარწმუნებული უნდა იყო ამ სიტყვების საფუძვლიანობაში. სხვას დააბრალო – უბე-

დური ხარო, მითუმეტეს, იმსიდიდე პიროვნებას, როგორც შუხართია, ეს არაა ადვილად სათქმელი. მაშასადამე, ეს სიტყვები სიმართლეს შეეფერება. თუკი ასეა, მაშინ აქედან დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: ჩანს, შუხართმა მას, როგორც დაახლოებულ პირს, გული გადაუხსნა, გაანდო თავისი სულიერი მდგომარეობა. ამას ყველას ხომ არ ეტყვი, მხოლოდ ძალიან ახლობელს შეგიძლია ეს გაუმხილო. ამ დროს შუხართს მამა უკვე აღარა ჰყავს ცოცხალი, ხოლო მისთვის ყველაზე ახლობელი, დედა, ვისაც არაფერს უმაღავდა, მისგან მოშორებით, გერმანიაში, გოთაში, ცხოვრობს. ალბათ, დედის გარდა, სხვებს ნაკლებად ჩაახედებდა გულში, მელიქიშვილი კი, რატომღაც, თავის ფიქრებს აზიარა.

№15

„26.11.1901

ოდესა, უნივერსიტეტი

ძვირფასო მეგობარო!

ეს-ესაა თქვენგან მივიღე მეორე წერილი და ვჩქარობ გაცნობით, რომ რუსეთში განსაკუთრებით ველიკორუსეთში (*Gross-Russiand*), გავრცელებულია *сери*. ასევეა საქართველოშიც. ქართულად მას *ნამგალი* ჰქვია.

ჩემთვის მეტად სასიამოვნო იქნებოდა, დროდადრო თქვენგან ბარათები მიმეღო. გთხოვთ, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, მომწეროთ თქვენი სამომავლო გეგმე-

ბის შესახებ. მე ვაპირებ, რომ როგორც ყოველ ნელს, წლეულსაც შევიცარიაში გავემგზავრო.

თქვენი ერთგული მეგობარი

პ. მელიქიშვილი

გთხოვთ, თქვენი მისამართი მაცნობოთ.

პ. მ.“

იმავე თარიღით, როცა №15 წერილი დაიწერა, კიდევ ერთი წერილია დაწერილი, თანაც ქართულად.

№16

„26.11.1901

ოდესა, უნივერსიტეტი

ძვირფასო მეგობარო!

დიდათ გამახარა თქვენმა წერილმა. დიდათ მადლობელი ვარ, რომ არ დამივიწყეთ, და დრო გამოშვებით (*von Zeit zur Zeit*) თქვენს ამბავს მატყობინებთ. ჩემდა სამწუხაროთ მე შეუძლოთ ვიყავი და აქნობამდინ ვერ შევძელი წერილის მოწერა.

თქვენი ერთგული მეგობარი

პ. მელიქიშვილი“.

№17

„6.III.1901

ოდესა, უნივერსიტეტი

ძვირფასო მეგობარო!

მე ახლახან შევიტყვე ერთი ჩრდილოელი რუსისაგან, რომ მოსკოვის სიახლოვეს დაკბილული ნამგალი იხ-

მარება. საერთოდ კი, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში გლუვი ნამგალი გამოიყენება.

ახლა რუსეთში ჩვენ საოცარ მოვლენას გავიცდით. თითქმის ყველა უნივერსიტეტი დაკეტილია. ყველგან ობსტრუქციებს აწყობენ. დღემდე ასეთი გაფიცვები იყო ინგლისში, თქვენთან – ავსტრიაში (პარლამენტებში). მაგრამ ობსტრუქციები უნივერსიტეტების წინააღმდეგ – ასეთი რამ პირველად მესმის!

არდადეგები ჩვენთან იწყება – ფაქტობრივად, უკვე ერთი თვეა დაიწყო – 13 ივნისს ახალი სტილით და, თუ საშუალება მომეცემა, მაშინ ჩამოვალ გრაცში, რათა კვლავ მოვინახულო მშვენიერი ქალაქი.

თქვენი ერთგული მეგობარი
პეტრე მელიქიშვილი“.

ჩვენს ხელთ არსებული უკანასკნელი წერილიც ქართულადაა დაწერილი:

№18

„17.11.1904

ოდესა, უნივერსიტეტი

ძვირფასო ძმაო და მეგობარო!

დიდათ მადლობელი ვარ თქვენი წერილისათვის და განსაკუთრებით, რომ აქამდე არ დამივიწყეთ. ჩემდა სამნუხაროდ, შეუძლოთ ვიყავი და ამის გამო დროზედ პასუხი ვერ მოგწერეთ. დიდის სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას და გაცნობებთ, რომ ჟამნი (Moskau)

1768 წ. გამოცემისა არ მოიპოვება, უამნი 1710 წ. თფილისში (*Titlis*) გამოცემული იმყოფება (2 ეგზ.) პეტერბურგში (*Библиотека Академии Наук*), თფილისში კი ნერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

პარაკლიტონი 1762 წ. (*Tiflis*) გამოცემა ცნობილია და რაც შეეხება 1772 წ. გამოცემას – ეს უკანასკნელი ცნობილი არ არის.

თუ ვინიცობაა დაგჭირდეთ ეს წიგნები, შეგიძლიათ მიმართოთ თფილისის ნერა-კითხვის საზოგადოებას (*Тифлис. Общество распространения грамотности среди грузий*).

მომიკითხეთ დიდის პატივისცემით ბაუერის ოჯახობა.

თქვენი ერთგული მეგობარი
პ. მელიქიშვილი“.

ორი გულითადი მეგობრის ბედი ბევრი რამით ჰგავდა ერთმანეთს: ორივე თავისი დროის გამოჩენილი მკვლევარი იყო, ორივე მარტოხელა – არც ერთ მათგანს არ ჰყოლია ცოლ-შვილი, უმნიკვლოდ იარეს საცთურებით სავსე დედამინაზე და, შეიძლება ითქვას, ერთადაც დაასრულეს ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრება 1927 წელს: პეტრე მელიქიშვილი 23 მარტს გარდაიცვალა, ჰუგო შუხართი – ოთხი კვირის შემდეგ.

„მნიგნობარი“, №2, თბ., 2002,
გვ. 239-263.

გამოყენებული ლიტერატურა

და

წყაროები

- ელერდაშვილი ნინო – ახალი ქართული ქანდაკების სა-
თავეებთან: „სპექტრი“, 2007, გვ. 41-52.
- ვარლამიშვილი ივანე – ბოლო მოძღვარი და არა უკანას-
კნელი (დონ დამიანე სააკაშვილი): გაზ. „საბა“,
1995, დეკემბერი, გვ. 7.
- თუმანიშვილი პავლე – ქუთაისის წმინდა ღვთისმშობლის
კათოლიკური ეკლესია: გაზ. „საქართველოს კათო-
ლიკე“, 1994, № 4 (ივლისი), გვ. 1-2.
- იმნაიშვილი ვახტანგი – პეტრე მელიქიშვილი ლაბორატო-
რიის გარეთ: „მნიგნობარი“, 2002, №2, გვ. 239-263.
- კვარაცხელია ნუკრი – ქუთაისელი კათოლიკეები XIX სა-
უკუნეში: გაზ. „საბა“, 1998, აპრილი, გვ. 13-14.
- ნებიერიძე-გაბრიჩიძე დოდო – სიყვარულით განვდილი
ხელები: გაზ. „საბა“, 1997, იანვარ-თებერვალი, გვ.
6-7.
- ნებიერიძე-გაბრიჩიძე დოდო – კოკონაშვილების კვალი
ნათელი: გაზ. „საბა“, 2004, აგვისტო, გვ. 9-10.
- ჟღენტაი ნინო – დონ დამიანე სააკაშვილი: ჟურნ. „საბა“,
2013, №4 (აპრილი), გვ. 10.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, 1980.

ქაჯაია ვ. – გამოჩენილი ქართველი პედაგოგები, თბ., 1973, გვ. 212.

ღამბაშიძე ვახტანგი – შორეული წარსულის მოგონება (გუძღვნი პროფესორ პეტრე მელიქიშვილის ხსოვნას): კრებ. „მერანი“, პარიზი, 1947, გვ. 3-13.

ძონენიძე ზურაბი, გვერდნითელი მიხეილი – ვიქტორ კოკორაშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 2001, 17 გვერდი.

საოჯახო არქივის მასალები

პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ცალკეული ინფორმაციები

მოგონებები

რაცენზია

პროფესორი ჟუჟუნა ფეიქრიშვილი – მრავალი სამეცნიერო მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი, ამაგდარი პედაგოგი – ბოლო ათწლეულებში საზოგადოების წინაშე წარსდგა, როგორც საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის ერთ-ერთი ნაყოფიერი და საინტერესო მკვლევარი. წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ცნობილი მეცნიერის – ვიქტორ კოკოჩაშვილის მოღვაწეობას ეძღვნება, ამ თემატიკის წიგნების მორიგი გაგრძელებაა.

„ყოველი კულტურული ერის წინსვლა-განვითარება, ეროვნული სულიერების შენარჩუნება წარმოუდგენელია მისი წარსული მემკვიდრეობის გათვალისწინების გარეშე. საყოველთაოდ აღიარებული ეს ჭეშმარიტება ჩვენთვისაც არის დღეს განსაკუთრებით ფასეული, საზოგადოებისათვის ხშირ-ხშირად შესახსენებელი“, – გვამცნობს წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი და, მართლაც, მისი ეს მიზანდასახულობა სხვა მკვლევართათვისაც გასაზიარებელია, რათა არ ჩაიკარგოს ისტორიის მორევში ერისათვის თავდადებულ ადამიანთა კეთილი საქმენი, რათა მომავალი თაობებისათვის მისაბაძ მაგალითად დარჩეს სახელოვან წინაპართა ღვაწლი და რწმენა იმისა, „თუ როგორი კეთილი ნაყოფი შეიძლება გამოიღოს დღენიადაგ შრომამ, ახლის ძიების განსაკუთრებულმა ინტერესმა, ახალგაზრდობის სიყვარულმა და მეცნიერების უმნიშვნელოდ მსახურების სურვილმა“.

ჟუჟუნა ფეიქრიშვილის ნაშრომებს, ისტორიულ ფაქტთა კვლევისა და გასაჯაროების გარდა, გააჩნიათ კიდევ ერთი დატვირთვა – საზოგადოებრივი კონსოლიდაციის ფუნქციაც. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო ოც-

დაათი წლის მანძილზე გამოიკვეთა მცდარი ტენდენცია, მიჩქმალულიყო ცალკეულ პიროვნებათა კონფესიურობა, თუ ისინი არ წარმოადგენდნენ დომინანტი ეკლესიის წევრებს. საბჭოთა პერიოდში ამგვარი დამოკიდებულება გასაგები გახლდათ, ვინაიდან იმ ეპოქაში რელიგიურობასა და კონფესიურობაზე აქცენტი ათეისტური სახელმწიფოს იდეოლოგიურ ჩარჩოებში არ ჯდებოდა, ხოლო პოლიტიკური პოზიციიდან ის კონფესიები, რომელთა სასულიერო ცენტრიც უცხოეთში მდებარეობდა, მტრულ ძალად აღიქმებოდა. ამის გამო კათოლიკე ეკლესია და კათოლიკური თემი საბჭოთა იდეოლოგიის მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ სულხან-საბა ორბელიანის, ზაქარია ფალიაშვილის, ძმები ზუბალაშვილების, პეტრე მელიქიშვილისა და სხვათა კათოლიკობის საჯარო გაცხადებაზე ტაბუ იყო დანესებული. ტაბუირებული იყო ასევე მუსლიმურ თემისადმი ქართველთა მიკუთვნებულობის აფიშირებაც. სამწუხაროდ, ეს მანკიერი, არასახელმწიფოებრივი ტენდენცია ზოგჯერ ინერციით, ზოგ შემთხვევაში კი რუსული პროპაგანდის გავლენით დღესაც გრძელდება. ამგვარი მტრული პროპაგანდის გავლენების აშკარა გამოვლინებაა, როდესაც მულტიეთნიკურ და პოლიკონფესიურ ქვეყანაში ცდილობენ სახელმწიფო ნაციონალიზმის ჩანაცვლებას ეთნო-კონფესიური ნაციონალიზმით.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, კიდევ უფრო ნათელი ხდება ქალბატონი ფუჟუნა ფეიქრიშვილის წიგნის მიზანიც – ერთ-ერთი ღირსეული ერისკაცის ცხოვრებამოღვაწეობის გათვალსაჩინოებით თანამედროვეობას უფრო ახლოს გააცნოს ქართველ კათოლიკე მამულიშვილთა მართლაც წარმატებული საქმიანობა, მათი უანგარო ღვაწლი ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

„მონოგრაფია ეძღვნება ქართველ კათოლიკეთა ერთ-

ერთი სახელოვანი გვარის წარმომადგენელს ვიქტორ ივანეს ძე კოკოჩაშვილს. შევეცადეთ, კოკოჩაშვილების საგვარეულოს საინტერესო ისტორიის ფონზე, მკითხველისათვის წარგვედგინა ბატონი ვიქტორი არა მხოლოდ საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი და გამორჩეული პედაგოგი, არამედ როგორც ადამიანი თავისი პიროვნული ღირსებებით, თავისი სულიერი ტკივილებითა თუ ბედნიერება-სიხარულით, ახლობელთა მოგონებებით გაცოცხლებული ცხოვრებისეული ცალკეული ეპიზოდებით“, – ამგვარი შესავლით წარმოგვიდგენს ქალბატონი ყუყუნა თავისი მორიგი წიგნის გმირს – ცნობილ მეცნიერსა და თაობების აღმზრდელ პედაგოგს, გამორჩეულ პიროვნებას, ვიქტორ კოკოჩაშვილს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზოგადად მეოცე საუკუნის და ეროვნული ქიმიური სკოლის განვითარებაში.

ისტორიულად ასე ჩამოყალიბდა, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან მოყოლებული, მას შედეგ, რაც საქართველოში (ქრისტიანული) რწმენის გავრცელების წმინდა კონგრეგაციისგან (*Sacra Congregatio de Propaganda Fide*) მოვლინებული თეატინელთა ორდენის მამები ინყებენ მოღვაწეობას (თეატინელ მამათა ერთ-ერთ მონოდებას განათლების გზით, ქრისტიანული რწმენის გავრცელება წარმოადგენდა), ჩვენს ქვეყანაში კათოლიკეებმა საკუთარი ნიშა დაიმკვიდრეს. ევროპიდან მოვლენილი კათოლიკე მამების ძალისხმევით საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დაფუძნებულ სკოლებში განათლებამიღებულმა ახალგაზრდებმა თავისი უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს მეცნიერებისა და განათლების, ხოლო შემდგომ – ეროვნული მრეწველობის განვითარებაში. საქართველოში კათოლიკობა, როგორც წესი, თავდაპირველად ვრცელდებოდა ქალაქის მაცხოვრებლებში, ხელოსნებში, ვაჭრებში,

ამიტომაც მეცხრამეტე საუკუნიდან საქართველოში, ქალაქებსა თუ დაბებში, კათოლიკეები ხსნიან პირველ საწარმოებს. ქვეყნის გარეთ ბიზნესის გაფართოებაში კათოლიკე მრეწველებს ხელს უწყობდათ ზოგადი განათლება, განსაკუთრებით – ენების ცოდნა, რასაც ისინი მისიონერების მიერ დაფუძნებულ სკოლებში იღებდნენ. ამიტომაც თბილისში, ახალციხეში, ქუთაისში, ბათუმსა და ართვინის ოლქის დაბებში მოქმედ კათოლიკურ სასწავლებლებში დაწყებით განათლებამიღებულ ახალგაზრდებს ფართო ასპარეზი ეშლებოდათ რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებში. ქართველი კათოლიკეები მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან აქტიურად ცდილობენ ევროპულ ბაზრებზე გასვლასაც. თუმცა პირველმა მსოფლიო ომმა და რევოლუციების შემდგომმა რეპრესიებმა შეინირეს ქართველი კათოლიკეების ელიტა, ვინაიდან ისინი ორმაგი (როგორც კონფესიური, ისევე კლასობრივი) წნეხის ქვეშ მოექცნენ და ბოლშევიკური რუსეთისა და შემდგომ – საბჭოთა კავშირისთვისაც, ნომერ პირველ მტრებად შეირაცხნენ. დავიწყებას მიეცა მრავალი ქართველი კათოლიკეს ღვანლი სამშობლოს წინაშე, განყდა კავშირი სტამბოლის ქართულ კათოლიკურ სავანესთან...

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობილი ქართველი კათოლიკე მოღვაწეებისადმი მიძღვნილ ცალკეულ მონოგრაფიებს, ზოგადად კი – საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის მდიდარი, უტყუარი მასალების მოძიება-თავმოყრას.

ზუბალაშვილების ცნობილი საგვარეულოს ისტორიის აღწერის შემდგომ ამჯერად ქალბატონი ჟუჟუნა ფეიქრიშვილი გამორჩენილი ქართველი ქიმიკოსის ვიქტორ კოკოჩაშვილის მოღვაწეობას წარმოგვიჩენს, თუმცა ეს წიგნი მხოლოდ ერთი მეცნიერის მოღვაწეობის აღწერით არ შემოიფარგლება, მკითხველი, ვიქტორ კოკოჩაშვილის პირადი

არქივის მეშვეობით, დიდი მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის ცხოვრების მანამდე უცნობ ფაქტებსაც გაცნობა.

სარეცენზიო წიგნი კომპოზიციურად საინტერესოდ არის შეკრული: ვიქტორ კოკოჩაშვილის ცხოვრებისა და გენეალოგიის აღწერას მოსდევს მისი მეგობრების, აღზრდილებისა და ოჯახის წევრების მოგონებები; მონოგრაფიის ბოლოს კი ავტორი გვაცნობს ვიქტორ კოკოჩაშვილის „დიდ მასწავლებლებს“. და ეს ძალზე სწორი ჩანაფიქრია, ვინაიდან პიროვნების ფორმირებაზე სწორედ მის მასწავლებლებს აქვთ უდიდესი გავლენა, მით უმეტეს, თუ ეს მასწავლებლები ქართული ქიმიის სკოლის ფუძემდებლები პეტრე მელიქიშვილი და ვასილ პეტრიაშვილი არიან. და ეს „გაცნობა“ ხდება თავად ვიქტორ კოკოჩაშვილის მეშვეობით, მის მიერ სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული წერილებით, ანუ თავად მონოგრაფიის გმირი ორიგინალური ნარატივით გვაცნობს თავის უშუალო პედაგოგს პეტრე მელიქიშვილს და თავად პეტრე მელიქიშვილის უფროს მეგობარს ვასილ პეტრიაშვილს. პარალელურად ვიქტორ კოკოჩაშვილის მონათხრობით თვალს მივადევნებთ ეროვნული ქიმიის სკოლის ჩამოყალიბების მთავარ ეტაპებს.

წინამდებარე წიგნის ამ კომპოზიციურმა წყობამ უფრო სახალისო გახადა ტექსტის კითხვის პროცესი, რაც თანამედროვე აჩქარებული ეპოქის აუცილებელი მოთხოვნაა, როდესაც კომიქსები და მოკლე ტექსტური შეტყობინებები ანაცვლებენ ვრცელ ტექსტებს. ყუყუნა ფეიქრიშვილის მიერ წიგნის ამგვარ კომპოზიციურ წყობას თავისი ჩანაფიქრი გააჩნია: ვიქტორ კოკოჩაშვილის მიერ საკუთარი პედაგოგისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები მეტ ისტორიულ დამაჯერებლობას ანიჭებენ მთლიან ტექსტს, ამასთანავე ძალდაუტანებლად და ორგანულად გვაცნობენ ვიქტორ

კოკონაშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობასაც, რაც მკითხველს აღარ უტოვებს მონყენის საშუალებას.

მონოგრაფიაში ვრცელი ადგილი უკავია თავად ვიქტორ კოკონაშვილის მიერ გადმოცემულ პეტრე მელიქიშვილის მოღვაწეობის აღწერას და ეს აღწერა თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის ცხოვრებისეულ ეპიზოდებთან ერთად საინტერესოდ აცოცხლებს მთელი ეპოქის სურათსაც.

წინამდებარე წიგნში ჩართულ ვიქტორ კოკონაშვილის ამ მონათხრობს, ისევე როგორც მთელ მონოგრაფიას, მთავარ ხაზად გასდევს ქველმოქმედების თემა, რაც მრავალი ქართველი კათოლიკეს ერთგვარ საეპიზიტო ბარათსაც წარმოადგენდა. როდესაც მეცენატებზე, ქველმოქმედებზე, უანგაროდ სიკეთის კეთებაზე, ხალხისთვის მსახურებაზე არის საუბარი, მახსენდება VI საუკუნის ტიბეტური სანსკრიტულ-ბუდისტური ტექსტის (რომელსაც „სიბრძნის ყლორტი“ ეწოდება) ერთი სტროფი:

„ას კაცში ერთი იბადება გმირი, მამაცი,
ათასში ერთი კი – ბრძენი, ჭკვიანი კაცი,
ათი ათასში მჭევრმეტყველი გამოვა ერთი;
კაცი გულუხვი კი იქნება, ან არ იქნება“.

მართლაც, გულუხვობა, საკუთარი ქონების გაცემით, სხვაზე დახმარების გაწევის სურვილი ღვთიური მადლის სახით ენიჭება ადამიანს და ამ ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი მართლაც გამორჩეულია.

XIX-XX საუკუნეების ქართულ კათოლიკურ თემში აღზრდის სპეციფიკური სისტემა არსებობდა, რომლის პრიორიტეტებსაც წარმოადგენდა მოზარდებში პრინციპულობის, პუნქტუალობის, განათლებისა და შრომისადმი სიყვარულისა და ქველმოქმედებისადმი განსაკუთრებული და-

მოკიდებულების უნარების გამომუშავება. ეს იმ ეპოქის ჩვეულებრივ კულტურულ ნორმად ითვლებოდა და პიროვნების განსაკუთრებულ გამორჩეულობად არც აღიქმებოდა. მაგრამ საბჭოთა ეპოქამ ყველა ამ ფასეულობის დევალვაცია მოახდინა და მერკანტილისტური ფსევდოფასეულობები დააყენა წინა პლანზე. სამწუხაროდ, არც ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში მოხერხდა საბჭოური მახინჯი ფასეულობებისგან სრული განთავისუფლება, ადამიანური ზნეობის არა გარეგნული, არამედ იმანენტური ტრანსფორმაცია. ქრისტიანული სათნოება სულიერი მდგომარეობაა, ზნეობრივად კეთილქმედებათა ნაყოფია და ადამიანის მთელ შესაძლებლობას განაწყოებს ღმრთაებრივ სიყვარულთან თანაზიარებისაკენ. ადამიანის მხრიდან სიკეთის ქმნა, ქველმოქმედების კეთებისაკენ მუდმივი მზაობა, კეთილზნეობრივი სათნოების გამოხატულებაა. ქველმოქმედება, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ქმედება, გადამდები ხასიათისაა და მასაც სჭირდება თვალსაჩინოებაზე გამოტანა. სწორედ ამიტომ თავის მონოგრაფიებში, ცნობილი ადამიანების საქველმოქმო საქმიანობის აქცენტირებით, ცდილობს ქალბატონი ჟუჟუნა ფეიქრიშვილი გაუღვიძოს ახალგაზრდებს სურვილი, რათა მათ სიკეთის კეთება დაისახონ ცხოვრების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზნად. წინამდებარე წიგნიც მისი ავტორის ამ ოცნების დადასტურებაა.

სარეცენზიო წიგნი კიდევ სხვა მხრივაც არის საინტერესო და აქტუალურიც: ვიქტორ კოკოჩაშვილის საარქივო მასალების გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ რუსეთი ასი წლის წინაც და დღესაც იმპერიალისტურ-შოვინისტურ ბუნებას არ ღალატობს და არავითარი ორი რუსეთი არ არსებობს. ამის დასადასტურებლად ვიქტორ კოკოჩაშვილის

არქივში დაცული ერთი დოკუმენტის – 1947 წელს გამოცემულ ემიგრანტულ კრებულ „მერანში“ გამოქვეყნებული, ცნობილი ექიმის ვახტანგ ღამბაშიძის მოგონებაც კმარა. თვალსაჩინოებისათვის მოვიხმობ მცირე ფრაგმენტს ამ მოგონებიდან:

„1916 წლის შემოდგომა იყო, პროფესორ პეტრე მელიქიშვილს რამოდენიმეჯერ მოვაგონე გამოჩენილი რუსი მეცნიერის, პროფ. სეჩენოვის ნათქვამი ვასილ პეტრიაშვილის შესახებ: როდესაც მას დაუმთავრებია ჩინებულად სწავლა ოდესის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, მოუსურვებია სწავლის გაგრძელება და საპროფესორო მუშაობისათვის უცხოეთში გამგზავრება, სეჩენოვს უთქვამს: „სად აზიელი და სად მეცნიერებაო“... ეს პროფ. სეჩენოვი ფიზიოლოგიის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა მთელ რუსეთში. იცნობდნენ მას უცხოეთშიაც. მასთან მუშაობდა ჩვენი თანამემამულე ივანე რამაზის ძე თარხნიშვილი, 1864 წ. პეტერბ. სამხედრო-ქირურგიულ აკადემიაში შესულა. სწორედ ამ პროფ. სეჩენოვის ხელმძღვანელობით შეუდგა იგი ფიზიოლოგიის შესწავლას. მან დაამთავრა სწავლა 1869 წ. ოთხი წლის თვალსაჩინო მეცნიერული მუშაობის შემდეგ, თარხნიშვილი სამხედრო აკადემიის პროფესორთა დადგენილებით გაგზავნილ იქნა უცხოეთში მეცნიერული მუშაობისათვის. მან მრავალი საკითხი გამოარკვია, რამაც მეცნიერების დიდი ყურადღება მიიპყრო რუსეთში და საზღვარგარედაც. ამნაირად პროფ. სეჩენოვს თავის ჯერ მონაფის და შემდეგ თანამშრომელის მაგალითი თვალწინ ედგა ქართველი ადამიანის ნიჭიერებისა და შეგნებული მუშაობის. რად უნდა დასჭირვებოდა მას ამის შემდეგ ვ. პეტრიაშვილისადმი ისეთი სიტყვებით მიმართვა, რომელიც მხოლოდ უვიცსა და შეუგნებელ ადამიანს შეჰფერის?! მაგრამ ეს არის რუსული ღვარძლიანობა და მედიდურობა დამონებუ-

ლისადმი და ერთის მხრით ველური ბუნების მაჩვენებელი... მეტადრე მას, როგორც ბიოლოგიური მეცნიერების კარგ მცოდნეს, უნდა გაეწია ანგარიში ჩვენში რასსიული თვისებისათვის და უუძველესი დროიდან ქართველების კულტურული არსებობისათვის, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც რუსის ხსენებაც არ იყო დედამიწის ზურგზე. მე ვიცნობდი სეჩენოვს, ჩემი პროფესორი იყო ფიზიოლოგიის, კარგი მცოდნე, გულ-კეთილი, სათნო და თავმდაბალი ადამიანი, სავსებით მეცნიერულ კვლევებაში თავჩარგული. ასეთ ადამიანს უფიცობა არ შეჰფეროდა, მაგრამ, როდესაც მეცნიერი-რუსი „დამპყრობელის“ აზროვნებით გამსჭვალება, მაშინ იგი პოლიციურ შეგნებით იარაღდება, ყველას მტრულად უყურებს, სხვა ტომის კაცი ეჯავრება, არარაობად მიაჩნია და ხშირად შეუსაბამოს აფიქრებინებს და ათქმევინებს“...

რუსული შოვინიზმის საუკუნისწინანდელი ეს შეფასება ზუსტად ეხმაურება დღევანდელობას, როდესაც რუსების მიერ უკრაინაში ჩადენილმა ანტიჰუმანურმა დანაშაულებებმა შესძრა მთელი მსოფლიო.

ჟუჟუნა ფეიქრიშვილის, როგორც ავტორის, პროფესიონალიზმი და თანადროულობის აღქმა ვლინდება იმ ფაქტითაც, რომ მან თავის ახალ წიგნს შესძინა არა მხოლოდ აქტუალობა, არამედ ამ აქტუალობიდან მომდინარე ემოციური მუხტი. ვეცნობით მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ამბებს და თან ფიქრებით არ ვწყდებით ამჟამინდელ რეალობას. ამასთანავე ვიქტორ კოკოჩაშვილის არქივში დაცული ამ დოკუმენტების გაცნობა მისი მფლობელის ხასიათის კიდევ ერთ მხარეს წარმოგვიჩენს – მსგავსი ემიგრანტული მასალების სახლში დამალვა საბჭოთა რეჟიმის დროს უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული. მხოლოდ ძლიერი ნების, ქვეყნის დამოუკიდებლობაზე მეოცნებე

ადამიანს ხელენიფებოდა ამგვარი ტექსტების მოპოვებაც და საკუთარ არქივში მათი შენახვაც.

ქალბატონმა უუჟუნა ფეიქრიშვილმა, პეტრე მელიქიშვილზე მანამდე უცნობი ბიოგრაფიული მასალების ძიებისას, ერთი შეხედვით, შემთხვევით (თუმცა შეიძლება ითქვას, რომ შემთხვევითობა არც არსებობს და ყველაფერი კანონზომიერებაა) „აღმოაჩინა“ პროფესორ ვიქტორ კოკოჩაშვილის არქივი. ამ არქივში დაცული მასალების გაცნობამ კი დაარწმუნა, რომ მის წინაშე იყო გადაშლილი ცხოვრება ადამიანისა, რომლის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნით მნიშვნელოვნად გაამდიდრებდა ქვეყნისთვის მოღვაწე ადამიანთა ვრცელ გალერეას. შემდგომ კი ჯერი დადგა ავტორის დაუღალავ შრომაზე, პროფესიონალიზმსა და მიზანზე – „არ დაიკარგოს არც ერთი გამოჩენილი ადამიანის ღვაწლი სათანადო დაფასების გარეშე“.

ნუგ ზარ ბარდაველიძე

15.04.2022.

ფოტოლოკუპენტი
მასალა



პეტრე-პავლე კოკორაშვილი



მეულლე ანა კოსტანაშვილი



პეტრე-პავლეს სახლი ქუთაისში, ახლ. აფთიაქარის ქუჩაზე



ვასილ კოკოჩაშვილის ოჯახი. პირველ რიგში – არჩილი, მეორე რიგში
მარცხნიდან პირველი – ვასილი, მეორე – მეუღლე ლუცია
ყაუხჩიშვილი, მესამე – შალვა. უკანა რიგში: გიორგი (გოგი) და თინა.



ივანე პეტრე-პავლეს ძე კოკოჩაშვილი



მოსკოვის უნივერსიტეტის სახელობითი ოქროს ყუბონი –
ივანეს სტუდენტობის მონიშვნა



პროვიზორ ივანეს სააფთიაქო ბეჭედი წამლის რეცეპტებისათვის



ივანეს სახლი ქუთაისში
(დაპროექტებულია იტალიელი არქიტექტორის მიერ)



მარიამ მამულაშვილი



სოფიო ანდრონიკაშვილი




ივანესა და მარიამის ვაჟები. მარჯვნიდან: ვიქტორი, მიხეილი, ლეონარდო. წინ „ზის“ ახალგარდაცვლილი ქალიშვილის ანას თოჯინა (ანას ნაცვლად). 1912 წ.




მარიამი შვილებთან ერთად. 1913 წ. მარჯვნიდან პირველი ვიქტორი,
მეორე – ლეონარდო, მესამე – მიხეილი.



კოკორაშვილების საგვარეულო სასაფლაო
 ქუთაისში, საფინჩიაზე



ქუთაისის კათოლიკეთა ღვთისმშობლის უმანკო ჩასახვის ეკლესია




მოდლვარი დონ დამიანე სააკაშვილი



ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეები. ვიქტორი მეორე რიგში მარჯვნიდან მეხამე.
ცენტრში – დირექტორი იოსებ ოცხელი 1913 წ.



ვასილ პეტრიაშვილი




პეტრე მელიქიშვილი



სტუდენტებთან ლაბორატორიაში. 1952 წ.



თბილისის უნივერსიტეტის ეზოში.
ქიმიის ფაკულტეტის თანამშრომლებთან






ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიაში.
მარცხნიდან: ვ. კოკოჩაშვილი, მ. მუსერიძე, შ. სიღამონიძე. 1968 წ.



კონფერენციის მონაწილენი. 1971 წ. თბილისი.
წინა რიგში მარჯვნიდან: ვ. კოკოჩაშვილი, აკად. ა. ნალბანდიანი, აკად. ვ. კონდრატიევი



ვიქტორი და ტასო სტუმრად
მ. მამულაშვილთან მცხეთაში



მიხეილ მამულაშვილის საახალწლო ბარათები



ვიქტორი



ანასტასია (ტასო)



აკად. ვ. მამასახლისოვი, აკად. ნ. ნ. სემიონოვის ქალიშვილი მილა, ვიქტორი თავის ქალიშვილთან, თინიკოსთან ერთად თბილისის ზღვაზე



აკად. ი. ბერიტაშვილთან ერთად კისლოვოდსკოში



ვიქტორ კოკორაშვილის სამუშაო მაგიდა

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინი
ირაკლი უშვერიძე



გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

VI		VII		პერიოდი 4,0026		K	
8 O განებადი 15,9994		9 F ფტორი 18,9984		10 Ne ნეონი 20,183		L K	
16 S გოგირდი 32,064		17 Cl ქლორი 35,453		18 Ar არგონი 39,948		M L K N M L K	
24 Cr ქრომი 51,996		25 Mn მანგანი 54,938		26 Fe რკინა 55,847		K O M L K N M L K	
34 Se სელენი 78,96		35 Br ბრომი 79,909		36 Kr კრიპტონი 83,80		M L K O N M L K	
42 Mo მოლიბდენი 95,94		43 Tc ტექნიციუმი [98]		44 Ru რუთენი 101,07		O N M L K O N M L K	
54 Te ტელური 127,60		55 I იოდი 126,904		56 Xe ქსენონი 131,30		O N M L K O N M L K	
60 W ვოლფრამი 183,85		61 Re რენიუმი 186,2		62 Os ოსმიუმი 190,2		P O N M L K P O N M L K	
84 Po პოლონიუმი [210]		85 At ატლანტიდი [210]		86 Rn რადონი [222]		P O N M L K P O N M L K	

„ნიგნი ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე საოცარი გამოგონებაა (მილნევა), კაცობრიობის სულიერ სიმდიდრეთა საგანძური“.

ვიქტორ კოკოჩაშვილი

„მეცნიერება საერთოდ ნიშნავს ბუნების, საზოგადოების ან აზროვნების არსებით თავისებურებათა კანონზომიერების მიგნება-დადგენას და მათი გამოყენებით წარსულისა თუ აწმყოს მოვლენების შეფასებასა და მომავლის გათვალისწინებას“.

ვიქტორ კოკოჩაშვილი

„სამყაროში მარადიული არაფერია, გარდა მარად ცვალებადი, მარად მოძრავი მატერიისა და იმ კანონებისა, რომლებიც ასახავენ მატერიის განუწყვეტელ ცვლილებასა და განვითარებას“.

ვიქტორ კოკოჩაშვილი



საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემია

72 Zn ცინკი 65,38		73 Ga გალი 69,723		74 Ge გერმანიუმი 72,64		75 As არსენი 74,9216		76 Se სელენი 78,96		77 Br ბრომი 79,904		78 Kr კრიპტონი 83,80		79 Rb რუბიდიუმი 85,468		80 Sr სტრონციუმი 87,62		81 Y იტერიუმი 88,905		82 Zr ციკონი 91,224		83 Nb ნიობიუმი 92,906		84 Mo მოლიბდენი 95,94		85 Tc ტექნიციუმი [98]		86 Ru რუთენი 101,07		87 Rh როდუმი 101,07		88 Pd პალადიუმი 106,905		89 Ag სპირტი 107,868		90 Cd კადმიუმი 112,411		91 In ინდიუმი 114,818		92 Sn სტანუმი 118,710		93 Sb ანტიმონი 121,757		94 Te ტელური 127,60		95 I იოდი 126,904		96 Xe ქსენონი 131,30		97 Ba ბარიუმი 137,327		98 Er ერბიუმი 167,255		99 Tm თუმიუმი 168,930		100 Yb იტიუმი 173,045		101 Lu ლუთეციუმი 174,967		P O N M L K P O N M L K	
-------------------------	--	-------------------------	--	------------------------------	--	----------------------------	--	--------------------------	--	--------------------------	--	----------------------------	--	------------------------------	--	------------------------------	--	----------------------------	--	---------------------------	--	-----------------------------	--	-----------------------------	--	-----------------------------	--	---------------------------	--	---------------------------	--	-------------------------------	--	----------------------------	--	------------------------------	--	-----------------------------	--	-----------------------------	--	------------------------------	--	---------------------------	--	-------------------------	--	----------------------------	--	-----------------------------	--	-----------------------------	--	-----------------------------	--	-----------------------------	--	--------------------------------	--	----------------------------------------------------------	--